


178
1960/2

საქართველოს
საბჭოთავო
სამეცნიერო
აქადემია

სახკთთა სამართალი





საბჭოთა სამართალი

№ 5

სექტემბერი-ოქტომბერი

1960 წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურორისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კოლეჯის ორგანო
ო რ თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კომპარტიის 40 წლისთავისათვის

გ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე — ბრძოლებისა და გამარჯვებათა სახელოვანი გზა 3

წინადადვანი ახალი კანონმდებლობისათვის

ს. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე — სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების შემდგომი სრულყოფისათვის 13

რ. რ ა ხ უ ნ ო ვ ი — შენიშვნები სასამართლო წარმოების საფუძვლების პროექტის შესახებ 19

თ. ლ ი ლ უ ა შ ვ ი ლ ი — დავაზუსტოთ ცალკეული ნორმები და დებულებები 25

სასამართლო და პროკურორის ორგანოების მუშაობის კრახტიკა

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წლის 4 ივნისის დადგენილება № 4 29

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წლის 17 სექტემბრის დადგენილება № 5 37

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წლის 17 სექტემბრის დადგენილება № 6 39

მ. თ ო ფ უ რ ი ძ ე — წესრიგი დავამყაროთ ინდივიდუალურ და კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში 40

ი. ა მ ა შ უ ჯ ე ლ ი, მ. დ ო ლ ი ძ ე — ბუღალტერ-ექსპერტის მუშაობა გამოძიებულთან სისხლის სამართლის საქმის პროცესში 47

წესები სხეულის დაზიანების განსაზღვრისათვის 54

ახალი კანონმდებლობაში 58

ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის მასალები 63

ნარკვევი
გ. ვ ა ჩ ი ე შ ვ ი ლ ი, შ. ე ს ი ტ ა შ ვ ი ლ ი — გასროლა კალაში 75

რეცენზია თეატრალურ დადგავაზე
ა. ბ უ რ თ ი კ ა შ ვ ი ლ ი — ორი ფერი 83

ჩვენი ინტერვიუ 87

პრესის მიმოხილვა 89

სასამართლო პრაქტიკა 91

8059



СОДЕРЖАНИЕ



К 40-ЛЕТИЮ КОМПАРТИИ ГРУЗИИ

Г. Сихарулидзе — Славный путь борьбы и побед 3

ПРЕДЛОЖЕНИЕ ПО НОВОМУ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ

С. Джорбенадзе — Для дальнейшего совершенствования
основ Гражданского законодательства 13

Г. Рахунов — Замечаний к проекту основ процессуально-су-
до-производства 19

Т. Лилуашвили — уточнить отдельные нормы и положений 25

ПРАКТИКА РАБОТЫ ОРГАНОВ СУДА И ПРОКУРАТУРЫ

Постановления Пленума Верховного Суда СССР от 4 — июня
1960 г. № 4 29

Постановление Пленума Верховного Суда СССР от 17 — сентя-
бря 1960 г. № 5 37

Постановление Пленума Верховного Суда СССР от 17 сентября
1960 г. № 6 39

М. Топуридзе — навести порядок в индивидуальном и ко-
оперативном домостроительстве 40

И. Амашукели и М. Долидзе — работа бухгалтеров и
экспертов со следователем в процессе расследовании
уголовных дел 47

Правила об определении категории полесных повреждениях 54

Новые в законодательстве 58

Материалы Грузинской терминологии 63

ОЧЕРК

Г. Вачейшвили, Ш. Еситашвили — Выстрел в рожи 75

РЕЦЕНЗИЯ НА ТЕАТРАЛЬНУЮ ПОСТАНОВКУ

А. Буртикашвили — два цвета 83

Наш интервью 87

Обзор печати 89

Судебная практика 91

ბრძოლისა და გამარჯვებითა სსსრკ-სათვის

გ. სინბარულიძე

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

საქართველოს კომუნისტური პარტიის დაარსების 40 წლისთავი დიდი ეროვნული დღესასწაულია ქართველი ხალხისათვის.

40 წელი საზოგადოების განვითარების ისტორიისათვის შედარებით უმნიშვნელო პერიოდია, მაგრამ ამ მცირე ხნის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა. სავსებით ახლებურად მოეწყო საქართველოს მშრომელი ხალხის ცხოვრება, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში თავი იჩინა ისტორიის ნამდვილი შემოქმედის — მშრომელი მასების დიდმა შემოქმედებითმა ძალამ. არ დარჩენილა მატერიალური და სულიერი ცხოვრების არცერთი დარგი, რომელშიც საქართველოს მშრომელებს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სერიოზული წარმატებებისათვის არ მიეღწიოს.

* * *

საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი უძველესი რაზმი, საქართველოს კომუნისტურ პარტიად გაფორმდა 1920 წლის მაისში, როცა საქართველოში მშრომელი ხალხის მოხისსლე მტრები — მენშევიკები და მათ მიერ მოწვეული ინგლისელ — ამერიკელი და ფრანგი იმპერიალისტები დათარეშობდნენ. ამ დროისათვის საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებს განვლილი ქონდათ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის რთული გზა.

როგორც ცნობილია თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ საქართველოსა და ამიერკავკასიის მშრომელი კლასების პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა ოდნავადაც ვერ გააუმჯობესა. მიუხედავად იმისა, რომ კვლავ შეძლებული კლასების ხელში დარჩა. თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოს და ამიერკავკასიის მდგომარეობა თითქმის არ განსხვავდებოდა რუსეთში შექმნილი ვითარებისაგან, მაგრამ რუსეთში ჩქარა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ძირფესვიანად დაამხსვრა ძველი ურთიერთობანი და საბჭოთა ხელისუფლების სახით პროლეტარიატის დიქტატურა დამყარდა. საქართველო და ამიერკავკასიაში კი ძალაუფლება ხელში ჩაიგდო შეძლებული კლასების ინტერესების გამოხატველი პარტიებისაგან (ქართველი მენშევიკები, სომეხი დაშნაკები, აზერბაიჯანელი მუსავატელები და სხვ.) შემდგარმა კოალიციურმა მთავრობამ, რომელმაც საქართველო და ამიერკავკასია ძალით ჩამოაშორა საბჭოთა რუსეთს და ორიენტაცია დასავლეთის სახელმწიფოებზე აიღო. თუმცა შინაგან წინააღმდეგობათა გამო კოალიცია მალე დაშალა „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოებად — საქართველოს აზერბაიჯანის და სომხეთის ბურჟუაზიულ რესპუბლიკებად, მაგრამ დამოკიდებულება უცხოელ სახელმწიფოებთან — ჯერ გერმანიელთურქ დამპყრობლებთან, შემდეგ ინგლისელ — ამერიკელ და ფრანგ იმპერიალისტებთან, რომლებიც საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ, კიდევ უფრო გაიზარდა.

საქართველოში სამი წელი გაგრძელდა ქართველი ხალხის მოხისსლე მტრების — მენშევიკების ბატონობა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მათ არცერთი დღით არ ქონიათ მოსვენება. საქართველოს მშრომელები ბოლშევიკების მეთაურობით შეუპოვრად ებრძოდნენ მენშევიკებს. საქართველოს ხან ერთ, ხან მეორე კუთხეში აჯანყებას აჯანყება მოსდევდა, რომელთაც ხშირ შემთხვევაში თან ახლდა საბჭოთა ხელისუფლების კერების შექმნა (ლეჩხუმი, დუშეთი, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი და სხვ.). ამ სახალხო აჯანყებათა ჩაქრობას მენშევიკები საკუთარი ძალებით ვერ ახერხებდნენ, უცხოელ დამპყრობლებს იხმარებდნენ და მათი საშუალებით იხარჩუნებდნენ თავიანთ უზადრეუკ არსებობას. ეს აჯანყებები და მათ შედეგად წარმოქმნილი საბჭოთა მთავრობები ქართველ ხალხში ამტკიცებდა რწმენას, რომ მხოლოდ საბჭოთა რუსეთთან კავშირის აღდგენითა და განმტკიცებით, საკუთარ ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით შეიძლება ბოლო მოეღოს უუფლებობას და მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას. ამასთან ერთად ამ აჯანყებებით ქართველი ხალ-



ხი თავისკენ იზიდავდა რა ინტერვენტთა საკ-
მაოდ დიდ ძალებს, უაღრესად მძიმე დღეებში
ძმურ პროლეტარულ დახმარებას უწყევდა საბ-
ჭოთა რუსეთის მშრომელებს.

საქართველოში კომუნისტური პარტიის შექ-
მნით საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა
ახალ საფეხურზე ავიდა. ქართველი ხალხის დი-
დმა სიყვარულმა კომუნისტური პარტიისადმი
და საბჭოთა ხელისუფლებისადმი თავი იჩინა
იმით, რომ პარტიის რიგები სწრაფად იზრდე-
ბოდა, დიდი რაოდენობით შედიოდნენ მასში
მუშები, გლეხები, და მშრომელი ხალხის წიაღი-
დან წარმოშობილი ინტელიგენცია. პარტიის
ავტორიტეტი ყოველდღიურად იზრდებოდა.
ქართველი ხალხი მჭიდროდ ირახმებოდა თავი-
სი პარტიის გარშემო და გადაწყვეტი ბრძოლი-
სათვის ემზადებოდა.

ეყრდნობოდა რა მშრომელთა ფართო მასების
მხარდაჭერას 1921 წლის დამდეგს საქართველოს
კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტე-
ტმა მიიღო გადაწყვეტილება მთელ საქართვე-
ლოში შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შე-
სახებ. აჯანყების ხელმძღვანელობისათვის შეიქ-
მნა რევოლუციური კომიტეტი, რომლის შემად-
გენლობაში შევიდნენ ფ. მახარაძე (თავმჯდომარე)
მ. ორახელაშვილი, შ. ელიავა, ა. გეგუჭკო-
რი, ბ. კვიციანი, ა. ნაზარეთიანი და სხვ.

აჯანყება წარმატებით ვითარდებოდა, მაგრამ
მენშევიკურ მთავრობას ეხმარებოდნენ და კი-
დეც მეტ დახმარებას აღუთქვამდნენ ანტანტის
იმპერიალისტები. ამიტომ საქართველოს რევ-
კომმა დახმარებისათვის მიმართა რსფსრ სახალ-
ხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ვ. ი.
ლენინს. დიდმა ლენინმა, საბჭოთა მთავრობამ,
გულწრფელი დახმარება აღმოუჩინა ქართველ
ხალხს. აჯანყებულთათვის მოსაშველებლად გა-
მოეშურა სახელგანთქმული მე-11 არმია ს. ორ-
ჯონიკიძის წინამძღოლობით. მენშევიკების წი-
ნააღმდეგობა გატეხილ იქნა და 1921 წლის 25
თებერვალს თბილისის თავზე საბჭოთა ხელი-
სუფლების წითელი დროშა აღიმართა. იმავე
დღეს ს. ორჯონიკიძე ვ. ი. ლენინსა და ი. ბ.
სტალინს დეპუტით აცნობებდა: „თბილისზე
ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი
დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“

მაღე მთელ საქართველოში დაჟარდა საბ-
ჭოთა ხელისუფლება. დაიწყო ახალი ერა ქართ-
ველი ხალხის ცხოვრებაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გა-
მარჯების შემდეგ საქართველოს კომუნისტუ-
რი პარტია მმართველი პარტია გახდა. იგი სა-
თავეში ჩაუდგა საქართველოს მშრომელების
ბრძოლას ოკუპისაგან დანგრეული სახალხო

მეურნეობის აღდგენა-განვითარებისათვის, სო-
ციალისტურ მშენებლობას.


იმ დროს როცა საქართველოში მენშევიკების
ბატონობა დაემხო და ქართველმა ხალხმა თავი-
სი განვითარების ახალ ხანაში შედგა ფეხი, საბ-
ჭოთა ქვეყანა გამოდიოდა ინტერვენციისა და
სამოქალაქო ომის მდგომარეობიდან და იწყებდა
მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლას. ძალაში
შედიოდა დიდი ლენინის მიერ შემუშავებული
ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც 1921
წლის მარტში მიიღო პარტიის X ყრილობამ.

ვ. ი. ლენინმა შემუშავა მეცნიერულად დასა-
ბუთებული პროგრამა ეკონომიურად ჩამორჩე-
ნილი რუსეთის მოწინავე მძლავრ სოციალის-
ტურ სახელმწიფოდ გადაქცევისა. ეს პროგრამა
ითვისალისწინებდა ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ
ინდუსტრიალიზაციას, მძიმე მრეწველობის
სწრაფ განვითარებას, მთელი სახალხო მეურ-
ნეობის ელექტროფიკაციას, ჩვენი ქვეყნის სოფ-
ლის მეურნეობის სოციალისტურ საწყისებზე
გარდაქმნას და კულტურული რევოლუციის გან-
ხორციელებას.

ამ ისტორიული პროგრამის განახორციელებ-
ლად კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური
ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით
ფართოდ გაჩაღდა საბჭოთა ხალხის შემოქმედე-
ბითი მუშაობა. საქართველოში საბჭოთა ხელი-
სუფლების გამარჯვების შემდეგ ეს ამოცანები
დღის წესრიგში დადგა საქართველოს მშრომე-
ლების წინაშეც. ქართველ ხალხზე გავრცელდა
ყველა ის უფლება, რომლებიც რუსეთში მოპო-
ვებულ იქნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური
რევოლუციის გამარჯვების შედეგად.

შემუშავა რა ახალი ეკონომიური პოლიტიკა,
რომელიც საყოველთაოდ გასუხობდა სამხედრო
მდგომარეობიდან მშვიდობიან მშენებლობაზე
გადასვლას, მძიმე ომისაგან განადგურებული
სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალი-
ზმის მშენებლობის ინტერესებს, დიდი ლენინი
პარტიას იმთავითვე ამოცანად უსახავდა, რომ
სსრ კავშირში მოსახლე ხალხთა უფლებრივი
თანასწორობა განემტკიცებინათ ფაქტიური თა-
ნასწორობით, წინათ ჩამორჩენილი ხალხები გა-
მოეყვანათ ცხოვრების მოწინავე ასპარეზზე.

ეყრდნობოდა რა ვ. ი. ლენინის ამ მითითე-
ბებს, პარტიის X ყრილობამ, რომელმაც მოის-
მინა ი. ბ. სტალინის მოხსენება პარტიის მორიგ
ამოცანებზე ნაციონალურ საკითხში, დასახა ჩა-
მორჩენილი ხალხებისადმი დახმარების დიდი
პროგრამა. „ნაციონალური საკითხის არსი იმა-
ში მდგომარეობს, — ამბობდა ი. ბ. სტალინი
ყრილობაზე, — რომ მოვსპობ ზოგიერთი ერის ის
ფაქტიური ჩამორჩენილობა (სამეურნეო, პოლი-



ტიკური, კულტურული), რომელიც მათ მემკვიდრეობად გადმოეცათ წარსულისაგან, რომ საშუალება მიეცეთ ჩამორჩენილ ხალხებს დაეწონ ცენტრალურ რუსეთს სახელმწიფოებრივადაც, კულტურულადაც და მეურნეობრივადაც¹. პარტიის X ყრბლობის მიერ შემუშავებული პროგრამა უპირველეს ყოვლისა ითვისწინებდა წინათ ჩამორჩენილ მხარეებში მრეწველობის კერების შექმნას და ადგილობრივი პროლეტარული კადრების აღზრდას. იგი ითვისწინებდა აგრეთვე ეროვნული კადრების მომზადებას სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგისათვის.

შევიდა რა საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში, ეს ამოცანები მკვეთრად დაისახა საბჭოთა საქართველოს წინაშეც. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართ თავიდანვე ითვისწინებდა ამ ქვეყნების ხალხთა ეკონომიური განვითარებისა და სულიერი ცხოვრების თავისებურებებს, იმას, რომ ცარიზმის ნაციონალისტური პოლიტიკის შედეგად ეს ქვეყნები კიდევ უფრო გლახური იყვნენ, ვიდრე რუსეთი. და მათ ესაჭიროებოდათ მეტი დანაშრება და მზრუნველობა თავიანთი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. ამიტომ დიდმა ლენინმა, პარტიამ ადგილობრივი კომუნისტების ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, მიაქცია სწორედ ამ თავისებურებებს, მიუთითა, რომ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების, ნაციონალური მშვიდობის დამყარებისა და სოციალიზმის მშენებლობის ინტერესებისათვის აქ საჭიროა ბრძოლა არ გადმოიღონ რუსეთის სინამდვილეში გამოცდილი ტაქტიკა, არამედ „მოფიქრებულად შეუფარდონ იგი კონკრეტული პირობების სხვაობას“².

ამასთანავე ვ. ი. ლენინმა საქართველოს კომუნისტურ პარტიას დაუსახა გრანდიოზული ამოცანები სოციალიზმის მშენებლობის დარგში. ეს ამოცანები გამომდინარეობდნენ ლენინის მიერ შემუშავებული სოციალისტური მშენებლობის საერთო გეგმიდან, მაგრამ აქ ყურადღებას იქცევს მთელი კავკასიის ქვეყნებისა და მათ რიცხვში საქართველოს თავისებურებები, რომლებიც ზუსტად და მკაფიოდ ახასუთია ლენინის დებუებასა და წერილებში საქართველოს რევკომისადმი, ს. ორჯონიკიძისადმი და განსაკუთრებით 1921 წლის 14 აპრილის წერილში კავკასიელი კომუნისტებისადმი, აგრეთვე ლენინ-

ის მოდვაწეობიმ უკანასკნელ პერიოდის წერილებში, ცალკეულ წინადადებებსა და სურვილებში, რომლებიც შემონახულია ლენინის ახლო ნაცნობებისა და მეგობრების მოგონებებში.

განვლილი წლების განმავლობაში საქართველოს მზრამეული ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ასრულებდა ლენინის მიერ დასახულ ამოცანებს. მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ აშუაადაც, ისინი ჩვენს ხალხს მულამ აღაფრთოვანებენ კომუნისმის მშენებლობის გზაზე.

საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში უადრესად მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. იმპერიალისტურმა ომმა, ხოლო შემდეგ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიებისა და უცხოელი იმპერიალისტების ბატონობამ კატასტროფამდე მიიყვანა საქართველოს ეკონომიკა.

მრეწველობა მეფის რუსეთში, კაპიტალისტური განვითარების მხრივ მოწინავე ქვეყნებთან შედარებით დაბალ დონეზე იდგა. მაგრამ ცარიზმის ნაციონალისტური და კოლონიური პოლიტიკის წყალობით საქართველო დიდად ჩამორჩებოდა თვით რუსეთს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში უმთავრესად იყო წვრილი კაპიტალისტური მრეწველობა. მათში სჭარბობდა ხელოსნურ-შინამრეწველური საწარმოები. 1913 წელს არსებული 205 ფაბრიკა-ქარხნიდან მხოლოდ 34 იყო ისეთი, სადაც თითოეულში ითვლებოდა 50 და მეტი მუშა, ხოლო საშუალოდ თითოეულზე 38,5 მუშა მოდიოდა.³


1913 წელს რუსეთის მსხვილი მრეწველობის პროდუქციის ღირებულება მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენდა 73 მანეთს. საქართველოში კი 18 მანეთს. 1913 წელს რუსეთში ელექტროენერგია ერთ სულზე მოდიოდა 13,7 კილოვატსაათი, საქართველოში კი 7,9 კილოვატსაათი. ქვანახშირი რუსეთში ერთ სულზე მოდიოდა 209 კილოგრამი, საქართველოში — 28,4 კილოგრამი. მრეწველობის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი დარგი როგორცაა ლითონის დამუშავება, მანქანათმშენებლობა და სხვა, აგრეთვე პირადი მოხმარების საგნების წარმოება საქართველოში თითქმის სრულებით არ იყო.

თვრელმა იმპერიალისტურმა ომმა და მენშევიკების სამი წლის ბატონობამ კიდევ უფრო დააქვეითა საქართველოს ისედაც ჩამორჩენილი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. საქარისია მივუთითოთ, რომ 1921 წელს საქართველოს

¹ ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 42.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 398.

³ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 — 1946 წ.წ. პ. გუგუშვილის რედაქციით,



მრეწველობის პროდუქცია ომამდელი დონის მხოლოდ 13,8 პროცენტს შეადგენდა იმის გამო, რომ მენშვეიკებმა საქართველო საბჭოთა რუსეთს მოწვევით საქართველოს სოფლის მეურნეობის ისეთი დიდმნიშვნელოვანი დარგები, როგორც იყო შევენახეობა-მეღვინეობა, მეთამბაქოობა, მებაღეობა-მეხილეობა, რომელთაც გამსაღებელი ბაზები წაერთვათ, განადგურების პირას მივიდნენ, სავსებით მოიშალა ისედაც მცირე და გაუმართავი სარწყავი სისტემები, გველურდა ნათესი ფართობი.

მიუხედავად ამ მძიმე მემკვიდრეობისა, თავისუფალმა ქართველმა ხალხმა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კომუნისტური პარტიის მეთაურობით ენერგიულად მოჰკიდა ხელი თავისი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის ხელახლა შექმნასა და განვითარებას. დაიწყო საქართველოს ეკონომიური და კულტურული აღორძინების ხანა. ისე, როგორც მთელ რუსეთში, საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში დაამსხვრია ძველი დროშოქმული წარმოებითი ურთიერთობანი და შექმნა განუყოფელი შესაძლებლობანი საწარმოო ძალების გაფურჩქვნა-განვითარებისათვის. მრეწველობის, ტრანსპორტის, ბანკების, მიწების ნაციონალიზაციამ, მემამულეებისა და კაპიტალისტების დათურგვნამ, მშრომელი გლეხობის სარგებლობაში მიწების უფასო გადაცემამ გზა გაუხსნა ხალხის უდიდეს შემოქმედებით შესაძლებლობებს. ძირითად საწარმოო იარაღებსა და საშუალებებზე კერძო საკუთრების გაუქმებამ ბიძგი მისცა სახალხო მეურნეობაში სოციალისტური ფორმების თანდათანობით განმტკიცებასა და განუხრელ წრდას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე ამუშავდა ქვანახშირის შახტები, ვანახლდა მუშაობა ჭიათურაში, ბათუმსა და ქუთაისში. 1921 წლის ზაფხულში თბილისში ამუშავებულ იქნა პირველი ახალი საწარმო — თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკა. იმავე წელს სრული დატვირთვით დაიწყო მუშაობა რკინიგზის მთავარმა სახელისონამ და იმ ქარხნებმა, რომელიც ახლა ს. ორჯონიკიძისა და მ. კალინინის სახელებს ატარებენ. 1923 წლის შემოდგომაზე საფუძველი ჩაეყარა ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის (ზაჰესი) მშენებლობას. 1923 წელს საქართველოს მშრომელებმა მიიღეს მოსკოვის მუშების საჩუქარი — საფეიქრო ფაბრიკა, რომელიც ქ. ქუთაისში იქნა აგებული.

არა მარტო საბჭოთა ხელისუფლების მოპოვების, არამედ მისი განმტკიცებისა და ქვეყნის

ეკონომიური აღორძინების საქმეში ქართველ ხალხს უდიდეს დახმარებას უწევდა რუსი ხალხი. სამართლიანად ამბობდა ს. ორჯონიკიძე 1922 წლის 11 დეკემბერს ამიერკავკასიის საბჭოების პირველ ყრილობაზე, რომ საბჭოთა ხელისუფლების არა მარტო გამარჯვება, არამედ მისი შენარჩუნებაც ამიერკავკასიაში შეუძლებელი იქნებოდა საბჭოთა რუსეთის დახმარების გარეშე. საბჭოთა რუსეთი უგზავნიდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს პურს, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ განიცდიდა დიდ სიძნელეებს. საბჭოთა რუსეთმა 1921-1922 წლებში დიდადი ოქრო გაიღო მულანის სარწყავი სისტემის აღსადგენად და მისი საქიროებისათვის ტრაქტორების შესაძენად, 700 ათასი მანეთი გაიღო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის ასაგებად. მარტო 1921 წელს საბჭოთა რუსეთმა მისცა აზერბაიჯანს, საქართველოსა და სომხეთს 8 მილიონ მანეთზე მეტი ოქროთი. ს. ორჯონიკიძე სამართლიანად აღნიშნავდა, რომ საბჭოთა რუსეთი და რუსი ხალხი გადაიქცა „საერთო რეზერვად“, რომელიდანაც ჩამორჩენილი და ეკონომიურად დაუძლურებული ხალხები „ღებულობდნენ ყველაფერს, რაც კი შესაძლებელი იყო“.¹

რუსი ხალხის ძმური დახმარების შედეგად საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შესძლეს რამდენიმე წლის განმავლობაში მრეწველობის აღდგენა, ხელახლა შეიარაღება და წყლის გამართვა. ჯერ კიდევ პირველი ხუთწლილის წინ დაიწყო თბილისის მალდ-კამვილის ფაბრიკის მშენებლობა, მოეწყო თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა, აშენდა მთელი რიგი აბრეშუმის ძაფსართავი ფაბრიკები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. პირველი ხუთწლილის დასაწყისისათვის ჩვენი მრეწველობა ბევრად უფრო მძლავრი იყო, ვიდრე 1913 წელს.

აღდგენითი პერიოდის დასასრულს პარტიამ თავის XIV ყრილობაზე (1925 წ. დეკემბერი) შეიმუშავა საბჭოთა ქვეყანაში მძიმე ინდუსტრიის განვითარების კურსი. ეს ლენინური კურსი დიდი წარმატებით გატარდა საქართველოშიც.

პირველი ხუთწლილის წინა ხანებში (1927 წელს) ამუშავდა ზაჰესი, რომელიც მაშინ უდიდესი იყო საბჭოთა კავშირში. იაფმა ელექტროენერგიამ კიდევ უფრო დააჩქარა საქართველოს მრეწველობის განვითარების ტემპები. პირველ ხუთწლიდში როგორც საერთოდ საბჭოთა კავშირში, ისე საქართველოშიც გაიშალა დიადო მშენებლობანი.

¹ გ. კ. ორჯონიკიძე, რჩეული სტატეები და სიტყვები, 1945 წ. გვ. 92.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა დიდ სამუშაოთა პირველი ხუთწლიანი გეგმა (1928-1932 წლები) შესარულა 4 წელიწადსა და 3 თვეში. წარმატებით შესარულეს ხუთწლიდის დავალებანი საქართველოს მშრომელებმაც. პირველ ხუთწლიდში დაიწყო რიონის, ზესტაფონის ფერომაგანეცის, თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი, ქუთაისის საკონსერვო ქარხნის და მთელ რიგ სხვა საწარმოთა მშენებლობა. დამთავრდა 26 კომისიისა და ორჯონიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნების რეკონსტრუქცია, ამუშავდა თბილისის მაუდკამოლის ფაბრიკა, მწყობრში ჩადგა რამდენიმე ახალი მაღარო, მარგანეცისა და ბარის საბადოები, დაიწყო გუმბრინის ამოღება.

მრეწველობის აღდგენასა და განვითარებასთან ერთად მიმდინარეობდა მოსამზადებელი მუშაობა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის. სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის წინასწარ პირობას წარმოადგენდა მძღავრი სოციალისტური მრეწველობის შექმნა, ხოლო მისი განვითარების საფუძველს — საბჭოთა ხელისუფლების აგრარული პოლიტიკა.

ატარებდა რა ინდუსტრიალიზაციის ლენინურ პოლიტიკას, პარტიას არასოდეს არ შეუწყენებია ყურადღება სოფლის მეურნეობისადმი, ნერგავდა მასში სოციალიზმის საწყისებს, ხოლო გლეხთა მასას აშალებდა კოლექტივიზმის რეღსებზე გადასაცვანად.

ხანგრძლივი მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ პარტიამ თავის XV ყრილობაზე (1927 წ. დეკემბერი) დასახა სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რეღსებზე გადაყვანის ღონისძიებანი, როგორც დღის წესრიგში მდგომი ამოცანა. ეს ამოცანა პრაქტიკულად დადგა საქართველოს კომუნისტური პარტიის წინაშეც.

საქართველოში პირველი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აღდგენითი პერიოდის პირველ წლებში წარმოიშვნენ. 1927 წლის დამდგენისათვის კოლმეურნეობათა რიცხვმა 108-ს მიაღწია.¹ ამ მეურნეობათა მაგალითზე საქართველოს მშრომელი გლეხობა რწმუნდებოდა მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობაში, ხოლო 1930-1931 წლებში კიდევაც იწყო გადასვლა მასზე მასობრივად.

მეორე ხუთწლიდის (1933-1937) განმავლობაში საქართველოს მრეწველობას შეემატნენ სრულიად ახალი დარგები — კვებისა, მსუბუქი მრეწველობისა. საფეიქრო მრეწველობისა და საშენი მასალების საწარმოები. მეორე ხუთ-

წლიდის ბოლოსათვის საქართველოს სახალხო მეურნეობაში მრეწველობის ზვედრითმა წონამ 75,2 პროცენტს მიაღწია. ეს იმას ნიშნავდა, რომ საქართველო სსრ კავშირის ერთ-ერთი მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარული რესპუბლიკა გახდა.

მეორე ხუთწლიდის პერიოდში დიდი განვითარება მიიღო საკოლმეურნეო მშენებლობამ. უკვე 1935 წელს კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო საქართველოს გლეხურ მეურნეობათა 70 პროცენტი. საკოლმეურნეო მშენებლობა სულ უფრო მზარდი ტემპით ვითარდებოდა, რასაც ხელს უწყობდა სოციალისტური მრეწველობის მიერ მისთვის შექმნილი მატერიალური ბაზა — მაღალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო იარაღები — ტრაქტორები, კომბაინები და სხვ. საკოლმეურნეო მშენებლობის გაჩაღებისას კომუნისტურმა პარტიამ მოზილიზაცია გაუკეთა მუშათა კლასის საუკეთესო ძალებს და გაგზავნა ისინი სოფლად სამუშაოდ, გლეხობისათვის დახმარების გასაწევად, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი. ცნობილ ოცდახუთათასელთა რიცხვში სოფლად გამეზავრა ბევრი ქართველი მუშაც, რომლებმაც, დიდი როლი შეასრულეს საკოლმეურნეო მშენებლობის განვითარებაში. ბევრი ოცდახუთათასელი ბოლომდე შერჩა და აშჟამადაც განაგრძობს თავის საბატიო საქმეს.

მეორე ხუთწლიდის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლის წლებში საქართველოში, ისე როგორც მთელ საბჭოთა ქვეყანაში, სოციალისტურმა სისტემამ გაიმარჯვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მეურნეობისა და კულტურის დარგში მოპოვებული მიღწევებისათვის 1936 წელს სსრ კავშირის მთავრობამ საქართველოს სსრ რესპუბლიკა ლენინის ორდენით დააჯილდოვა, რამაც ქართველი ხალხი ახალი შრომითი აღმავლობისათვის ადაფრთოვანა.

პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ დარგში მოპოვებულ მიღწევებთან დაკავშირებით 1936 წელს სსრ კავშირის ახალმა კონსტიტუციამ გაითვალისწინა ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმება, რომელმაც თავისი არსებობის პერიოდში (1922-1936) სახეებით შესარულა მასზე დაკისრებული ისტორიული როლი. ახალი კონსტიტუციის საფუძველზე, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები გახდნენ მოკავშირე რესპუბლიკები და უშუალოდ შევიდნენ საბჭოთა სახელმწიფოს დიდ გაერთიანებაში — სსრ

¹ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1946 წ.წ. პ. გუგუშვილის რედაქციით.



კავშირში, როგორც მისი სრულუფლებიანი წევრები.

სსრ კავშირის კონსტიტუციის საფუძველზე 1937 წლის 13 თებერვალს საქართველოს საბჭოების VIII საგანგებო ყრილობამ დაამტკიცა საქართველოს სსრ კონსტიტუცია, რომელიც ასახულია ის გამარჯვებანი, რომლებიც ქართველმა ხალხმა მოიპოვა სსრ კავშირის მეგობრულ ოჯახში მოძმე ხალხების ძმური დახმარებით.

მესამე ხუთწლიელ განმავლობაში საქართველოში მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და კულტურა კიდევ უფრო სწრაფად ვითარდებოდა. მაგრამ მესამე ხუთწლიელ წარმატებით შესრულების მსვლელობა შეწყვიტა გერმანელ ფაშისტ ბარბაროსთა მუხანათურმა თავდასხმამ ჩვენს საბჭოთა სამშობლოზე.

ჩვენს ქვეყანაზე ჰიტლერული გერმანიის ვერაგული თავდასხმა წარმოადგენდა საბჭოთა ხალხის მატერიალურ და სულიერ ძალთა უდიდეს გამოცდას. დიდი სამამულო ომის მსვლელობაში მთელი ძალით გამოვლინდა საბჭოთა წყობილების სიმტკიცე და სიცოცხლისუნარიანობა, გეგმიანი საბჭოთა ეკონომიკის დიდი უპირატესობა ყველა მეომარი ქვეყნის ეკონომიკასთან შედარებით.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების უზრუნველყოფის საქმეში თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა ქართველმა ხალხმა. სსრ კავშირზე ჰიტლერელების თავდასხმისთანავე ფრონტზე გაეშურენ მისი საუკეთესო შვილები საქართველოს კომპარტიის წევრთა და კანდიდატთა ნახევარზე მეტი საბჭოთა არმიის წევრად.

საქართველოდან წარგზავნილი მეომრებიდან საბჭოთა მთავრობამ მამაცობისა და შეუპოვარი ბოროლისნათვის 129 მეომარს საბჭოთა კავშირის გამორის საპატიო წოდება მიანიჭა, რამდენიმე ათეული ათასი მეომარი საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით იქნა დაჯილდოებული.

დიდი სამამულო ომის პერიოდში თავდადებით მუშაობდნენ შინდარჩენილები — ზურგის მუშაკები. საქართველოს მუშათა კლასმა, კომმუნისტურმა გლეხობამ და ინტელიგენციამ მთელი თავიანთი ძალები ფრონტისადმი სამსახურს მონაწილეობს.

აჯამებდა რა ქართველი ხალხის მონაწილეობას დიდ სამამულო ომში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო კ(ბ) ცენტრ-

ლურმა კომიტეტმა თავის მისალმებაში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავზე 1946 წლის 25 თებერვალს აღნიშნეს: „სამამულო ომის წლებში ქართველმა ხალხმა კეთილსინდისიერად შესარულა თავისი ვალდებულება სამშობლოს წინაშე“¹.

დიდ სამამულო ომში კიდევ უფრო მეტად, ვიდრე იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომის პერიოდში, საბჭოთა ხალხმა მეტად მძიმე ზარალი განიცადა. ომმა მილიონობით საბჭოთა ადამიანი შეიწირა. მათ რიცხვში იყო ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები. დიდი სამამულო ომის პერიოდში საქართველოს მხოლოდ მცირე ნაწილი იყო საომარი მოქმედების ასპარეზი მიუხედავად ამისა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობამ მძიმედ განიცადა ომის მთელი სიმწვავე. ომის დღეებში ქართველმა ხალხმა გაგზავნა რა ფრონტზე თავისი საუკეთესო შვილები, შეფერხდა სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგების განვითარება. სახალხო მეურნეობის ზოგერთი დარგი კი საგრძნობლად დაქვეითდა და დაზარალდა. ამიტომ ომის შემდეგ საქართველოში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, მკვეთრად დადგა მთელი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების ამოცანა.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის კანონში ჩაწერილ იქნა: „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად... საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანაა — აღმოფხვრას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში ომის შედეგები, აღადგინოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდგომ მნიშვნელოვანი ოდენობით გადააჭარბოს ამ დონეს“².


საქართველოს მშრომელმა ხალხმა კომუნისტური პარტიის მეთაურობით წარმატებით გადაჭრა ეს ამოცანა. საქართველოს მრეწველობის პროდუქციის მოცულობამ უკვე 1948 წელს საგრძნობლად გადააჭარბა (29,2 პროცენტით) ომისწინა დროის — 1940 წლის დონეს“³.

ომისშემდგომი პირველი ხუთწლიანი გეგმა (1946-1950) საბჭოთა ხალხმა შესარულა ოთხ წელსა და 4 თვეში. საქართველოს სსრ რესპუბლიკის მრეწველობამ ხუთწლიანი გეგმით 1950

¹ გაზ. „კომუნისტი“, 1946 წ., № 48.

² კანონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის და განვითარების 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, სახელგამი, 1956 წ., გვ. 6.

³ საქართველოს კ(ბ) XXIV ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 418.



წლის ბოლოსათვის გათვალისწინებულ დონეს 1949 წლის IV კვარტლის დასაწყისში მიაღწია.

ომისშემდგომ ხუთწლიანში საქართველოს სსრეს რესპუბლიკის ეკონომიური განვითარების თავისებურებას, ისე როგორც წინათ, კვლავ წარმოადგენდა მისი მძიმე მრეწველობის — მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებისა და აყვავების, ამ საფუძველთა საფუძველის მძლავრი წინსვლა.

ომისშემდგომ ხუთწლიანში შეიქმნა ახალი დიდი საწარმოები — ი. ბ. სტალინის სახელობის რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა, გორის ბამბეულის კომბინატი, თბილისის ლოკომოტივ-სარემონტო ქარხანა. აშენდა და ამუშავდა ხრამის, სოხუმის, ჩითახევის, სამგორის, შაორისა და სხვა ჰიდროელექტროსადგურები, დაიწყო ლაჯანურის, ხრამის №2, გუშათის №1, ტყიბულისა და სხვა ელექტროსადგურების მშენებლობა; ამუშავდა ქვანახშირის ახალი შანტები, სამთო-სამანტო მოწყობილობის ქარხანა, ტყიბულის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკა, მეოთხე-მეხუთე ხუთწლიანების მანძილზე საქსპლოსავიად გადაეცა 250-ზე მეტი ახალი საწარმო. ომისშემდგომი ხუთწლიანების პერიოდში რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის ნომენკლატურაში გაჩნდა თუჯი, ფოლადი, კოქსი და ავტომობილი.

საქართველოს მეტალურგიის ქალაქი რუსთავი ომისშემდგომ წლებში გაჩნდა რუკაზე. მრავალი საუკუნის წინათაც ყოფილა ქალაქი ქართული მიწის ამ მოსაკვეთზე, მაგრამ მომხდურებმა ცეცხლითა და მახვილით წაშალეს მისი სახსენებელი. ქართველი ხალხის მადლიანმა მარჯვენამ, რომელსაც ჩვენი დიდი სამშობლოს მრავალი ხალხი ეხმარებოდა, მკვდრებით აღადგინა, აღორძინა, ახალ საძირკველზე დააფუძნა წინათ ფერფლად ქცეული ქალაქი. ამ ოდესღაც სროკ ველზე ზღაპრული დევებივით აღიმართნენ ბრძმედები, მარტენის ღუმეღთა მიღები, საგლინავ სამქროთა კორპუსები. ღუმეღებსა და დგანებთან კი დატრიალდნენ მეტალურგები, მეფოლადეები, მებრძმედები, და მგლინავები — საქვეყნოდ სახელმწიფოევილი ქართველი, რუსი სომეხი და სხვა მრავალი ეროვნების წარმომადგენლები, რომელთაც სოციალისტური შრომით ისახეღეს თავი. რუსთავში, გარდა მეტალურგიული ქარხნისა, აიგო და მუშაობენ აზოტოვანი სასუქებისა და ცემენტის ქარხნები, რკინა-ბეტონის კომბინატი და სხვა საწარმოები.

ომისშემდგომი პერიოდის მეორე დიდი საწარმოა ს. ორჯონიკიძის სახელობის ქუთაისის


სავტომობილო ქარხანა, რომელიც იძლევა 90 ცხენისძალის სატვირთო ავტომობილს და დანიშნულია 3,5 ტონა ტვირთისათვის. ქუთაისის სავტომობილო ქარხნის კონვეიორიდან წლიურად ჩამოდის მრავალი ათასი სატვირთო თვითმცლელი, ცემენტსაზიდი, ბამბისსაზიდი და სხვა მარკის ავტომობილები, იქვე მზადდება აგრეთვე მანქანის სათადარიგო ნაწილები.

ომისშემდგომ წლებში განვითარების მაღალ ტემპს მიაღწია საქართველოს სოფლის მეურნეობამ. უკვე 1947-1948 წლებში გაცილებით მეტი პროდუქცია იქნა მიღებული, ვიდრე ომამდღე, სოლო მეოთხე ხუთწლიანის ბოლოს (1950 წ.) სოფლის მეურნეობის დონე კიდევ უფრო ამაღლდა. ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დარგში ომამდელი დონე გადაჭარბებული იქნა ორჯერ და უფრო მეტად, ყურძნის ჩაბარება 70 პროცენტით, მარცვლეული კულტურის მოსავალი 67 პროცენტით.

მეხუთე ხუთწლიანის პირველ წლებშიც საქართველოს სახალხო მეურნეობა განაგრძობდა აღმავლობას. 1951 წელს მრეწველობის პროდუქცია 13 პროცენტით გაიზარდა. 1952 წელს 11 პროცენტით, იმატა სოფლის მეურნეობის პროდუქციამაც; მაგრამ ეს ზრდა სრულიად არ შეესაბამებოდა იმ შესაძლებლობებს, რასაც მეურნეობის სოციალისტური სისტემა შეიცავს.

სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის მობრუნების პუნქტი გახდა სკკ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებები, რომელიც მიღებული იყო ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო.

სკკ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 9 სექტემბრის დადგენილება საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ, წარმოადგენდა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საფუძველს. ამ დადგენილებებით აღკვეთილ იქნა ჩვენს რესპუბლიკაში სოხობის კულტურის უპირატესი განვითარების არასწორი კურსი და განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საქართველოს შავისა და ნიადაგისათვის შესაფერისი კულტურების — ჩაის, ვენახის, ხეხილის, თამბაქოსა, ტუნგოს. დაფნის და სხვათა განვითარებას. ხორბალს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში შერჩა გარკვეული ხვედრითი წონა, მაგრამ აღკვეთილი იქნა მისი გავრცელება იმ ადგილებში, სადაც შეიძლება განვითარდეს ვენახი, ხეხილი, ტექნიკური და სხვა კულტურები. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს იმავე დადგენილებით საგრძნობლად გადიდდა ხუთწლიანი გეგმის



დავალდებანი ზემოდანისმული კულტურების დარგში.

სექტემბრის და შემდგომი პლენუმების, პარტიის XX და XXI ყრილობების ისტორიული გადაწყვეტილებებიდან საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ შეთანადო დასკვნები გააკეთა, დიდი როლი შეასრულა რესპუბლიკის უფლებათა გაფართოებამ მეურნეობისა და კულტურის ხელმძღვანელობაში, დაგეგმვის პრაქტიკის შეცვლამ და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ახალმა წესმა, შრომის ანაზღაურების მატერიალური დაინტერესების პრინციპის ფართოდ დანერგვამ, მრეწველობის მართვის ორგანიზაციის გარდაქმნამ, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციამ და საკოლმეურნეო მშენებლობის შემდგომმა განვითარებამ. ამ ღონისძიებთა შედეგად დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. 1959 წელს მრეწველობის პროდუქციამ 38-ჯერ გადაჭარბა 1913 წლის დონეს და 3,7-ჯერ 1940 წლის დონეს. ამჟამად ჩვენი რესპუბლიკა ყოველ ცხრა დღეში იღებს უფრო მეტ ქვანახშირს და საქართველოს ელექტროსადგურები ყოველ სამ დღეში იძლევიან უფრო მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე მთელ 1913 წელს. უკანასკნელ წლებში, აშენდა 200-ზე მეტი ახალი სამრეწველო საწარმო, მათ შორის გუმბათისა და ლაქანურის ჰიდროელექტროსადგურები, ახალი შახტები, ჩაის ფაბრიკები, საკონდიტრო, ღვინის, ელექტროტექნიკურ ხელსაწყოების, სამშენებლო და სხვა საწარმოები. რესპუბლიკის ცხოვრებაში დიდ მოვლენას წარმოადგენს ყარაღაღ-თბილისის გაზსადენისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ატომური რეაქტორის მშენებლობის დამთავრება. საქართველოს სამრეწველო საწარმოები, რომლებმაც საბრძოლო პროგრამად მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის (1960 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებები, განუწყვეტლივ სრულყოფენ საწარმოო მოწყობილობებს, ნერგავენ ტექნიკურ პროგრესს, ზრდიან პროდუქციის გამოშვებას.


უკანასკნელ წლებში დიდ წარმატებას მიაღწია რესპუბლიკის მრავალდარგოვანმა სოფლის მეურნეობამ. ხარისხოვანი ჩაის საშუალო მოსავალი 1953-1958 წლებში ავიდა 110 ათას ტონამდე, მამინ როცა წინა ხუთწლეულში იგი შეადგენდა 87 ათას ტონას, ხოლო 1959 წელს მიღებული იქნა 140.300 ტონა, 1960 წელს კი 156 ათასი ტონა. 1959-1960 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა გაცილებით მეტი ყურძენი, ხილი, ხორცი, რძე და რძის პროდუქტი, ვიდრე წინა წლებში.

მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მოპოვებულმა დიდმა მიღწევებმა ამაღლეს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა, სამუდამოდ ჩაბარდა ისტორიას ხვალისდელი დღის შიში, მშვიერი და ლატაკური ცხოვრება. ფასების სისტემატურმა დაკლებამ და სამრეწველო და სასურსათო პროდუქციის განუწყვეტელმა ზრდამ განამტკიცა მუშის, კოლმეურნის და ინტელიგენტური შრომის მუშაკთა ბიუჯეტი. მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლების ერთ-ერთი მაჩვენებელია მოსახლეობის სულადობრივი ზრდა. 1921 წელს საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 2.210 ათას სულს, 1959 წელს კი 4.049 ათას. ფართოდ ვამოქმედო სამრეწველო მშენებლობებმა გამოიწვია ქალაქის მოსახლეობის ზრდა 475 ათასიდან (1921 წ.) 1.696 ათასამდე (1959 წ.).

გაიზარდა და გამშვენიერდა საქართველოს სსრ დედაქალაქი თბილისი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში თბილისი მსხვილ ინდუსტრიულ ცენტრად გადაიქცა. გაიზარდნენ და ინდუსტრიულ ცენტრებად იქცნენ აგრეთვე ქუთაისი, ბათუმი, ფოთი, სოხუმი, სტალინირი, ჭიათურა, ტყვარჩელი, გორი, ზუგდიდი, მანარაძე, კასპი და სხვა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში რესპუბლიკის რუკაზე 22 ახალი ქალაქი გაჩნდა. მათ რიცხვში ქვანახშირის ქალაქი ტყვარჩელი. მეტალურგების ქალაქი რუსთავი და სხვ., რომლებიც ცნობილი გახდნენ თავიანთი საწარმოების პროდუქციით და მოწინავე ადამიანებით.

საკვებით შეიცვალეს სახე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურმა სოციალისტურმა რესპუბლიკებმა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა. იქ მოსახლე ხალხები რევოლუციამდე კიდევ უფრო მეტად იყვნენ ჩამორჩენილი ეკონომიური და კულტურის განვითარების მხრივ. მაგრამ ამჟამად მათში შექმნილია მოწინავე მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. ამ ხალხებმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში შექმნეს მდიდარი კულტურა.

წარსულში უადრესად ჩამორჩენილი საქართველო ამჟამად შეიძლება შევადაროთ ევროპისა და აზიის უდიდეს სახელმწიფოებს. ერთ სულ მოსახლეზე თუჯის გამოდნობით იგი რამდენიმეჯერ აჭარბებს ისეთ კაპიტლისტურ ქვეყნებს, როგორცაა იაპონია და იტალია. იგი უშვებს მეტ ფოლადს, ვიდრე შვეიცარია, ნორვეგია და თურქეთი ერთად, აწარმოებს მეტ ნედლ აბრეშუმს ვიდრე თურქეთი და იაპონია. საქართველო სულ უფრო მზარდ მონაწილეობას იღებს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საერთო საკავშირო გაცვლაში, საქართველოდან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში ყოველწლიურად გადის მრავალი მილიონ-



ნი მანეთის სამრეწველო საქონელი, და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. საქართველო საქონელს აწვდის საზღვარგარეთის 50-ზე მეტ ქვეყანას. დიდი მოთხოვნილებაა საქართველოს მარგანეცზე, საქართველოში დამზადებულ მანქანებზე, ჩარხებზე, ლითონის მიღებზე, ფერო-შენადნობებზე, ჰიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოებზე, სამედიცინო პრეპარატებზე და სხვა. ქართული წარმოების სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საქონლის ასორტიმენტი ასზე მეტი სახელწოდებისაა.

საქართველო ცნობილია როგორც ერთერთი უძველესი კულტურის ქვეყანა, მაგრამ ქართულ კულტურას განვითარების პირობები შეექმნა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ჩვენი პარტია ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს ვ. ი. ლენინის მითითებებით იმის შესახებ, რომ სოციალიზმი არათუ არ სპობს ეროვნულ განსხვავებებსა და თავისებურებებს, არამედ, პირიქით, უზრუნველყოფს ყველა ერისა და ეროვნების ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივ აყვავებასა და განვითარებას. კომუნისტურ პარტიას თავის მოვალეობად მიიჩნია უადრესი ყურადღებით მოეკიდოს ამ თავისებურებებს. ამის მაგალითია ქართული ეროვნული კულტურის დიდი განვითარება საბჭოთა ხელისუფლების წლებში. საბჭოთა ხელისუფლებამ ფართო გზა გაუხსნა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური ქართული კულტურის განვითარებას. განვლილი წლების მანძილზე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით საქართველოში გაიხსნა მრავალი სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი, სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტი და თეატრი, კლუბი და მიზნოლოგიკა, სტაციონალური და მოძრავი კინო დანადგარი.

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში 4.242 ზოგადი განათლების (დაწყებითი, შვიდწლიანი, საშუალო) სკოლაა 670 ათასი მოსწავლით. 1914-1915 სასწავლო წელს კი იყო მხოლოდ 1765 ზოგადი განათლების სკოლა 15ნ მოსწავლით. რევოლუციამდე საქართველოში არ იყო არცერთი უმაღლესი სასწავლებელი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, რომელიც 1918 წელს დაარსდა მენშევიკების წლებში ვერ მოახერხა მუშაობის ნამდვილი გაშლა. ამჟამად რესპუბლიკაში უნივერსიტეტს გარდა კიდევ 17 უმაღლესი სასწავლებელია, რომლებშიც 77 ათასამდე სტუდენტი სწავლობს, მათ შორის 32 ათასი წარმოების მოუწყვეტლად. დიდად ამაღლა მოსწავლეთა და სტუდენტთა სწავლის ხა-

რისხი სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცებამ.

დიდი ქართველი მწერალი — დემოკრატი ილია ჭავჭავაძე ოცნებობდა იმ დროზე, როცა საქართველოს 20-30 ინჟინერი და აგრონომი ეყოლებოდა, ამჟამად გაცილებით მეტი ინჟინერი და აგრონომი საქართველოს თვითი რაიონში მუშაობს. რესპუბლიკას ყავს ყველა სახის 300 ათასზე მეტი სპეციალისტი, რომლებიც ნაყოფიერად მუშაობენ სახალხო მეურნეობის და კულტურის სხვადასხვა დარგში. სპეციალისტების მომზადებისა და უმაღლესი განათლების მხრივ საქართველოს პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. აქ ყოველ ათას კაცზე 18 უმაღლეს დამთავრებული მოდის ე. ი. მ.წ-ჯერ მეტი, ვიდრე საფრანგეთში, 4-ჯერ მეტი, ვიდრე ინგლისში, 10-ჯერ მეტი, ვიდრე თურქეთში და 50-ჯერ მეტი ვიდრე ირანში.

პარტიისა და ხალხის მიერ მაღალი მოთხოვნის წაყენებამ ამაღლა სამეცნიერო და შემოქმედებითი დაწესებულებების მუშაობის ხარისხი, ქართველმა მეცნიერებმა შეიმუშავეს ლითონური მარგანეცის მიღების ახალი საშუალებანი, რასც დიდი გამოყენება აქვს მეტალურგიულ მრეწველობაში, შეისწავლეს რესპუბლიკის მდიდარი ჰიდროენერგეტიკული რესურსები, წიაღისეული სიმდიდრენი და მათი ექსპლოატაციის წესები, მშვიდობიანი მიზნით გამოსაყენებლად შეისწავლეს ატომგულის თერმული რეაქციები და სხვ.

დიდ წარმატებებს მიაღწია ლიტერატურამ და ხელოვნებამ. მხატვრებმა, კომპოზიტორებმა, სახვითი ხელოვნების მუშაკებმა, მწერლებმა შექმნეს მრავალი ისეთი ნაწარმოებები, რომლებმაც საერთო აღიარება ჰპოვეს როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ქართული კულტურის მიღწევებმა მაღალი შეფასება მიიღეს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადზე, რომელიც 1958 წელს ჩვენი საშობლოს დედაქალაქ მოსკოვში გაიმართა. ამ დეკადას წინ უსწრებდა აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დეკადები, კულტურის მიღწევათა რაიონული დათვალეირება, ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების „თეატრალური გაზაფხული“ და სხვ. კულტურის მიღწევათა ამ დემონსტრაციამ ნათლად გვიჩვენა თუ როგორ გარდაიქმნა და აყვავდა რესპუბლიკა ექსპლოატაციისაგან თავისუფალმა შრომამ, როგორ გაიზარდა და განმტკიცდა ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა. ქართველი მსახიობები წარმატებით გამოვიდნენ მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში,

სხვა მოძმე რესპუბლიკათა დედაქალაქებში, ევროპისა და აზიის დემოკრატიულ ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, არგენტინაში, საფრანგეთში და სხვ. და ყველგან უჩვენეს მაღალი მომზადება, დიდი კულტურა.

ქართველი ხალხის სოციალისტური კულტურა ვართიერდება მოძმე საბჭოთა ხალხების კულტურების ურთიერთობაში, რომლებიც კეთილმყოფელ გავლენას ახდენენ ურთიერთგანვითარებაზე და შეადგენენ ერთიან საბჭოთა კულტურას. ქართველ ხალხს თავისი ღირსეული წვლილი შეაქვს ერთიანი საბჭოთა კულტურის განვითარებაში.

დიდი და შესანიშნავი კულტურის მქონე საქართველო ძველთაგანვე იმყოფებოდა ცხოველ კულტურულ ურთიერთობაში უცხო ქვეყნებთან და ხალხებთან. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ საქართველოს ურთიერთობა გაიწარდა და განმტკიცდა უცხო ქვეყნებთანაც. საქართველოში ყოველწლიურად მოდიან უცხო ქვეყნების დელეგაციები, მწერლები, უფროსი სტუდენტები, რომლებიც აღფრთოვანებას გამოთქვამენ ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობით, ეკონომიკისა და კულტურის ფრონტზე მისი შესანიშნავი მიღწევებით.

სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში ქართველ ხალხს საშუალება აქვს კიდევ უფრო განამტკიცოს კავშირი მეზობელ ხალხებთან, შეიძინოს მეგობრები მსოფლიოს ყველა ხალხში და მით მტკიცედ დაიცვას დიდი შოთა რუსთაველის ბრძნული დარიგება: „ვიც მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია“. არ იყო შემთხვევითი, რომ ეს ბრძნული სიტყვები 1955 წლის 5 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე თავის სიტყვაში დაიმოწმა სკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ანსტ. პ. მუჯანაძემ, როგორც იმის ბრწყინვალე საბუთი, რომ „ქართველმა ხალხმა, ისევე როგორც საბჭოთა კავშირში მოხალხე სხვა ხალხმა, საუკუნეებში გამოატარა ურყევი მისწრაფება მშვიდობისადმი, მხურვალე მისწრაფება — იცხოვროს მეგობრულად სხვა ხალხებთან“.¹

საქართველოს სსრ რესპუბლიკის ეკონომიკის და კულტურის წინაშე შემდგომი აღმავლობის

გრანდიოზულ ბერსებეტივებს შდის სახალსო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა. შვიდწლიდის განმავლობაში საქართველოს სახალსო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებთა მოცულობა შეადგენს 16,8 მილიარდ მანეთს, რაც 5 მილიარდი მანეთით აღემატება წინა შვიდი წლის კაპიტალურ დაბანდებას. ამ დიდი თანხის ათვისება უზრუნველყოფს რესპუბლიკის სახალსო მეურნეობის და კულტურის ახალ მძლავრ აღმავლობას. შვიდწლიდის ბოლოს ჩვენი რესპუბლიკა ეკონომიურად უფრო ძლიერი იქნება და ახალ მწვერვლებს მიაღწევს მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

ეკონომიკის და კულტურის ფრონტზე საქართველოს მშრომელების მიერ მოპოვებული მიღწევები თვალსაჩინოდ მოწმობენ რომ სოციალისტურმა წყობილებამ მოძრაობაში მოიყვანა ხალხის წიაღში არსებული მძლავრი ძალები, რომლებიც კაპიტალიზმის პირობებში შებოჭილი იყვნენ. ამ მიღწევებმა თვალსაჩინოდ დაამტკიცა აგრეთვე სოციალისტური წყობილების დიდი სიცოცხლისუნარიანობა და განვითარების უსაზღვრო შესაძლებლობანი, დაამტკიცა, რომ მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია კაპიტალიზმის მიერ დაჩაგრული ხალხების გამოყვანა განვითარების ფართო გზაზე.

საქართველოს მშრომელთა დიდი მიღწევები დენისური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელების ბრწყინვალე შედეგია. იგი შედეგია სსრ კავშირის მთავრობის, დიდი რუსი ხალხის და სხვა მოძმე ხალხთა უანაგრო ძმური დახმარებისა. ეგებებიან რა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და საქართველოს კომპარტიის 40 წლისთავს, საქართველოს მშრომელები და მისი წინამძღოლი — კომუნისტური პარტია კმაყოფილებით გადაავლენენ თვალს განვლილ გზას, შეაჯამებენ მოპოვებულ დიდ მიღწევებს და ახალი ძალით გააჩაღებენ ბრძოლას მორიგი გამარჯვებებისათვის, შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულ დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ერთიან, ძმურ საბჭოთა ოჯახში შემჭიდროებული ქართველი ხალხი, რომელიც კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილია პროლეტარული ინტერნაციონალის სულიკვეთებით, მოძმე საბჭოთა ხალხთან ერთად მტკიცედ მიდის წინ კომუნიზმისაკენ.

¹ გაზ. „ბრადეა“, № 218, 1955 წ.

ჩინადადებანი ახალი კანონმდებლობისათვის



ვისილავთ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების
საბოლქო კანონმდებლობის საფუძვლებს

სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების შეხვედრის სრულყოფისათვის

დოც. ს. ჯორჯენაძე

ორ ათეულ წელზე მეტია ჩვენში მიმდინარეობს სამოქალაქო კანონმდებლობის კოდიფიკაციის სამუშაოები. მისი დამთავრება უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ამოცანაა. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ თუმცა კოდექსის მიღების შემდეგ (1922 წ.) მთელ რიგ ნორმატულ აქტებში განვითარება ჰპოვა საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობამ, იგი მის ბირთვთან — სამოქალაქო კოდექსთან ერთად მაინც სერიოზულად არის მოძველებული. ასეთ ვითარებაში კოდიფიკაციის ამოცანა როდი მდგომარეობს მხოლოდ კანონმდებლობის სათანადო ფორმით სისტემატიზაციაში. მისი მიზნები გაცილებით მეტია. კოდიფიკაციის პროცესში უნდა შეივსოს მოქმედი კანონმდებლობის ხარვეზები და აღმოიფხვრას მისი წინააღმდეგობანი; ცხოვრების ახალი მოთხოვნების შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი მოძველებული ნორმები და რაც მთავარია, მასში უნდა აისახოს იმ ახალი სამართლებრივი მოვლენების გადაწყვეტა, რომელიც სახელმწიფოებრივ - სამართლებრივი მშენებლობის მდიდარმა პრაქტიკამ წამოაყენა. რა თქმა უნდა, ამ დიდი საკითხის რეალიზაციისას შესაძლებელია დაშვებულ იქნეს ხარვეზებიც, მაგრამ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მიღებამ ცენტრალური როლი უნდა შე-

ასრულოს მოკავშირე რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსების დროულად და სრულყოფილად შემუშავებაში.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი პირველი ცდაა სამოქალაქო სამართალში სისტემატიზებული საერთო საკავშირო აქტის გამოცემისა.

„საფუძვლების“ აშკარა დადებითი მხარეა ის, რომ მასში გათვალისწინებულია მთელი რიგი ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომელიც სოციალიზმის მშენებლობის პროცესში წარმოიშვა და რომელმაც თავისი ასახვა მნიშვნელოვანწილად სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკაში ჰპოვა. საფუძვლები ასახვევ აგრეთვე სამოქალაქო სამართლის იმ მნიშვნელოვან ახალ დებულებებს, რომელიც კოდექსგარეშე მთელ რიგ საკანონმდებლო აქტებში განვითარდა.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის პროექტი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მოქალაქეთა ქონებრივ და არაქონებრივ უფლებათა მრავალფეროვნებაზე, მათ დემოკრატიულობაზე და აღიარებული უფლებების გარანტირებაზე. საფუძვლების გაცნობისას აშკარა ხდება სამოქალაქო კანონმდებლობაში მთელი იმ სიხლის ცოდნა, რასაც

საბჭოთა სახელმწიფოს სამართალშემოქმედების პრაქტიკა აყენებს. შევეხოთ ზოგიერთ მათგანს.

„საფუძვლები“ დაწერილებით არეგულირებენ კანონსაწინააღმდეგო ანდა სახელმწიფოსათვის აშკარა საზიანოდ დადებული გარიგებების ბათილობის შედეგებს. ეს შედეგი რესტიტუციის ყოველგვარ დაუშვებლობაში როდი მდგომარეობს. მხოლოდ მაშინ, თუ მხარეები ანდა ერთ-ერთი მათგანი შეგნებულად უშვებდა კანონსაწინააღმდეგო ანდა სახელმწიფოსათვის აშკარა საზიანო მოქმედებას, გათვალისწინებულია გარიგებით მიღებულის ჩარიცხვა სახელმწიფოს შემოსავლად. ამ გარიგებათა შედეგები თავისთავად მომხდარი ფაქტით კი არ არის განსაზღვრული, არამედ იგი თვითეული მათგანის ბრალეული ქმედობით განისაზღვრება.

„საფუძვლებში“ გათვალისწინებულია დარღვეული სამოქალაქო უფლების აღდგენის სხვადასხვა საშუალებები, რომლებიც სასამართლო და საარბიტრაჟო წესით, ანდა სამედიატორო სასამართლოს მიერ გამოიყენება. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით სამოქალაქო უფლების დაცვა ამხანაგური სასამართლოების მიერაც შეიძლება ხორციელდებოდეს.

„საფუძვლების“ მე-17 მუხლი ადგენს წესს იმ შემთხვევებისათვის, როცა მხარეები სხვადასხვა რესპუბლიკის მოქალაქენი არიან და განსხვავდება მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობას შორის. ამით განსაზღვრულია მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობის შეფარდების ფარგალი, რაც მოქმედი კანონმდებლობის სერიოზული ხარვეზი იყო.

პროექტი ვალდებულების რეალური შესრულების პრინციპს აღიარებს. ამიტომაც სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის ვალდებულების შეუსრულებლობის ანდა არასათანადოდ შესრულებ-

ბისათვის უპირობის ჯარიმის გადახდა და ზარალის ანაზღაურება არ ათავისუფლებს მოვალეს ვალდებულების ნატურით შესრულებისგან. ქონებრივი პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, როგორც საერთო წესი, მოვალის ბრალის დროს დგება. პროექტში გათვალისწინებულია მკაცრი პასუხისმგებლობა უზარისხო, არასტანდარტული პროდუქციის მიწოდებისათვის. ამ შემთხვევაში გამყიდველს გადახდება არა მარტო უპირობის ჯარიმა, არამედ ამგვარი მიწოდებით მყიდველისათვის მიყენებული ზარალი.

დელიქტური ვალდებულების შესახებ მოქმედი ნორმების ბუნდოვანი და მოუხერხებელი ფორმულირებანი, როგორც ცნობილია, საფუძველი გახდა მთელი რიგი თეორიული და პრაქტიკული გაუგებრობისა. საფუძვლების პროექტში ეს მნიშვნელოვანწილად აღმოფხვრილია.

მშრომელთა ინტერესებზე ზრუნვის სულისკვეთებითაა გაყდენილი საბინაო კანონმდებლობა. საცხოვრებელი ბინის მოჭირავე არ შეიძლება გამოსახლებულ იქნეს სხვანაირად, გარდა სასამართლო წესისა და მხოლოდ იმ საფუძვლით, რომელიც კანონით არის გათვალისწინებული. საერთო წესის მიხედვით, ადგილობრივი საბჭოების ანდა სოციალისტური ორგანიზაციების სახლებიდან გამოსახლებულ პირს უნდა მიეცეს სხვა საცხოვრებელი ვარგისი ბინა, რომ „საფუძვლების“ პროექტის 53-ე მუხლით მოქალაქეთა გამოსახლება ადმინისტრაციული წესით არ დაიშვება.

მთელი რიგი ახალი დებულებებით არის გამდიდრებული საავტორო და საგამომგონებლო სამართალი.

„საფუძვლების“ პროექტის მეექვსე კარი, რომელიც სამემკვიდრეო სამართლისათვის არის მიძღვნილი, მოქმედი კანონმდებლობისგან განსხვავებით, ადგენს ანდერძის თავისუფლების გაფარ-

ეროვნული
ურთიერთობის

თოვებულ ფარგალს. პროექტის მიხედვით, მოქალაქეს შეუძლია ანდერძით დაუტოვოს თავისი ქონება ანდა მისი ნაწილი არა მარტო იმ პირებს, რომლებიც კანონით მემკვიდრეთა წრეში შედიან, სახელმწიფო ანდა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, არამედ გარეშე პირებსაც, რომლებიც არ შედიან მემკვიდრეთა წრეში. მოკავშირე რესპუბლიკის კომპეტენციაშია გადაცემული მემკვიდრეთა იმ წრის განსაზღვრა, რომელთაც არ შეიძლება წაერთვას თავისი წილი სამემკვიდრეო ქონებაში და ამ წილის ოდენობა.


„საფუძვლების“ უკანასკნელ კარში მოწესრიგებულია უცხოელთა უფლებუნარიანობის საკითხი და უცხოეთის სახელმწიფოთა სამოქალაქო კანონმდებლობის შეფარდების პირობები.

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების პროექტს, ჩვენის აზრით, გააჩნია ნაკლოვანებანიც, რომელთა აღმოფხვრა კიდევ უფრო სრულყოფილს გახდის ამ საკანონმდებლო აქტს.

კანონპროექტის საფუძვლზე ჩვენ ვგეგმავთ მკვეთრი წარმოდგენა საზოგადოებრივი ურთიერთობის იმ სფეროზე, რომელიც სამოქალაქო სამართლით უნდა იქნეს მოწესრიგებული. ჩვენ აქ არ ვეხებით მეტად მძაფრ თეორიულ დავას სამეურნეო კანონმდებლობის ცალკე გამოყოფის თაობაზე. ჩვენთვის ამჯერად მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ როგორ გამოიყენა „საფუძვლები“ სამოქალაქო სამართლებრივ ქონებრივ ურთიერთობას იმ ქონებრივ ურთიერთობისგან, რომელიც მოსაზღვრე დარგების მიერ არიან მოწესრიგებული. განსხვავებით ცივილისტურ ლიტერატურაში გამოთქმულ შეხედულებისგან, „საფუძვლების“ მე-2 მუხლის ბოლო ნაწილი საესებით სწორად მიუთითებს, რომ შესაბამისი კანონმდებლობა არეგულირებს საოჯახო, შრომითი, მიწის და სასოფლო-სამეურნეო არტელის

წესებიდან გამომდინარე ურთიერთობებს. მართლაც, სრულიად გაუმართლებელი იქნებოდა მიგვენიჭებინა სამოქალაქო კანონმდებლობისათვის ზემოთდასახელებული ურთიერთობის მიმართ შემავსებელი მნიშვნელობა იმ შემთხვევისათვის, როცა ეს დარგები მთელი სისრულით ვერ არეგულირებენ შესაბამის ურთიერთობას. სამოქალაქო სამართლის კოდექსი არ შეიძლება იყოს ისეთი აქტი, რომელსაც სუბსიდიალური მნიშვნელობა ექნებოდა შრომის, საოჯახო, მიწისა და საკოლმეურნეო ურთიერთობის რეგულირებაში. ეს შეხედულება გამომდინარეობს იმ მცდარი წარმოდგენიდან, რომ სამოქალაქო სამართალი უნდა არეგულირებდეს საზოგადოების მთელს ქონებრივ ურთიერთობას. სინამდვილეში კი იურიდიულ-ტექნიკურადაც შეუძლებელია იმგვარი სამოქალაქო კოდექსის შექმნა, რომელიც მოიცავდა სოციალისტური საზოგადოების ქონებრივ ურთიერთობას მთლიანად.

მეტიც, საბჭოთა სამოქალაქო სამართლის კოდექსი არასდროს არ ყოფილა ის ერთადერთი საკანონმდებლო აქტი, რომელიც ეკონომიური ბრუნვის სფეროში ჩამოყალიბებულ ქონებრივ ურთიერთობებს აწესრიგებდა. ყოველთვის იყო და კვლავაც იქნება საჭიროება იმ სპეციალური საკანონმდებლო აქტებისა, რომლებიც კოდექსს გარეშე იარსებებენ. ამას გარდა, ქონებრივი ურთიერთობა არა მარტო სამოქალაქო სამართლით რეგულირდება, არამედ სხვა მოსაზღვრე დარგების ნორმებითაც. ასეთ პირობებში აუცილებელია მოიხაზოს სამოქალაქო სამართლებრივი (ამ სახელწოდების მთელი პირობითობის მიუხედავად) ქონებრივი ურთიერთობის ყველაზე ზოგადი და ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშნები, რომლებითაც სამოქალაქო სამართლებრივ ქონებრივ ურთიერთობას განვასხვავებდით მოსაზღვრე დარგების მიერ მოწესრიგებულ ქონებრივ ურთიერთობისა-



გან, მართალია, „საფუძვლებში“ არის კიდევ ამგვარი ცდა, მაგრამ იგი აშკარად არასაკმარისადაა გაკეთებული. „საფუძვლების“ მეორე მუხლში აღნიშნულია, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა არ შეეფარდება იმ ქონებრივ ურთიერთობებს, რომლებიც ერთი მხარის მეორესადმი ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაზე არიან დაფუძნებული, აგრეთვე საგადასახადო და საბიუჯეტო ურთიერთობას. „საფუძვლები“ მხოლოდ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ნიშნებს უნდა ახასიათებდეს, იგი არ არის სამოქალაქო სამართლის სახელმძღვანელო, რომელშიც სადავო საკითხების დაყენება მიზანშეწონილიცაა. ამიტომაც ჩვენ გაუმართლებლად მიგვაჩნია „საფუძვლებში“ იმის აღნიშვნა, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა არ არეგულირებს მოსაზღვრე დარგებით მოწესრიგებულ ურთიერთობებს.

„საფუძვლებში“ არასწორად არის დასმული არაქონებრივი ურთიერთობის საკითხი. ეს ურთიერთობანი განიხილებიან, როგორც ქონებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული ურთიერთობანი.

როგორც არაერთხელ იყო გამოთქმული სამოქალაქო სამართლის მეცნიერულ ლიტერატურაში, პირადი არაქონებრივი უფლებანი როდი არიან დაკავშირებული თავის უმრავლესობაში, ქონებრივ ურთიერთობასთან. ამასთან აუცილებელია არაქონებრივ ურთიერთობებს დაემატოს სიტყვა „პირადი“, რამდენადაც არაქონებრივი ურთიერთობის უდიდეს მასას ვხვდებით სამართლის სხვა დარგებშიც. ამიტომაც „საფუძვლების“ შესაბამისი ადგილები ასე უნდა შეიცვალოს: „საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობა აწესრიგებს ქონებრივ და ცალკეულ პირად არაქონებრივ ურთიერთობებს...“ სასურველია ამასთან ერთად მოხდეს სანიმუშო სიის სახით პირადი არაქონებრივი ურთიერ-

ობის სახეების ჩამოთვლა. სხვანაირად გაუგებარი იქნება პირად არაქონებრივ ურთიერთობიდან რა ურთიერთობა რეგულირდება სამოქალაქო კანონმდებლობით. ეს მით უფრო ადვილია გაკეთდეს, რომ პირად არაქონებრივ ურთიერთობებს არ აქვთ წამყვანი მნიშვნელობა სამოქალაქო სამართალში.

საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობის დემოკრატიზმის დადასტურებაა „საფუძვლების“ მეოთხე მუხლი. ეს მუხლი სამოქალაქო სამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების დაწვრილებით ჩამოთვლას იძლევა. ამასთან ერთად ნიშანდობლივია კანონპროექტის ის მითითებაც, რომ სამოქალაქო უფლებრივი ურთიერთობა შეიძლება წარმოიშვას „მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა იმ მოქმედებისაგან, რომელიც თუმცა გათვალისწინებული არ არის კანონით, მაგრამ სამოქალაქო კანონმდებლობის ზოგადი საწყისებისა და არსის საფუძველზე წარმოშობენ სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს“.

ამით ნათქვამია, რომ ჩვენი კანონმდებლობა არ არის წინააღმდეგი ანალოგიისა. საჭიროა მე-4 მუხლის ამ ნაწილის იმგვარად ჩამოყალიბება, როცა ზუსტად იქნება განსაზღვრული ის პირობები, რომლის დროსაც შესაძლებელი იქნება კანონის ან სამართლის ანალოგიის გამოყენება, რამდენადაც ანალოგიის პრინციპით კანონის შეფარდება სამართლებრივი ნორმის ჰიპოტეზისა და დისპოზიციის გათვალისწინებასაც გულისხმობს.

ანალოგიის დაშვების პირობების განსაზღვრა მით უფრო საჭიროა, რომ ზოგიერთი ავტორის აზრით, სისხლის სამართლის მსგავსად, უარი უნდა ვთქვათ ანალოგიისაგან სამოქალაქო კანონმდებლობაშიც. ამ წინადადების მიღება დიდად გააძნელებდა მართლმსაჯულებას განხორციელებას სამოქალაქო სამართალში. საქმე იმაშია, რომ სამოქალაქო კანონმდებლობას არ შეუძლია მოიცვას

ქონებრივი და პირადი არაქონებრივი ურთიერთობის ყოველი აბსოლუტურად შესაძლებელი სახესხვაობა. საბჭოთა სამართალი არ იძლევა ხელშეკრულებების ამომწურავ ჩამოთვლას. ასეთ ვითარებაში როგორც კანონის, ისე სამართლის ანალოგიის დაშვება კანონიერების დაცვის აუცილებელი პირობაა. მართალია, ანალოგიის არსებობა სამოქალაქო სამართალში დაკავშირებულია კანონმდებლობის არასისრულესთან, მაგრამ იგი მაინც სამართლის სივრცეში მდებარეობს. ამიტომაც ანალოგიის გამოყენება არ ნიშნავს საქმის გადაწყვეტას კანონის ფარგლების გარეშე. ასეთი უფლება ჩვენს სასამართლოს არა აქვს. სამართლის ანალოგიის დროსაც მოსამართლე ვალდებულია მიუთითოს სახელდობრ კანონმდებლობის რომელი საფუძვლიდან გამოდიოდა იგი, როცა მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილება გამოჰქონდა.

„საფუძვლებში“ არაფერია ნათქვამი სამოქალაქო უფლების ფარგლების შესახებ. მეხუთე მუხლი სავსებით სწორად განმარტავს სამოქალაქო უფლების დაცვას კანონით. ამასთან ერთად ცალკე მუხლში საჭიროა აღინიშნოს, თუ როდის შეიძლება ვილაპარაკოთ უფლების ბოროტად გამოყენებაზე. სხვანაირად განუსაზღვრელი ფარგალი უფლებისა ფაქტიურად პირთა ხელში თვითნებობის იარაღი გახდებოდა, რაც ძირეულად ეწინააღმდეგება სოციალისტური კანონიერების იდეას. მაშასადამე, „საფუძვლების“ ამ სერიოზული ხარვეზის შევსება აუცილებელია. იგი არა მარტო არ იქნებოდა აღიარებული უფლებების ხელყოფა, არამედ გახდებოდა სხვა მოქალაქეთა უფლებების დაცვის აუცილებელი გარანტია.


„საფუძვლებში“ ვერ ჰპოვა სათანადო ასახვა სახელმწიფოს უშუალო მონაწილეობამ სამოქალაქო უფლებრივ ურთიერთობაში. ამ საკითხის ახსნისათვის სრულიად არასაკმარისია, „საფუძვ-

ლებში“ მე-11 მუხლის მითითება, რომ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფო ორგანიზაციები მოქმედებენ არა თავისი სახელით, არამედ სახელმწიფოს სახელით, რომ სახელმწიფო (მუხ. 13) პასუხს არ აგებს სახელმწიფო ორგანიზაციების ვალდებულებებისათვის, ისე როგორც პირიქით.

სწორედ „საფუძვლებში“ უნდა განისაზღვროს სახელმწიფოს, როგორც სამოქალაქო უფლებრივი ურთიერთობის უშუალო მონაწილის, უფლება-უნარიანობა.

ისეთი საკანონმდებლო აქტისათვის, როგორც „საფუძვლებია“, ჩვენ სრულიად ზედმეტად მიგვაჩნია მე-10 მუხლის მესამე ნაწილი, რომლის მიხედვით სამარ მოქმედებასთან დაკავშირებით უგზოუკვლოდ დაკარგული პირი შეიძლება გამოცხადებულ იქნეს გარდაცვალებულად „არა უადრეს ორი წლის გასვლისა სამარის მოქმედების დამთავრების დღიდან“.

მწვავე თეორიული დავის საგანია და დიდი პრაქტიკული მნიშვნელობისაა „ხანდაზმული“ ქონების უფლებრივი რეჟიმის განსაზღვრა სამოქალაქო სამართალში. მოქმედ კანონმდებლობაში იმ ქონების უფლებრივი მდგომარეობის გაურკვეველობა, რომელზეც ხანდაზმულობის ვადის გაშვების გამო მესაკუთრემ უფლება დაჰკარგა, ბევრ უხერხულობას ჰქმნის. ეს გაურკვეველობა მით უფრო მძიმდება, რომ „საფუძვლების“ მე-15 მუხლის მიხედვით „სასარჩლო ხანდაზმულობის შეფარდება ხდება სასამართლოსა ანდა პროკურატურის მიერ მხარეთა განცხადების მიუხედავად“. „საფუძვლების“ მე-16 მუხლით მოქალაქეებს ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ არ შეუძლიათ მოითხოვონ თავისი ქონება. „საფუძვლები“ არ პასუხობს თუ რა იურიდიული მდგომარეობა იქნება ამ ქონებისათვის სრულიად დაუშვებელია ეს პრინციპული



საკითხი წყდებოდეს უმაღლეს სასამართლოს იმ განმარტებით, რომელსაც სამათეულ წელზე მეტი ხანდაზმულობა აქვს. გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან უნდა ყოფილიყო ან შექმენითი ხანდაზმულობის დაშვება პირადი საკუთრების საგნებზე, ანდა პირადი მესაკუთრის სავინდიკაციო სარჩელებზე სასარჩელო ხანდაზმულობის გაუქმება. „საფუძვლებმა“ არც ერთი გააკეთეს და არც მეორე. საკითხის ამგვარად დატოვება სრულიად დაუშვებელია. იგი სწორედ სამოქალაქო კანონმდებლობის საკავშირო საფუძვლებში უნდა გადაწყდეს მთელი სსრ კავშირისათვის ერთგვაროვნად.

ამჟამად შეუსაბამობაა „საფუძვლების“ მე-16 მუხლის მეორე ნაწილსა და 28-ე მუხლის მესამე ნაწილს შორის. 28-ე მუხლი ითვალისწინებს შეუზღუდველ ვინდიკაციას კოლპერაციულ-საკომმუნურნო საკუთრების მიმართაც, მაგრამ იგი შეზღუდულია მე-16 მუხლით, რამდენადაც კომმუნურნობათა და სხვა კოლპერაციულ საწარმოთა უფლებებზე — მოითხოვონ თავიანთი დარღვეული მფლობელობის აღდგენა ვრცელდება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები.

„საფუძვლების“ მესამე მუხლში განსაზღვრულია იმ ურთიერთობათა წრე, რომელიც სპეციალური საერთო-საკავშირო სამოქალაქო სამართლებრივი აქტებით უნდა მოწესრიგდეს. ამის გამო არავითარი აუცილებლობა არ არსებობს ვალდებულებითი სამართლის კარიდან საგანგებო თავები მიგუბღუნათ ამ ურთიერთობებს. კონსპექტურად შეკუმშული ამგვარი თავები სრულიადაც ვერ გვაძლევენ რამდენადმე სრულ წარმოდგენას მოცემულ ინსტიტუტებზე. ამას ხომ შემდგომ სპეციალური საერთო-საკავშირო აქტები გააკეთებენ, საიდანაც ისინი უშუალოდ შევიდოდნენ მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსებში.

სახელმწიფო დაწესებულებათა პასუხისმგებლობის პირობები და ფარგლები


იმ ზარალისათვის, რაც მიყენებულია მათი თანამდებობის პირთა სამსახურებრივი მოქმედებით ადმინისტრაციულ მმართველობასა და სასამართლო მოღვაწეობის დარგში, დადგენილ უნდა იქნეს სწორედ მოცემულ „საფუძვლებში“.

როგორც ცნობილია, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 407-ე მუხლის გამოყენება მრავალი გაუგებრობის სათავე გახდა. იმის ნაცვლად, რომ დაეძლია ბუნდოვნება, „საფუძვლები“ დასმული საკითხის გადაწყვეტას სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობას აყისრებს, მაშინ, როცა არ არის გათვალისწინებული ასეთი აქტის გამოცემა სსრ კავშირის მასშტაბით. დასახელებული შემთხვევისათვის პასუხისმგებლობის პირობები ერთნაირად უნდა წყდებოდეს სსრ კავშირის მთელს ტერიტორიაზე. ამიტომ პასუხი დასმულ კითხვაზე „საფუძვლებმა“ უნდა გასცეს. ეს დიდად შეუწყობს ხელს მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვას.

„საფუძვლებში“ უნდა ჰპოვოს სათანადო ასახვა უკიდურესი აუცილებლობისა და აუცილებელი მოგერიების სამოქალაქო სამართლებრივმა შედეგებმა.

„საფუძვლების“ 76-ე მუხლში, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ იგი ითვალისწინებს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას, როცა ზარალი მიყენებულია გარეშე მყოფთათვის მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელის მოქმედებით. ამით ბოლო მოედება იმ თეორიულსა და პრაქტიკულ დაბნეულობას, რაც სამოქალაქო სამართლის კოდექსის 404-ე მუხლის გამო გვაქვს.

„საფუძვლების“ 82-ე მუხლით არაზუსტადაა განსაზღვრული კინონაწარმოებზე თანაგტორობის საკითხი. „საფუძვლებისათვის“ ზედმეტი ამავე მუხლის ბოლო ნაწილის მითითება, რომ სამეცნიერო ან სხვა ორგანიზაციის სამ-



სახურებრივი დავალებით შესრულებულ ნაწარმოებზე „ავტორს ანაზღაურება არ ეძლევა“. ეს წესი უკვე იცნობს მნიშვნელოვან გამონაკლისებს. ამიტომაც სასურველია მასზე უარი თქვას „საფუძვლებმა“ და მისი განსაზღვრა სათანადო სპეციალურ ნორმატიულ აქტებს გადააწდოს.

„საფუძვლების“ სერიოზული ხარვეზია ის, რომ მასში მეტად ბუნდოვანად არის განსაზღვრული მემკვიდრეობაზე საავტორო უფლების გადასვლის მოცულობა. „საფუძვლებიდან“ ჩვენ ვერ გავიგებთ ავტორის მემკვიდრეთა წრე ემთხვევა თუ არა საერთოდ მემკვიდრეთა წრეს, გადადის მემკვიდრეობით მხოლოდ ქონებრივი უფლებანი თუ ამასთან ერთად არაქონებრივი უფლებანიც. „საფუძვლების“ 83-ე მუხლი, უნდა ვიგულისხმობთ, ითვალისწინებს ზოგიერთ

არაქონებრივი უფლების გადასვლას მემკვიდრეებზე, როცა მათთან თანხმობის გარეშე არ შეიძლება გარდაცვლილი ავტორის ნაწარმოების გამოყენება, მაგრამ 85-ე მუხლის ძალით მემკვიდრეებზე საავტორო უფლება 15 წლის ვადით გადადის. როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრე არასრულწლოვანია და კანონით საჭიროა მისი ნებართვა გარდაცვლილი ავტორის ნაწარმოების გამოყენებაზე, თუ საქმე ეხება პირად უფლებების გადასვლას, ამას ხომ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ უფრო მოახერხებდა მემკვიდრე და ა. შ. მრავალი ამგვარი გაუგებრობა და შეუსაბამობა შეიძლება წამოიჭრას მანამდე, ვიდრე „საფუძვლებში“ ზუსტად არ იქნება განსაზღვრული, თუ რა მოცულობით გადადის მემკვიდრეებზე გარდაცვლილი ავტორის უფლებები.

გიხილაჯთ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების

სამოქალაქო სამართლის წარმოების საფუძვლებს

შენიშვნები სასამართლო ნაჩოქების საუბკვლების პროექტის შესახებ*

პროფ. რ. რახუნოვი

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების პროექტი მნიშვნელოვან აქტს წარმოადგენს საბჭოთა სამოქალაქო პროცესის ისტორიაში. მასში ნათლად არის გამოხატული სამოქალაქო სასამართლო წარმოების ამოცანა, რასაც წარმოადგენს სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების სწორად განხორციელების უზრუნველყოფა, რაც მიზნად ისახავს სახელმწი-

ფო ინტერესების, მოქალაქეთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

პროექტში ჩამოყალიბებულია სამოქალაქო სასამართლო წარმოების პრინციპები, რომელთაც მიეკუთვნება: ა) უფლება სასამართლოსათვის მიმართვისა სასამართლო დაცვისათვის, ბ) მოქალაქეთა თანასწორობა სასამართლოსა და კანონის წინაშე, გ) მართლმსაჯუ-

* სტატია დაწერილია სპეციალურად ჩვენი ჟურნალისათვის.

ლების განხორციელებაში სახალხო მსაჯულთა მონაწილეობა და სამოქალაქო საქმეების განხილვაში კოლეგიალობა, დ) მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება, ე) მართლმსაჯულების განხორციელება მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის, ოკრუგის ენაზე, ხოლო მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების მიერ დაწესებულ შემთხვევებში — ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე, ვ) სასამართლო განხილვის საჯარობა, ზ) სასამართლო განხილვის ზეპირობა, უშუალობა და უწყვეტელობა, თ) საქმის ნამდვილი გარემოების დადგენა და პროცესის მონაწილეთა უფლებების განხორციელება, ი) მხარეთა უფლებების თანასწორობა.

ჩამოთვლილი პრინციპები და პროექტის ყველა სხვა დებულებები ახასიათებენ სოციალისტურ არსს და ნამდვილ დემოკრატიზმს საბჭოთა სამოქალაქო სასამართლო წარმოებისა, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს კომუნისტური საზოგადოების წარმატებით მშენებლობას, მეურნეობის სოციალისტური სისტემისა და სოციალისტური საკუთრების განმტკიცებას, კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას და მოქალაქეთა მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა სულ უფრო მეტი სისრულით დაკმაყოფილებას.

ამ სტატიაში ჩვენ შევჩერდებით ზოგიერთ საკითხებზე, რომლებიც სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების პროექტის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით მოითხოვენ განსჯას.

1. პროექტის მე-14 მუხლი აწესებს, რომ „სასამართლო ვალდებულია ყოველმხრივ ისწრაფოდეს საქმის ნამდვილი გარემოებების, მხარეთა უფლებებისა და მოვალეობის გარკვევისაკენ“. რას ნიშნავს „საქმის ნამდვილი გარე-

მოებების“ გამორკვევა? ეს ნიშნავს ჭეშმარიტების დადგენას. ჭეშმარიტებას შეესაბამება მხოლოდ ისეთი სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც საქმის ნამდვილ გარემოებებს გამოხატავს. მოდავე მხარეების, მოქალაქეებს, რომლებიც თავიანთი უფლების ცნობას ცდილობენ, სურთ ის, რომ დადგენილი იქნეს ჭეშმარიტება. თვითონ სიტყვა „ჭეშმარიტება“ ძალზე პოპულარული და ადვილ-მისაწვდომია. ამიტომ ჩვენ ვთვლით, რომ პროექტის მე-14 მუხლში პირდაპირ უნდა ჩაიწეროს ობიექტური ჭეშმარიტების პრინციპი, გათვალისწინებული იქნეს, რომ სამოქალაქო სასამართლო წარმოების ამოცანას კონკრეტულ საქმეზე წარმოადგენს ჭეშმარიტების დადგენა.

იმავე მუხლში აღნიშნულია, რომ სასამართლო ვალდებულია საქმეში მონაწილე პირებს „ხელი შეუწყოს მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ უკეთეს ესა თუ ის პირი მონაწილეობს სასამართლო წარმოებაში, სასამართლოს ვალდებულება არ შეიძლება შეიზღუდოს მისი უფლებების დაცვის „ხელის შეწყობით“, არამედ იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ეს უფლებები დაიცვას კანონიერი ღონისძიებებით. ასეთი რედაქცია სრულ შესაბამისობაში იქნება პროექტის მე-4 მუხლთან, რომლის თანახმად ყოველ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს დარღვეული ან სადაო უფლების ან კანონით დაცული ინტერესის დასაცავად.

2. პროექტში თანმიმდევრობით არის გატარებული მხარეთა შეჯიბრების პრინციპი სასამართლოს აქტიურ მოღვაწეობასთან ერთად ჭეშმარიტების დადგენის საქმეში. ამასთან ცალკე მუხლში (23) რეგლამენტირებულია პროკურორის მონაწილეობა. მაგრამ საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში პროკურო-

რის მონაწილეობას შეიძლება სხვადასხვაგვარი პროცესუალური მნიშვნელობა ჰქონდეს. სამოქალაქო საქმის აღძვრა იგივე არ არის, რაც აღმძვრელი დაინტერესებული პირის ან ორგანიზაციის მიერ სამოქალაქო საქმეში ჩაბმა. პირველ შემთხვევაში არსებობს ანალოგია პროკურორის მდგომარეობასთან სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეზე, როდესაც იგი პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოდის ბრალმდებლის, ე. ი. მხარის სახით. ამიტომ პროკურორის მოღვაწეობა გამოხატული უნდა იყოს პროექტის არა მარტო 23-ე მუხლში, არამედ მე-18 მუხლშიც, სადაც ლაპარაკია მხარეებზე, მათ უფლება მოვალეობაზე, ან და სპირო იქნება 23-ე მუხლის შევსება.

და მართლაც, თუ პროკურორი აღძრავს საქმეს, მაშინ იგი მხარეთ ითვლება. შემთხვევითი როდია, რომ პროექტის მე-6 მუხლი („სასამართლოში სამოქალაქო საქმის აღძვრა“) მიუთითებს პროკურორზე დაინტერესებული პირის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებთან ერთად. მე-18 მუხლი განიხილავს რა მხარის ცნებას, მიუთითებს, რომ მხარეებად ითვლებიან მოსარჩელე და მოპასუხე. მაგრამ ვინ შეიძლება იყოს მოსარჩელე ან მოპასუხე? აი, სწორედ აქ ჩანს უსრულობა მე-18 მუხლისა, რომელიც ითვალისწინებს, რომ მოსარჩელეთ ან მოპასუხეთ „შეიძლება იყოს ყოველი მოქალაქე, აგრეთვე დაწესებულება, საწარმო ან ორგანიზაცია, რომლებიც სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებით“. ამ ფორმულაში პროკურორი ვერასვხით ვერ მოთავსდება და ამიტომ იგი ამოვარდნილია იმ პირთა რიცხვიდან, ვისაც შეუძლია აღძრას სამოქალაქო საქმე.

ეს წინააღმდეგობა აღკვეთილი უნდა იქნეს, და მისი აღკვეთა კი შეიძლება იმ პირობით, თუ პროკურორი — მო-

სარჩელე განიხილება როგორც მხარე სამოქალაქო პროცესში, რომლის პროცესიალური უფლებები ისეთივეა, როგორც მოპასუხის პროცესუალური უფლებები.

3. ჩვენი აზრით საჭირო იქნებოდა პროექტში მოსამართლის უფლებათა გათვალისწინება, ამასთან ამ უფლებების რამდენიმეთ გაფართოვება. განსაკუთრებით ეს შეეხება სარჩელის უზრუნველყოფისა და სარჩელის განუხილავად დატოვების საკითხს.

საკითხი სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ წამოიჭრება ხოლმე სასამართლოში სარჩელის განხილვამდე. სარჩელის უზრუნველყოფის აზრი სწორედ იმაშია, რომ მის განხილვამდე გარკვეული პირობების არსებობისას მიღებული იქნეს ისეთი ზომები, რომელთაც შეეძლოთ მომავალში სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა.

პროექტის 27-ე მუხლი კი აწესებს, რომ სარჩელის უზრუნველყოფისათვის ზომებს მიიღებს სასამართლო, ე. ი. სასამართლო სხდომაზე. თუ დავუშვებთ, რომ აქ მხედველობაშია სპეციალური სასამართლო სხდომა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ საკითხის განსახილველად, მაშინ ასეთი სხდომა თითქოს წინასწარ კარნახობს საქმის არსებითად მომავალ გადაწყვეტილებას, რაც არ შეიძლება მისაღებად ჩითვალოს.

სარჩელის უზრუნველყოფა არ არის დაკავშირებული რაიმე რადიკალურ შედეგებთან მოპასუხისათვის, უკეთეს სარჩელი დაკმაყოფილებულ არ იქნება. ამიტომ შეიძლება მიღებულ იქნეს მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად ისეთ შემთხვევაში, როდესაც მისი აზრით სარჩელი საკმაოდ დასაბუთებულია და ამასთან ღონისძიების მიუღებ-

ლობამ შესაძლოა შეუძლებელი გახადოს ან გაართულოს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება.

შეორე შემთხვევაა, როდესაც მიზანშეწონილი იქნება მოსამართლის უფლებათა გაფართოება — სარჩელის განუხილავად დატოვება. უკეთეს სარჩელი აღძრულია არაქმედუნარიანი პირის ან ისეთი პირის მიერ, რომელსაც სათანადო რწმუნება არ გააჩნია ან კიდევ აღძვრის წესის დარღვევით, მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როცა იგი სასამართლოს სხდომაზე გამოვლინდება, სარჩელს სასამართლო დატოვებს განუხილავად. მაგრამ, როგორც წესი, ასეთი გარემოება ნათელია მოსამართლისათვის სასარჩელო განცხადების სასამართლოში შეტანისას. ასეთ შემთხვევაში არავითარი აზრი და იურიდიული საფუძველი არა აქვს საქმის სასამართლო სხდომაზე გატანას სარჩელის განუხილავად დატოვების შესახებ საკითხის გადაწყვეტისათვის.

ამიტომ მიზანშეწონილი იქნება პროექტის 36-ე მუხლში სათანადო ცვლილების შეტანა და მასში გათვალისწინება მოსამართლის უფლებისა — უარი უთხრას ასეთი განცხადების მიღებაზე, დატოვოს სარჩელი განუხილავად განცხადების მიღების შემთხვევაში, აგრეთვე სასამართლოს უფლებებისა — დატოვოს სარჩელი განუხილავად, უკეთეს ამ მუხლში მოყვანილი გარემოებანი გამოირკვევა სასამართლო სხდომაზე.

4. მიზანშეწონილია „საფუძვლების“ პროექტში (23-ე ან 31-ე მუხლში) გათვალისწინებულ იქნეს, რომ დამამტკიცებელი საბუთების შეფასება წარმოებს პროკურორის მიერ თავისი შინაგანი რწმენის მიხედვით, რაც დაფუძნებული იქნება სასამართლო სხდომაზე ერთობლივად საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვაზე.

ცნობილია, რომ ადრე მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო დამამტკიცებელი საბუთების მხოლოდ სასამართლოს მიერ შეფასების პრინციპი. 1958 წლის სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლებმა (მე-17 მუხლში) პრინციპი დამამტკიცებელი საბუთების შეფასებისა შინაგანი რწმენის მიხედვით გაავრცელა პროცესის ზოგიერთ სხვა მონაწილეზეც, მათ შორის პროკურორზე. ვფიქრობთ, მოიპოვება ყველა საფუძველი იმისათვის, რომ დამამტკიცებელი საბუთების მოსამართლეთა მიერ შეფასების პრინციპი, დადგენილი საქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების პროექტის 31-ე მუხლით, გავრცელდეს სასამართლოს მიერ საქმის განხილვაში მონაწილე პროკურორზეც.

სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების მე-17 მუხლით გათვალისწინებულ დამამტკიცებელ საბუთთა შეფასების პრინციპთან შედარებით, სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების პროექტის 31-ე მუხლს ახასიათებს გაუმართლებელი უსრულობა. სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლები არ კმაყოფილდება იმის აღიარებით, რომ დამამტკიცებელი საბუთების შეფასება წარმოებს შინაგანი რწმენის მიხედვით. იგი ამას გარდა ითვალისწინებს იმ დებულებებს, რომ დამამტკიცებელი საბუთების შემფასებელი პირები უნდა ხელმძღვანელობდნენ კანონით და სოციალისტური მართლშეგნებით.

სამოქალაქო სასამართლო წარმოებაში დამამტკიცებელი საბუთების შეფასებას ამ გავებით არავითარი სპეციფიკა არა აქვს. მოსამართლეები და პროკურორები უნდა გამოდიოდნენ კანონის მოთხოვნიდან და უდაოდ ხელმძღვანელობდნენ თავიანთი მართლშეგნებით.

სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, ამიტომ კანონმდებლობის უნიფიკაციის მისწრაფებით და იმის გათვალისწინებით, რომ კანონმდებელმა უკვე გამოავლინა თავისი ნება დამამტკიცებელი საბუთთა სისტემის შესახებ, საჭიროა სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების 31-ე მუხლი მოყვანილი იქნეს სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების მე-17 მუხლის შესაბამისობაში.

5. დიდ ინტერესს იწვევს პროექტის IV თავი „გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთების შემოწმება“. შესამჩნევ, და ამავე დროს ძალზე მნიშვნელოვან ნაბიჯს აკეთებს წინ პროექტის 43-ე მუხლი, რომელიც აწესებს, რომ საქმის სასამართლო ზედამხედველობის წესით გამრჩევი სასამართლო სხდომა ტარდება ღიად და მასში მონაწილეობის მიღება და ახსნა-განმარტების მიცემა შეუძლია მხარეებს და საქმეში მონაწილე სხვა პირებს, უკეთეს ისინი გამოცხადდნენ სასამართლოს სხდომაზე, ამასთან მათ უნდა ჩაბარდეს ასლი საქმეზე შეტანილი პროტესტისა, აგრეთვე უწყება სასამართლო ზედამხედველობის წესით საქმის განხილვის დროსა და ადგილის შესახებ. სასამართლო ზედამხედველობის წესით განხილვის ასეთი წესი შეჯიბრებითობის პრინციპს ავრცელებს სასამართლო ზედამხედველობის სტადიაზეც და წარმოადგენს გარანტიას საქმის ცალმხრივი განხილვისა და სხვადასხვა შემთხვევითობის წინააღმდეგ, რასაც ადგილი აქვს ხოლმე მაშინ, როდესაც ყველა მხარეს არ შეუძლია წარუდგინოს სასამართლოს გასათვალისწინებლად თავიანთი მოსაზრებანი.

ამ კარში არის, ჩვენი აზრით, არსებითი ხარვეზები. მასში არ არის გათვალისწინებული სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის საფუძვლები, ასეთ საფუძვლებს კი საერ-

თო მნიშვნელობა აქვს და ერთგვარი უნდა იყოს ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, რის გამოც საჭიროა მათი გათვალისწინება სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლებში.

ჩვენის აზრით სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის საფუძვლები შეესაბამება განაჩენის გაუქმების ან შეცვლის საფუძვლებს. ასეთია: ა) სასამართლო განხილვის ცალმხრივობა ან უსრულობა, ბ) გადაწყვეტილებაში მოყვანილი სასამართლოს დასკვნების შეუსაბამობა საქმის ფაქტიურ გარემოებასთან, გ) სამოქალაქო-საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა, დ) სამოქალაქო კანონის არა სწორი შეფარდება. ეს საფუძვლები საკმაოა იმისათვის, რომ ზემდგომმა სასამართლომ გააუქმოს ან შეცვალოს სასამართლოს გადაწყვეტილება.

ეს საფუძვლები არაპირდაპირ შეიძლება გამომდინარეობდეს პროექტიდან. ასე მაგალითად, პროექტის 41-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება შეიცვალოს უკეთეს დაშვებულთა შეცდომა მატერიალური სამართლის (უმჯობესი იქნება ითქვას — სამოქალაქო კანონის — რ. რ.) გამოყენებაში. მაგრამ უფრო სწორი იქნებოდა შევეცადოთ ასეთი საფუძვლების ჩამოთვლას და გავითვალისწინოთ ის პროექტის ცალკე მუხლში, ჩვენ დაჟინებით არ მოვითხოვთ სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლებით გათვალისწინებული საფუძვლების მთლიანად დამოტანას, მაგრამ მათზე ორიენტირებით შემუშავებულ უნდა იქნეს სამოქალაქო სასამართლო-წარმოებაში გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის საფუძვლები.

6. პროექტის მე-18 მუხლში ნათქვამია, რომ მხარეებს პროცესის „ყველა სტადიაზე“ უფლება აქვთ წარადგინონ დამამტკიცებელი საბუთები და მონაწი-

ლეობა მიიღონ დამამტკიცებელ საბუთთა გამოკვლევაში. ასეთი ფორმულირებისას საკასაციო ინსტანცია იქცევა ისეთ ინსტანციად, რასაც სააპელაციოს უწოდებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მუხლში დამამტკიცებელ საბუთად იგულისხმება მტკიცების საშუალებანი, ვინაიდან ფაქტიური მონაცემების წარდგენა ყოველთვის როდია შესაძლებელი. შეიძლება წარდგენა დოკუმენტის, მოწმის, პირადი ახსნა-განმარტების.

რამდენადაც მე-18 მუხლი არ აკეთებს გამონაკლისს მეორე და საზედამხედველო ინსტანციებისათვის, გამოდის რომ მხარეებს შეუძლიათ წარადგინონ ამ ინსტანციებში სხვადასხვაგვარი დამამტკიცებელი საბუთები, მათ შორის მოწმეები, ექსპონატის დასკვნა და ა. შ. უფრო მეტიც, ამ მუხლში მოხსენებულია დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევაც „ყველა ინსტანციაში“. ეს იმას ნიშნავს, რომ ზემდგომ სასამართლოებში შეიძლება ადგილი აქვთ ისეთი დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევას, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლოს შესწავლის საგანი არ ყოფილა, რაც ცხადია, სწორად ვერ ჩაითვლება.

პროექტის სხვა მუხლებში, მგალითად 41-ე და 44-ე მ. მ. ხაზგასმულია, რომ გადაწყვეტილების შეცვლა, არსებითად ახალი გადაწყვეტილების გამოტანაც კი დაიშვება მხოლოდ იმ პირობით, თუ „საქმის ფაქტიური გარემოებანი სასამართლოს მიერ (პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ რ. რ.) დადგენილია სრულიად და სწორად, საქმე არ საჭიროებს დამამტკიცებელი საბუთების შეგროვებას ან დამატებით შემოწმებას“. ეს ნიშნავს, რომ ზემდგომი სასამართლოების განჩინებები და დადგენილებები არ შეიძლება მიღებულ იქნეს მათთვის წარდგენილ და მათ მიერ გამოკვლეული ახალი დამამტ-

კიცებელი საბუთების საფუძველზე.

ამიტომ პროექტის მე-18 მუხლი მოყვანილი უნდა იქნეს 41-ე და 44-ე მუხლების შესაბამისობაში. მე-18 მუხლში ლაპარაკი უნდა იყოს იმ ახალი მასალების შესახებ, რაც შეიძლება წარედგინოს მხარეების მიერ ზემდგომ სასამართლოს, ამასთან ეს მასალები შეიძლება იყოს წერილობითი და ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების ხასიათისა და გამოდგეს გადაწყვეტილების მხოლოდ გაუქმების საფუძველად, იმ მიზნით, რომ მათი გამოკვლევა მოხდეს პირველი ინსტანციის სასამართლოში.

7. ინტერესს წარმოადგენს პროექტის მე-15 მუხლი სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენის სავალდებულო ძალის შესახებ დანაშაულის სამოქალაქო-უფლებრივ შედეგებზე აღძრულ სამოქალაქო საქმის განმხილავი სასამართლოსათვის. მასში ნათქვამია, რომ ასეთი განაჩენი სავალდებულოა სასამართლოსათვის, რომელიც განიხილავს საქმეს დანაშაულის სამოქალაქო-უფლებრივი შედეგის შესახებ „დანაშაულის ფაქტის დადგენისა და მისი მსჯავრდადებულის მიერ ჩადენის მიმართ“.

საკითხის ასეთი დაყენება ჩვენ არ მიგვაჩნია სავსებით სწორად. ობიექტურად გამოდის, რომ განაჩენი სისხლის სამართლის საქმეზე მხოლოდ რომელიც ნაწილშია სავალდებულო სამოქალაქო სარჩელის განმხილავი სასამართლოსათვის, ხოლო ნაწილში იგი სავალდებულო არ არის.

სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძველების 54-ე მუხლი კი არავითარ გამონაკლისს არ უშვებს ამ დარგში. იგი აწესებს, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი, განჩინება და დადგენილება სავალდებულოა ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულები-

სათვის, საწარმოსა და ორგანიზაცი-
სათვის, თანამდებობის პირთა და მოქა-
ლაქეთათვის და უნდა აღსრულდეს სსრ
კავშირის მთელ ტერიტორიაზე. არავი-
თარი გამოჩაღისი არ არის გათვალის-
წინებული სასამართლოსათვის რომე-
ლიც განიხილავს სამოქალაქო საქმეს,
როგორც დანაშაულის შედეგს.

რას ნიშნავს „დანაშაულის ფაქტი“
და „მსჯავრდადებულის მიერ დანაშაუ-
ლის ჩადენა“? ჩვენი აზრით ეს უნდა
ნიშნავდეს სისხლის სამართლის საქმე-
ზე დასამტკიცებელ ყველა გარემოე-
ბას, რაიმე გამოჩაღისის გარეშე. ეს
ნიშნავს აგრეთვე იმ დამამტკიცებელი
საბუთების ნამდვილად აღიარებას,
რომლებზეც დაფუძნებულია განაჩენი.
დამამტკიცებელი საბუთების სხვაგვარი
შეფასება იმასთან შედარებით რაც გა-
ნაჩენშია მოცემული, დაუშვებელია.
მაშინ ისმება საკითხი: განაჩენი რომელ
ნაწილში არ არის სავალდებულო სამო-

ქალაქო საქმის განმხილავი სასამართ-
ლოსათვის? აქ შესაძლოა აზრთა სხვა-
დასხვაობა. არასწორი ახსნა-განმარტე-
ბის აღსაკვეთად და იმ მიზნით, რომ ამ
ნორმის პროექტი შეესაბამებოდეს სის-
ხლის სამართლის სასამართლო წარმოე-
ბის საფუძვლებს 54-ე მუხლს, მიზან-
შეწონილი იქნება „საფუძვლების“ პრო-
ექტის მე-15 მუხლის ტექსტი შეიცვა-
ლოს და მასში გათვალისწინებული იქ-
ნეს, რომ კანონიერ ძალაში შესული
განაჩენი (აგრეთვე განჩინება, დადგე-
ნილება) სავალდებულოა ჩადენილი და-
ნაშაულის სამოქალაქო უფლებრივი
შედეგის შესახებ საქმის განმხილავი
სასამართლოსათვის.

ასეთია ზოგიერთი საკითხი სსრ კავ-
შირის და მოკავშირე რესპუბლიკების
სამოქალაქო სასამართლო წარმოების
საფუძვლების პროექტისა, რაც გათვა-
ლისწინებული უნდა იქნეს პროექტის
საბოლოო რედაქტირებისას.

დავაუზვოთ ხალკეული ნორმები და დებულებები

თ. ლილუაშვილი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის
საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო
განზრახულობათა კომისიამ მიიღო გადაწყვეტი-
ლება გამოაქვეყნოს ფართო საზოგადოებრივი
განხილვისათვის სსრ კავშირისა და მოკავში-
რე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის სა-
სამართლო წარმოების საფუძვლების პროექტი.

„საფუძვლების“ შესაბამისად, როგორც ეს
აღნიშნულია პროექტის მე-2 მუხლში, მოკავში-
რე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის სა-
სამართლის საპროცესო კოდექსები. ამასთან
დაკავშირებით გასაკვირია, თუ რაოდენ დიდი
მნიშვნელობა აქვს პროექტის ღრმა, შინაარსი-
ან შესწავლას, რათა დროულად იქნეს შემჩნე-
ული ყველა ის ნაკლოვანება და ხარვეზი, რო-
მელიც შეიძლება ახასიათებდეს პროექტს.

„საფუძვლების“ პროექტში ჩამოყალიბებუ-
ლია მთელი რიგი დებულებები და ძირი-

თადი პრინციპები, რომლებიც ხელს შეუწყო-
ბენ სოციალისტური კანონიერების შემდგომი
განმტკიცების საქმეს და იმ ამოცანების განზო-
რციელებას, რომელიც საბჭოთა სასამართლოს
წინაშეა დასმული ჩვენი პარტიის და მთავრო-
ბის მიერ.

პროცესუალურ ლიტერატურაში არ არსებო-
ბდა ერთიანი აზრი იმ მეტად მნიშვნელოვანი
საკითხის მიმართ, თუ რა არის სამოქალაქო სა-
მართალწარმოების მიზნები. ეს მიზნები
ჩამოყალიბებულია პროექტის პირველ მუხლში,
რაც უდაოდ მისასაღმებელია.

პროექტში ჩამოყალიბებულია ის ერთ-ერთი
ძირითადი დებულება, რომ ყოველ დაინტერე-
სებულ პირს უფლება აქვს მიმართოს სასამარ-
თლოს მისი დარღვეული ან სადაოდ გამზდარი
უფლების ან კანონით გათვალისწინებულ ინტე-



რესების დასაცავად (მუხ. 4.) ზედმიწევნით მკაფიოდ და ამომწურავადაა ჩამოყალიბებული პროექტში მხარეთა პროცესუალური უფლებები და მოვალეობები (მუხ. 18). ყველა ეს უფლებები საშუალებას მისცემენ მხარეებს დაიცვან სასამართლოში თავიანთი კანონიერი მოთხოვნების საფუძვლიანობა. პროექტში შენარჩუნებულია საბჭოთა სამოქალაქო სამართლის პროცესის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რომლის თანახმად სასამართლოს დაქისრებული აქვს მოვალეობა მიმართოს ყოველგვარ ღონისძიებას საქმის ნამდვილ გარემოებათა და მხარეების უფლება-მოვალეობათა გამოსარკვევად (მუხ. 14). ამ მოვალეობის შესასრულებლად სასამართლოს მინიჭებული აქვს ფართო უფლებები. მაგალითად, სასამართლოს უფლება ეძლევა არ მიიღოს სარჩელზე უარის თქმა ან არ დაამტკიცოს მორიგება, თუ მიიჩნევს, რომ მხარეთა ასეთი მოქმედება ეწინააღმდეგება კანონს ან არღვევს ვისიმე უფლებას და კანონით დატულ ინტერესს (მუხ. 18), სასამართლოს უფლება ეძლევა წინადადება მისცეს მხარეებს წარადგინონ დამატებითი დამამტკიცებელი საბუთები, აგრეთვე უფლება ეძლევა გამოითხოვოს ეს დამამტკიცებელი საბუთი თავისი ინიციატივით (მუხ. 30).

განსვავებთ ამჟამად მოქმედი მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებისა, „საფუძვლების“ პროექტში ჩამოყალიბებულია არა მარტო პროკურორის უფლება აღძრას სარჩელი, თუ ამას მოითხოვს სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ან მოქალაქის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა, არამედ, აგრეთვე გათვალისწინებულია, თუ რა პროცესუალური უფლებებით სარგებლობს პროკურორი პროცესში (მუხ. 23). ახლებურადაა გადაწყვეტილი საკითხი პროცესში სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობისა და მათი პროცესუალური უფლებების შესახებ (მუხ. 24)

მოკავშირე რესპუბლიკებში ამჟამად მოქმედი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებით სათანადოდ არ არის მოწესრიგებული საკითხი იმის შესახებ, თუ რა შემთხვევაში შეუძლია სასამართლოს საქმე წარმოებით მოსპოს. „საფუძვლების“ პროექტში აღმოფხვრილია ეს ხარვეზი და სპეციალურ მუხლში (მუხ. 35) მითითებულია იმ საფუძვლებზე, რომელთა არსებობის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია არ გამოიტანოს საქმეზე არსებითად გადაწყვეტილება და მოსპოს საქმე წარმოებით.

პროექტი შეიცავს ბევრ სხვა პრაქტიკული თვალსაზრისით დიდნიშვნელოვან დებულებებს და ძირითად პრინციპებს, რის გამოც ის უღაოდ დადებით შეფასებას იმსახურებს.

მიუხედავად ამისა პროექტი, ჩვენის აზრით, მოითხოვს ზოგიერთ დამატებებს და დაზუსტებას.

I. პროექტის მე-20 მუხლის თანახმად, უკეთესი საქმის წარმოების დროს გამოირკვეა, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის მიერ, ვისაც მოთხოვნის უფლება აქვს, ან არა იმ პირის წინააღმდეგ, ვინც მასზე, პასუხი უნდა აგოს, სასამართლოს, მოსარჩელეს თანხმობით, შეუძლია, საქმის მოუსპობდ, შეცვალოს არასათანადო მოსარჩელე ან მოპასუხე სათანადოა.

უკეთესი მოსარჩელე არ არის თანახმა მოპასუხის შეცვლაზე სხვა პირით, სასამართლოს უფლება აქვს ჩააბას უქანასკნელი მეორე მოპასუხედ.

ამ მუხლის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საკითხი არასათანადო მოპასუხის შეცვლის შესახებ ამომწურავადაა გადაწყვეტილი. რაც შეეხება საკითხს არასათანადო მოსარჩელის შეცვლის შესახებ, პროექტის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია შეცვალოს ის სათანადო მოსარჩელი, თუ ამაზე თანახმა არასათანადო მოსარჩელე.

მაგრამ იბადება კითხვა: თუ ამ არასათანადო მოსარჩელეს არ სურს გამოვიდეს პროცესიდან, არ არის თანახმა მისი სხვა სათანადო მოსარჩელით შეცვლაზე, რა ზომები შეუძლია მიიღოს სასამართლომ ასეთ შემთხვევაში?

ამ კითხვაზე არც მე-20 მუხლი და არც პროექტის სხვა მუხლები პასუხს არ იძლევა. სწინებული საკითხების გადაწყვეტა კი აუცილებელია, ვინაიდან მე-20 მუხლის პრაქტიკაში გამოყენების დროს შეიძლება ის სხვადასხვანაირად იქნეს გაგებული. კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც გამოირკვევა, რომ მოსარჩელე არასათანადოა, ეს უქანასკნელი კი თანახმა არ არის მისი სათანადო მოსარჩელით შეცვლაზე, სასამართლომ შეიძლება: ა) უარი უთხრას ასეთ მოსარჩელეს ეს? სასარჩელო განცხადების მიღებაზე; ბ) მოსპოს საქმე წარმოებით, თუ საკითხი იმის შესახებ, რომ სარჩელი აღძრულია არასათანადო მოსარჩელის მიერ, გამოირკვევა საქმის არსებითად გადაწყვეტის დროს.

სასამართლო პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია შემთხვევა, როდესაც სასამართლო არ ღებულობს სასარჩელო განცხადებას ან საქმეს წარმოებით სპობს, თუ გამოარკვევს, რომ სარჩელი აღძრულია არასათანადო მოსარჩელის მიერ ან არასათანადო მოპასუხის წინააღმდეგ.

სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ მრავალჯერ მიუთითა სასამართლოებს, რომ საკითხის ამგვარად გადაწყვეტა არ არის

საქართველო
საბჭოთაო

სწორი, სასამართლომ ასეთ შემთხვევაში ყოველთვის უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება არსებითად, და თუ სარჩელი არასათანადო მოსარჩელის მიერაა აღძრული, ხოლო ის კი არ არის თანახმა მისი სათანადო მოსარჩელით შეცვლაზე, უარი უნდა უთხრას ასეთ მოსარჩელეს სარჩელზე მისი დაუსაბუთებულობის გამო.

პრაქტიკაში ზემოთაღნიშნულ გაუგებრობათა თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია, რათა პროექტის მე-20 მუხლს დაემატოს შემდეგი: უკეთეს სათანადო მოსარჩელე თანახმა არ არის მისი სათანადო მოსარჩელით შეცვლაზე, სასამართლომ უნდა განიხილოს საქმე არსებითად, გამოიტანოს გადაწყვეტილება და უარი უთხრას სარჩელზე მისი დაუსაბუთებულობის გამო!

II. იმ შემთხვევაში, როდესაც არასათანადო მოსარჩელე თანახმა გამოვიდეს საქმიდან, სასამართლოს როგორც წესი გამოაქვს ამის შესახებ დადგენილება.

არც „საფუძვლების“ პროექტი და არც მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებით არასათანადო მოსარჩელის თანხმობა გამოვიდეს საქმიდან, არ არის განხილული როგორც სარჩელზე უარის თქმა, თუმცა არსებობს ყველა საფუძველი, რათა ეს ორი ცნება ცნობილი იქნეს როგორც ერთნაირი მნიშვნელობისანი თავიანთი შედეგების მიხედვით.

საბჭოთა პროცესუალისტები ერთსულოვნათ გამოთქვამენ იმ აზრს, რომ არასათანადო მოსარჩელის თანხმობა მისი საქმიდან გასვლის შესახებ თავისი შედეგების მიხედვით იგივეა, რაც უარისთქმა სარჩელზე.

მოკავშირე რესპუბლიკების მოქმედი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებით და „საფუძვლების“ პროექტის 25 მუხლით სარჩელზე უარის თქმის შემთხვევაში მოსარჩელე კარგავს უფლებას ხელმოკრედ აღძრას იგივე სარჩელი. ასეთი პროცესუალურ-სასამართლოებრივი შედეგი უნდა გამოიწვიოს არასათანადო მოსარჩელის თანხმობამ მისი საქმიდან გასვლის შესახებ.

აქედან გამომდინარე მიზანშეწონილი იქნება, თუ პროექტის 25 მუხლს დაემატება შემდეგი შინაარსის პუნქტი:

უკეთეს არსებობს სასამართლოს დადგენილება საქმიდან მოსარჩელის გასვლის შესახებ ან მოპასუხის საქმეში მონაწილეობისაგან განთავისუფლების შესახებ, იგივე სარჩელის იმავე

მხარეთა შორის ხელმოკრედ აღძვრა არ დაიშვება.

III პროექტის 30-ე მუხლის თანახმად „თვითეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოება, რაზედაც იგი ამყარებს მოთხოვნას ან შესაძლებლობას“.


ამ მუხლის ანალიზიდან (მსგავსი მუხლები მოკავშირე რესპუბლიკების ყველა სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებშია) ნათლად სჩანს, რომ მხარეები მოვალე არიან დაამტკიცონ მხოლოდ ის ფაქტები, რომლებზედაც ისინი ემყარებიან, და რომ დამტკიცებულ უნდა იქნეს მხოლოდ ეს ფაქტები.

პროექტის 30-ე მუხლის ასეთი მიითებება არ არის საკმარისი საბჭოთა სამოქალაქო სამართლის პროცესისათვის.

საბჭოთა სასამართლომ უნდა დაადგინოს ჭეშმარიტება საქმეზე, ამიტომ, როგორც ამის შესახებ არაერთხელ მიუთითა სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ, ის არ უნდა შეიზღუდოს მხოლოდ იმ ფაქტების დადგენით, რომლებსაც ეყრდნობიან მხარეები. მხარეები, როგორც ცნობილია, ხშირ შემთხვევაში იურიდიულად გაუნათლებელი პირები არიან და მათ შეიძლება არ მიუთითონ ყველა იმ ფაქტებზე, რომელთა დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა. საბჭოთა სასამართლომ ჭეშმარიტების დადგენის მიზნით უნდა დაადგინოს ყველა ის ფაქტი, რომელთა გარეშე შეუძლებელია საქმის არსებითად სწორად გადაწყვეტა, დამოუკიდებლად, იმისა, მიუთითებენ და ეყრდნობიან ამ ფაქტებს მხარეები თუ არა.

სამწუხაროდ საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში კიდევ ხშირია შემთხვევა, როდესაც სასამართლოს, გამომდინარეობს რა მოქმედი სამოქ. საბრ. კოდექსის 126 მუხლის (შეესაბამება პროექტის 30 მუხ.) ზუსტი მნიშვნელობიდან, მტკიცების საგანში შეაქვს მხოლოდ და მხოლოდ ის ფაქტები, რომლებზედაც მიუთითებენ მხარეები ასეთი მიდგომა არ შეესაბამება საბჭოთა მართლმსაჯულების არსს.

საბჭოთა სამოქალაქო სამართლის პროცესში განსხვავებით იმ ქვეყნების სამოქალაქო სამართლის პროცესებისა, სადაც სასამართლოს წინაშე არ დგას ამოცანა დადგენილ იქნეს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტება, მტკიცების საგნის განსაზღვრისათვის მთავარი და გადამწყვეტი მნიშვნელობა მართოდენ იმას კი არ უნდა მიეცეს, თუ რომელ ფაქტებს ეყრდნობიან და რომელ ფაქტებზე მიუთითებენ მხარე-



ები, არამედ იმას, თუ როგორია მხარეთა მოთხოვნა და აქედან გამომდინარე რა ფაქტები უნდა დადგინდეს, რომ საქმე არსებითად სწორად გადაწყვეტილი.

ზემოდ აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეცვლილი იქნეს პროექტის 30 მუხლის რედაქცია და ჩამოყალიბდეს ის შემდეგნაირად:

თვითუღმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოება. რაზედაც იგი ამყარებს მოთხოვნას ან მისაგებელს. სასამართლომ განსახილველად უნდა დააყენოს ის ფაქტები, რომლებზედაც მხარეები რატომღაც არ მიუთითებენ, მაგრამ რომლებიც შეიძლება გახდნენ მათი მოთხოვნის ან შესაგებლის საფუძველი.

IV. სამოქალაქო სამართლის პროცესუალურ ლიტერატურაში სადაოა საკითხი, აქვს თუ არა სასამართლოს უფლება შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი. მოქმედი საპროცესო კოდექსებით ეს საკითხი არ არის მოწესრიგებული.

სასამართლო პრაქტიკაში ამ საკითხებზე არ არის ერთიანობა. მაგალითად, ხშირია შემთხვევა, როდესაც სასამართლოები მოსარჩელის თანხმობის გარეშე ცვლიან სარჩელის საგანს, ე. ი. აკმაყოფილებენ ისეთ მოთხოვნას, რაც მოსარჩელეს არ წამოუყენებია სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ არასწორად სცნო ასეთი პრაქტიკა და მიუთითა, რომ სასამართლოს არ აქვს უფლება თავისი ინიციატივით შეცვალოს სარჩელის საგანი, ვინაიდან ეს არღვევს დისპოზიციურობის პრინციპს¹.

სასამართლოს მიერ თავისი ინიციატივით და მოსარჩელის თანხმობის გარეშე სარჩელის საფუძველის შეცვლა სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების ერთ-ერთ საფუძველად მიიჩნია.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვერ დავეთანხმებით პროფ. ა. ფ. კლეინმანის წინადადებას იმის შესახებ, რომ „საფუძვლები“ შეიცავდეს ნორმას, რომლის თანახმად სასამართლოს უფლება ექნება შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი, თუ სარჩელის ეს ელემენტები არასწორადაა ჩამოყალიბებული მოსარჩელის მიერ². რა თქმა უნდა სასამართლოს უფლება უნდა მიეცეს იურიდიულად სწორად ჩამოყალიბდეს მოსარჩელის მიერ არასწორად ჩამოყალიბებული სასარჩელო მოთხოვნა (სარჩე-

ლის საგანი), მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამით სასამართლო ცვლის სარჩელის საგანს, რომლის დროსაც სასამართლო აკმაყოფილებს სულ სხვა მოთხოვნას, ვიდრე ეს სურდა მოსარჩელეს.

სარჩელის საგნის სწორად ჩამოყალიბება და სარჩელის საგნის შეცვლა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც იდენტური ცნებები: სარჩელის საგნის შეცვლის დროს თავდაპირველი სარჩელის საგანს იკავებს სრულიად ახალი საგანი, სარჩელის საგნის სწორად ჩამოყალიბების დროს თავდაპირველი საგანი იგივე რჩება შინაარსობრივად, მხოლოდ ხდება მისი დაზუსტება და გარკვევით ჩამოყალიბება; სხვადასხვანაირია ის მიზეზები, რომლებიც იწვევენ სარჩელის საგნის სწორად ჩამოყალიბებისა და მისი შეცვლის აუცილებლობას. სარჩელის სწორად ჩამოყალიბების აუცილებლობა გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ ვაუტეგბარია, თუ რა სურს მოსარჩელეს. სარჩელის საგნის შეცვლის აუცილებლობა კი გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ სარჩელის საგანი თუმცა სწორად და გასაგებადაა ჩამოყალიბებული, მაგრამ იმ საფუძველით, რომელზედაც მოსარჩელე ეყრდნობა, შეიძლება არა ამ მოთხოვნის, არამედ სხვა მოთხოვნის დაკმაყოფილება

სასამართლოს არ უნდა მისცეს აგრეთვე უფლება შეცვალოს სარჩელის საფუძველი, თუ მოსარჩელე ასეთი შეცვლის კატეგორიული წინააღმდეგია. მაგრამ დისპოზიციურობის პრინციპი არ დაირღვევა, თუ ეს საკითხი გადაწყვეტილი იქნება პროექტის მე-20 მუხლის ანალოგიურად, ე. ი. თუ სასამართლო დაინახავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს მაგრამ არა იმ საფუძველით, რომელზედაც მიუთითებს მოსარჩელე, ხოლო ეს უკანასკნელი კი წინააღმდეგია შეცვალოს მის მიერ მითითებული საფუძველი, სასამართლომ მიუხედავად ამისა უნდა განიხილოს და დააკმაყოფილოს სარჩელი ამ ახალი საფუძველით, ერთდროულად უარს ეტყვის რა მოსარჩელეს სარჩელზე მის მიერ მითითებული საფუძველით.

ზემოთაღნიშნული საკითხების „საფუძველების“ პროექტში გათვალისწინება, ჩვენის აზრით, ხელს შეუწყობს იმ ზოგიერთი შეცდომების აღმოფხვრას, რომლებსაც დღემდე აქვს ადგილი სასამართლოების მუშაობაში.

¹ იხ. „Судебная практика Верховного Суда СССР, 1954 г. № 4, стр. 47.

² „Советская Юстиция,“ № 8, 1960 г. стр. 8.

სასამართლო და პროკურატურის ორგანოების მუშაობის პრაქტიკა

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კლენუშის 1960 წლის
4 ივნისის დადგენილება № 4

განზრახ მკვლევლობის საქმეზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ

განზრახ მკვლევლობა ერთ-ერთი ყველაზე უფრო მძიმე დანაშაულია სოციალისტური საზოგადოების პირობებში, სადაც დაუცხრომლად ზრუნავენ ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე. გადაწყვეტი ბრძოლა ადამიანის სიცოცხლის დანაშაულებრივი ხელყოფის წინააღმდეგ წარმოადგენს სასამართლო ორგანოების უმნიშვნელოვანეს ამოცანას.

განზრახ მკვლევლობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის განზოგადების შედეგები ცხადყოფენ, რომ სასამართლო ორგანოები ძირითადად სწორად წყვეტენ ამ საქმეებს. ამავე დროს, სასამართლოების მუშაობაში აღნიშნულ საქმეთა განხილვისას ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, რაც საკარგოდ ასუბტებს ამ მძიმე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობას და ამ კატეგორიის საქმეებზე სასამართლო პროცესის გამაფრთხილებელ და აღმზრდელი მნიშვნელობას. ეს ნაკლოვანებანი უმთავრესად გამოიხატება შემდეგში:

სწორად საქმის გამოძიება ტარდება ზერედედ, საქმოდ სრულყოფილად და ზუსტად არ ვლინდება ის გარემოებანი, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ასეთი მდგომარეობა კი მთელ რიგ შემთხვევებში იწვევს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას საქმის ყველა გარემოების დადგენის გარეშე.

მაგალითად, ავტობაიჯანის სსრ უმაღლესმა სასამართლომ განაჩენით შ. ა. ასკეროვს ავტობაიჯანის სსრ სსკ 171 მუხლის 1 ნაწილის „ა“ პუნქტით გამოუტანა სიკვდილით დასჯა, ხოლო ა. ა. ისკენდეროვსა და ტ. ა. ისკენდეროვს — თავისუფლების აღკვეთა. ისინი დამნაშაედ იქნენ ცნობილი მასში, რომ შუტრისძიების ნიადაგზე მოკლეს სამშენებლო უზნის დარაჯი ზეინალოვი იმის გამო, რომ დაზარალებულმა არ გაატანა ასკეროვს სამშენებლო მასალა.

ასკეროვმა, არ უარყო რა თავისი დანაშაული ზეინალოვის მკვლევლობაში, განმარტა, რომ იგი გამოგარჩლა ორ ქალს, რომლებსაც სდევნიდნენ ზეინალოვი და სალამოვი. როდესაც ასკეროვმა წინადადება მისცა ზეინალოვს შეეწყვიტა ქალების დევნა, ზეინალოვმა ჩაარტყა მას თავში ქვა და გამოეკიდა დანით, ხოლო როცა დაეწია, ასკეროვმა გამოგლიჯა მას ხელიდან დანა, რითაც ზეინალოვს მიაყენა რამდენიმე ჭრილობა, და ეს უკანასკნელი გარდაიცვალა მიუყენებელი ჭრილობების შედეგად. ასკეროვი, იყო რა თვითონაც დაჭრილი, შევიდა თავის სიდედრის სახლში, სადაც დახვდნენ ისკენდეროვები. ეს ჩვენება დადასტურებს ისკენდეროვებმა, აგრეთვე ერთ-ერთმა იმ ქალთაგანმა, რომელსაც ზეინალოვი სდევნიდა. სასამართლომ საქმოდ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის ყველა მტკიცება და დაეყრდნო რა ზეინალოვის ძმისწულის სალამოვის წინააღმდეგობის შემცველ ჩვენებებს, რომელიც დაინტერესებული იყო საქმის დაბოლოებით, ასკეროვსა და ისკენდეროვებს გამოუტანა გამამტყუნებელი განაჩენი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გააუქმა განაჩენი და საქმე გადასცა ხელახლა განსახილველად წინასწარი გამოძიების სტადიიდან.

სასამართლოები განზრახ მკვლევლობის საქმეთა განხილვისას, რიგ შემთხვევებში, საქმოდ არ აფასებენ იმ მონაცემების სრულყოფილად გამოკვლევის დიდ მნიშვნელობას, რომლებიც ახსიათებენ სამართალში მიცემულთა ბიროვნებას, მათ წარსულს, საქმიანობასა და ა. შ., რაც ხშირად გავლენას ახდენს როგორც სასჯელის ღონისძიების შესახებ საკითხების გადაწყვეტაზე, აგრეთვე საქმის არსებითად სწორად გადაწყვეტაზეც. ახვევ საქმოდ სრულყოფილად არ იკვლევენ მონაცემებს დაზარალებულის ბიროვნებაზე და მის საქციელზე შემთხვევის დროს.

შეცდომებს უშვებენ აგრეთვე სამართალში მიცემულის მოქმედებისა და იმ დამდგარ შედეგთა შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობის საკითხის გამოკვლევისას, რომლებსაც სამართალში მიცემულს აბრალებენ. ყველაზე უფრო ხშირად ამ შეცდომებს უშვებენ იმ შემ-



თხვევებში, როდესაც სამართალში მიცემულის მოქმედებამ მხოლოდ არაპირდაპირ განაძი-
რობა ისეთ გარემოებათა დადგომა, რომლებიც დაზარალებულის სიკვდილის უშუალო მიზეზი
ვახდნენ. ასე, გორნო ბაღაშვიანის ავტომობილი ოქროს სასამართლოს განჩინებით ტაჯიკეთის სსრ
სსკ 168 მუხლის 1 ნაწ. „ა“ პუნქტით მსჯავრი დაედო პ. მ. პოტიომკინს, რომელიც დამანაშავედ
იქნა ცნობილი მასში, რომ მან სულიგნური ქვენა გრძნობით მოკლა თავისი სიმაჰრი დ. მ.
გლადაკვი. საქმის მასალებით დადგენილია, რომ პოტიომკინმა მთვრალ მდგომარეობაში
მყოფმა, ახტენა დებოში. იმ მიზნით, რათა დაეშოშინებინათ იგი, პოტიომკინის ნათესავებმა,
მათ რიცხვში მისმა სიმაჰრმა გლადაკვმა, წააქციეს იგი იატაკზე და ხელფეხი დაუკავებ. 70
წლის ასაკის გლადაკვს, რომელიც დაავადებული იყო არტერიოსკლეროზით, გულის ძარღვე-
ბისა და მთავარი ტვინის დაზიანებით, ძლიერი დაჭიმვის შედეგად მოუვიდა გულის დამბლა,
რამაც გამოიწვია მისი სიკვდილი. სასამართლომ უსწორად ცნო მიზეზობრივი კავშირის არ-
სებობა პოტიომკინის სულიგნური მოქმედებასა და გლადაკვის სიკვდილს შორის და, მიუხე-
დავად საქმის მასალებისა, პოტიომკინი დამანაშავედ ცნო განზრახ მკვლელობაში. ტაჯიკეთის
სსრ უმაღლესმა სასამართლომ მართებულიად უარყო ეს ბრალდება და პოტიომკინი დამანაშავედ
ცნო ტაჯიკეთის სსრ სსკ მხოლოდ 95 მუხლის მე-2 ნაწილით (ბოროტული სულიგნობა).

განზრახ მკვლელობათა საქმეების განხილვისას ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლს წარმოადგენს
იხიცი, რომ რიგ შემთხვევებში სასამართლოები სწორ კვალიფიკაციას არ ანიჭებენ სამართალში
მიცემულთა მოქმედებებს, როგორც განზრახ მკვლელობას სიკვდილის მიყენების განზრახვის
უქონლობისა ან დაუმტკიცებლობის ვითარებაში.

არსანგელსკის საოლქო სასამართლოს განჩინებით რსფსრ 136 მუხლის 1 ნ. „ა“ პუნქ-
ტით მსჯავრი დაედო ტ.გ. ბაჩერნიხინს, რომელიც ცნობილი იქნა დამანაშავედ მასში, რომ
მან ქვენა გრძნობით მოკლა ბაჩურინი. სასამართლომ დაადგინა, რომ ბაჩერნიხინი, რომელიც
მუშაობდა კოლმეურნობის წყალსატუმში სადგურის ჭიხურში, სადაც მას დახვდა კოლმეურ-
ნობის თავმჯდომარის მოადგილე ბაჩურინი, რომელიც ეწეოდა წყლის ტუმბვას. ბაჩერნიხინ-
მა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მისი ნებართვის გარეშე იქნა ამუშავებული ძრავა
და ამის გამო ბაჩერნიხინსა და ბაჩურინს მოუვიდათ ჩხუბი. ბაჩერნიხინმა გულმკერდის არე-
ში ჰკრა ხელი ბაჩურინს, უკანასკნელი წაიქცა, თავი მიარტყა ღუმელის კიდეც, მიიღო თავის
ქალას მოტყენილობა მდგრადი ტვინის გარსში სისხლის ჩაქცევით, რამაც გამოიწვია მი-
სი სიკვდილი.

საქმის ყველა გარემოება იძლეოდა საფუძველს დასკვნისათვის, რომ ბაჩერნიხინს არ
ქონია ბაჩურინის მოკვლის განზრახვა. მიუხედავად იმისა, რომ განაჩინი არ იყო სწორი,
რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ აღნიშ-
ნული განაჩინი დატოვა ძალაში. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1959 წლის
4 ივნისის დადგენილებით ბაჩერნიხინის მოქმედება გადაკვალიფიცირებულია რსფსრ სსკ 139
მუხლზე (მკვლელობა გაუფრთხილებლობით).

დამანაშავის განზრახვის შინაარსის არასწორად გაგება რიგ შემთხვევებში იძლევა ისეთ
შედეგს, როდესაც სასამართლოები ვეღარ საზღვრავენ განზრახ მკვლელობასა და სხეულისა-
თვის ისეთი მძიმე ზიანის მიყენებას, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიკვდილი. სასამარ-
თლოები არ უწევენ ანგარიშს, რომ პირველ შემთხვევაში საჭიროა განხილვის პირდაპირი ან
არაპირდაპირი მხილება სიკვდილის მიყენებაზე, სოლო მეორე შემთხვევაში — განზრახვის
მხილება მხოლოდ სხეულისათვის ზიანის მიყენებაზე, დაზარალებულის სიკვდილისადმი დამო-
კიდებულება კი დებულობს დანაშაულის სახეს გაუფრთხილებლობით, ამვე დროს ამ საკით-
ხის სწორად გადაწყვეტას არსებითი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის კვალიფიკაციისათვის, ხო-
ლო ამ ნაწილში დაშვებული შეცდომები იწვევენ მისი საზოგადოებრივი საშიშროების მნიშვ-
ნელობის არასწორ შეფასებას.

მაგალითად, ომსკის საოლქო სასამართლოს განჩინებით რსფსრ სსკ 136 მუხლის 1 ნ. „ა“
პუნქტით მსჯავრდადებულ იქნა ა. ი. ზახაროვი, რომელიც ცნობილია დამანაშავედ ა. ნ. სიტის-
ხის განზრახ მკვლელობაში სულიგნური ქვენა გრძნობით. სასამართლომ დაადგინა, რომ ზა-
ხაროვის მტრედის დაკარგვასთან დაკავშირებით ზახაროვსა და სიტისს მოუვიდათ ჩხუბი, თანაც
ზახაროვმა წინადადება მისცა სიტისს წასულიყვენ უკანასკნელის სახლში და შემოეწმები-
ნათ მასთან ნომ არ არის დაზარალებულის მტრედი. ვაჟზე მათ შორის ჩხუბი გრძელდებოდა,
და ზახაროვმა, რომელიც მისდევდა უკან სიტისს, ჩაართვა მას დანა მარცხენა საჯდომზე, სი-
ტისი გაიქცა თავის სახლისაკენ, სადაც იგი მიღებული ჭრილობისაგან გარდაიცვალა დაახ-
ლოებით 1 საათსა და 30 წუთის შემდეგ. სასამართლო-საქმეიმო ექსპერტიზის დასკვნით სიტისი

გარდაიცვალა შინაგანი თემის არტერიის ჭრილობასთან დაკავშირებით მუცლის ღრუში შიგნით ხისხლის ჩაქცევის გამო. ზახაროვი, აღიარებდა რა თავს დამნაშავედ ჭრილობის მიყენებაში, უარყოფდა სიტინის განზრახ მკვლელობას.

რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განაჩინა უცვლელად დატოვა. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა, გაითვალისწინა რა საქმეზე მოცემული კონკრეტული გარემოებანი, კერძოდ ის, რომ მიყენებული ჭრილობა თავის ხასიათის მიხედვით ჩვეულებრივ არ იწვევს სიკვდილს, საფუძვლიანად ცნო ზახაროვის მოქმედებაში განზრახვა მიყენებისა დაზარალებულისათვის არა სიკვდილი, არამედ მხოლოდ სხეულის მძიმე დაზიანება და ამასთან დაკავშირებით ზახაროვის მოქმედება გადააკვალიფიცირა რსფსრ სსკ 142 მუხ. მე-2 ნაწილით (სხეულის განზრახ მძიმე ზიანის მიყენება, რამაც გამოიწვია სიკვდილი).

ადგილი აქვს საწინააღმდეგო შემთხვევებსაც, თუმცა სახეზეა მონაცემები სიკვდილის მიყენების განზრახვის შესახებ, მაგრამ დამნაშავის მოქმედება კვალიფიცირებულია, როგორც სხეულის მძიმე დაზიანების მიყენება.

ასე, პერმის საოლქო სასამართლომ ვ. ს. შჩუგლაკოვს სასჯელი გამოუტანა რსფსრ სსკ 142 მ. მე-2 ნაწილით. სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ შჩუგლაკოვმა, იყო რა არაფხივლ მდგომარეობაში ჩსუბი დაუწყო ზვირვს და მიაყენა მას სხეულის მძიმე დაზიანება, რის შედეგადაც ზვირვეი გარდაიცვალა.


რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გააუქმა განჩინი და საქმე ხელახლა განსახილველად გადასცა. კოლეგიამ აღნიშნა, რომ როგორც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნიდან ჩანს, ზვირვეი მოკვდა თავის ქულას ფუძისა და კამარის გადატების შედეგად, რამაც გამოიწვია სისხლის ჩაქცევა ტვინში. გარდა ამისა, ზვირვეზე მიყენებულია ცხვირის ფუძისა და ენის ქვეშ ძვლის მოტეხილობა და სახის არეში ჭრილობები სამართლებლით. კოლეგიამ აღნიშნა, რომ სასამართლო, მივიდა რა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდადებულს არ ქონდა მკვლელობის განზრახვა, მან არ შეაფასა ექსპერტიზის სხენებული დასკვნა და არ გაითვალისწინა, რომ დაზარალებულზე მიყენებულია მრავალი ჭრილობა დიდი სიმძლავრით და სასიცოცხლო მნიშვნელოვან ტუტრებში. მეორედ განხილვისას პერმის საოლქო სასამართლომ შჩუგლაკოვი ცნო დამნაშავედ განზრახ მკვლელობაში და გამოუტანა მას სასჯელი რსფსრ სსკ 136 მ. 1 ნაწ. „ა“ პუნქტით.

სასამართლოები რიგ შემთხვევებში საკმაოდ ავლენენ დანაშაულის ჩადენის მოტივებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ დანაშაულის სწორად დაკვალიფიცირებისა და სასჯელის ზომის განსაზღვრისას. მკვლელობის ნამდვილი მოტივების დაუდგენლობის შემთხვევაში სასამართლოები სწორად აკვალიფიცირებენ დამნაშავის მოქმედებას, როგორც მკვლელობას, ჩადენილს სულიგნური ქვენა გრძნობით.

ზოგიერთ შემთხვევებში მკვლელობის მოტივების სახით აღნიშნულია სულიგნური ქვენა გრძნობა მაშინაც კი, როდესაც საქმის ყველა გარემოების მიხედვით დანაშაული არ უდგება რსფსრ სსკ არაპარტო 136 მუხლის, არამედ რსფსრ სსკ 137 მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სათანადო მუხლთა ნიშნებსაც.

სამართლის საოლქო სასამართლოს მიერ უზბეკეთის სსრ სსკ 136 მ 1 ნ. „ა“ პუნქტით ესაიანი წააწყდა მთვრალ მდგომარეობაში მყოფ პირთა ჯგუფს, მათ რიცხვში იყო რახმანოვი. მკვლელობაში სულიგნური ქვენა გრძნობით. სასამართლომ დაადგინა, რომ ქუჩაში მიმავალი ესაიანი წააწყდა მთვრალ მდგომარეობაში მყოფ პირთა ჯგუფს, მათ რიცხვში იყო რახმანოვი. ესაიანს სურდა გვერდი აეღლო მათთვის, მაგრამ რახმანოვი გადაეცა ესაიანს და განიზრახა მისი გალახვა. ესაიანმა ხელი ჰკრა რახმანოვს და კვლავ ცდილობდა თავი დაეღწია მისგან, მაგრამ რახმანოვი განაგრძობდა თავდასხმას, ხოლო ესაიანი იგერიებდა რახმანოვს სამზარეულო დანით, რომელიც მას მოქონდა თავის მამიდასთან უკანასკნელის თხოვნით და თავდასხმის მოგერიების პროცესში ესაიანმა რახმანოვს გულმკერდის არეში მიაყენა ჭრილობა დანით, რის გამოც იგი გარდაიცვალა.

უზბეკეთის სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, ცნო რა ყველა სხენებული გარემოება დამტკიცებულად და მიიჩნია რა, რომ მკვლელობა ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე ურთიერთ ჩსუბის დროს, ესაიანის მოქმედება გადააკვალიფიცირა უზბეკეთის სსრ სსკ 137 მუხლზე. უზბეკეთის სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა სწორად გადააკვალიფიცირა ესაიანის მოქმედება უზბეკეთის სსრ სსკ 136 მუხლზე, ცნო რა, რომ ესაიანი მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში.



რეობაში, მაგრამ ასეთის საზღვრების გადაცილებით, ვინაიდან დანის გამოყენება არ იყო გამართლებული თავდასხმის ინტენსიურობით და ამიტომ ადგილი ქონდა ესაიანის მხრივ დაცვის ამჟამად შეუსაბამობას ხელყოფის ხასიათისა და საშიშროების თავდასხრების.

რაც შემთხვევებში სასამართლოები, გამომდინარეობენ რა შედეგთა სიმძიმედან, მკვლევლობას აკვალიფიცირებენ როგორც ქვენა გრძნობით ჩადენილ დანაშაულს, ამვე დროს არ ამხელენ თუ რაში გამოიხატება ასეთი, ხოლო ზოგჯერ არასწორ შეფასებას აძლევენ საქმის მასალებით დადგენილ ქვენა გრძნობას.

ყირგიზეთის სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განაჩენით გაფაროვის მოქმედება, რომელიც ცნობილია მოქ. ვადკოს მკვლევლობაში, კვალიფიცირებულ იქნა სსკ 136 მ. 1 ნ. „ა“ პუნქტით როგორც ქვენა გრძნობით ჩადენილი მკვლევლობა. სასამართლომ გამოარკვია, რომ გაფაროვმა ვადკოს მკვლევლობა ჩაიდინა ჩხუბის ნიადაგზე, რომელიც წარმოიშვა იმასთან დაკავშირებით, რომ ვადკომ წინადადება მისცა მას მიეღო მონაწილეობა მაღალის გაძარცვაში, რაზედაც გაფაროვი კატეგორიულად უარს აცხადებდა. სასამართლოს მიერ დადგენილი ეს მოტივები არ უნდა ყოფილიყო შეფასებული როგორც ქვენა გრძნობა, რამაც გამოიწვია დანაშაულის კვალიფიკაცია როგორც მკვლევლობა დამამძიმებელ გარემოებებში. ამ საფუძველზე, დამამძიმებელ გარემოებთა უქონლობის გამო, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გაფაროვის მოქმედება გადააკვალიფიცირა სსკ 137 მუხლზე.

როგორც სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, სასამართლოები ხშირად მკვლევლობას აკვალიფიცირებენ რსფსრ სსკ 137 მუხლით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სსკ შესაფერისი მუხლებით მხოლოდ იმით, რომ იგი ჩადენილია ცემის დროს ან ჩხუბის პროცესში, ხოლო ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ მკვლევლობა ასეთ შემთხვევაშიც შეიძლება დამამძიმებელი იყოს ისეთი ნიშნებით, როგორცაა უფრისძიება, განსაკუთრებული სიმკაცრე და სხვა, რაც აღდგენილია რსფსრ სსკ 136 მუხლში და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსკ სათანადო მუხლებში.

ამასთანავე ადგილი აქვს შემთხვევებს, როდესაც მკვლევლობა განიხილება როგორც უფრისძიებით ჩადენილი, თუმცა საქმის ყველა გარემოებიდან გამომდინარე იგი გამოწვეული იყო დაზარალებულის არაკანონზომიერ მოქმედების უშუალო რეაქციით, რაც საფუძველს იძლევა, რათა მკვლევლობა განხილულ იქნას როგორც ჩადენილი ძლიერი სულიერი ადევნების მდგომარეობაში, ან აუცილებელი მოგერიების საზღვრის გადაცილებით, ან უკიდურეს შემთხვევაში როგორც განზრახ მკვლევლობა დამამძიმებელ გარემოებთა გარეშე.

ასე, ტაჯიკეთის სსრ საბჭოთა რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით ტაჯიკეთის სსრ სსკ 148 მ. 1 ნ. „ა“ პუნქტით ვ. კორშუნოვი ცნობილ იქნა დანაშაუდელ მოქ. ავდევის მკვლევლობაში უფრისძიების ნიადაგზე. სასამართლომ დაადგინა, რომ 1958 წლის 10 აგვისტოს დამის დაახლოებით 2 საათზე გეოლოგიური ექსპედიციის მუშები ავდევი და ზარიბოვი, იმყოფებოდნენ რა მთვრალ მდგომარეობაში, თავს დაესხნენ ცვლის ოსტატს კორშუნოვს და ქვევით და ნიჩბებით გალახეს იგი, ხოლო როდესაც კორშუნოვმა გრძნობა დაკარგა, მათ ეგონათ, რომ იგი მკვდარია და გადაადგეს რუში. რამდენიმე საათის შემდეგ კორშუნოვი გონს მოვიდა და როცა მან მიადგინა ექსპედიციის სადგომს, ნახა, რომ მისი ჩემოდანი გახსნილია და იქიდან წაღებულია ფული და საბუთები. მუშებმა აცნობეს კორშუნოვს, რომ მტაცებლობა ჩაიდინეს ავდევემა და ზარიბოვმა, რის გამო კორშუნოვი მივიდა წამოწოლილ ავდევეთან და წინადადება მისცა მას დაებრუნებინა მისთვის ფული და საბუთები. ავდევემა, არ მოისურვა რა ადგომა საწოლიდან, შეიგინა უცნაურად სიტყვებით და წიხლი ჩაარტყა კორშუნოვს მუცელში. კორშუნოვმა სტაცა ხელი მაგიდაზე დადებულ დანას და ავდევეს მიაყენა რამდენიმე ჭრილობა, რის შედეგადაც უკანასკნელი გარდაიცვალა.

საკანონი საჩივარში კორშუნოვი მართებულად ამტკიცებდა, რომ მკვლევლობა მან ჩაიდინა უცარი სულიერი ადევნების მდგომარეობაში, რაც გამოწვეული იყო ავდევეის მხრივ ძალადობით და მძიმე შეურაცხყოფით, მაგრამ ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ საჩივრის უარსაყოფად რაიმე მოსაზრების მოყვანის გარეშე განაჩენი დატოვა უცვლელად. ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი სასამართლოს პრესიდიუმმა სწორად გადააკვალიფიცირა კორშუნოვის მოქმედება ტაჯიკეთის სსრ სსკ 170 მუხლზე (განზრახ მკვლევლობა უცარი სულიერი ადევნების მდგომარეობაში.)

სასამართლო პრაქტიკაში ადგილი აქვს აგრეთვე შეცდომებს მკვლევლობის საქმეებზე, რომელთა მისხედით სამართალში მიცემულია რამდენიმე პირთა ჭეუჭი. ეს შეცდომები ხშირად იმაში გამოიხატება, რომ არაა საკმაოდ გამოვლინებული თვითული სამართალში მიცემულის

როლი და მოქმედებათა ხასიათი. ასეთ საქმეებისადმი არასწორად მიდგომის შედეგად ზოგჯერ ყველა სამართალში მიცემული ცნობილი ხდება დამნაშავედ განზრახ მკვლელობაში განურჩევლად თვითუფლები მათგანის განზრახვის შინაარსისა.

მაგალითად, სტალინის საოლქო სასამართლოს განაჩენით უკრაინის სსრ სსკ 138 მ. 1 ნ. „...“ პუნქტით მსჯავრი დაედო ვ. მ. როგოვსა და ვ. გ. კორნევს, რომლებიც დამნაშავედ იქნენ ცნობილი მოქ. გონჩაროვის მკვლელობაში ხულიგნური ქვენა გრძნობით. სასამართლომ დადგინდა ცნო, რომ სამართალში მიცემულთა და დაზარალებულს შორის, რომლებიც ძალზე მთვრალი იყვნენ, წარმოიშვა ჩხუბი და სწორედ იმ დროს, როდესაც გონჩაროვი და კორნევი ეცნენ ერთმანეთს და ჩხუბობდნენ, როგოვმა შეირბინა ოთახში, აიღო დანა, გამოვარდა დერეფანში, სადაც ჩხუბი იყო და გონჩაროვს დანით გულში მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა. სასამართლომ, აღიარა რა კორნევი დამნაშავედ გონჩაროვის მკვლელობაში, აღნიშნა, რომ იმ დროს, როცა როგოვმა დანა დაარტყა გონჩაროვს, კორნევი მას ცემდა.

უკრაინის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, გაითვალისწინა რა, რომ საქმის ყველა გარემოების მიხედვით გონჩაროვის მკვლელობა მოულოდნელი იყო კორნევისათვის და რომ საქმის მასალებით დადგენილი არ ყოფილა რაიმე მონაცემები, რომ კორნევი და როგოვი შეთანხმებული იყვნენ გონჩაროვის მკვლელობაზე, განაჩენი კორნევის მიმართ გონჩაროვის მკვლელობაში მის დამნაშავედ ცნობის ნაწილში გააუქმა და საქმე ამ ნაწილში წარმოებით მოსპო.

ზოგ შემთხვევებში სასამართლოები არასწორად აკვალიფიცირებენ ამსრულებლის, როგორც დამხმარის, მოქმედებებს.

ასე, მაგალითად, მინსკის საოლქო სასამართლო განაჩენით მსჯავრდადებულ იქნენ პ. ს. მაკარევიჩი ბელორუსიის სსრ სსკ 214 მ. 1 ნაწილით, ლ. ს. მაკარევიჩი, ი. პ. ნოვიკოვი და ვ. თ. ნოვიკოვი ბელორუსიის სსრ სსკ 24 და 214 მ. 1 ნაწილით. პ. ს. მაკარევიჩი ცნობილ იქნა დამნაშავედ მასში, რომ მან ჩაიდინა ვ. დ. კალენტიონოვის მკვლელობა, ხოლო დანარჩენი ყველა სამართალში მიცემული ცნობილ იქნენ დამნაშავედ მკვლელობის ხელშეწყობაში.


სასამართლომ დაადგინა, რომ მაკარევიჩის და, რომელსაც ჩხუბი მოუვიდა კალენტიონოვთან, რა დროსაც მათ ვალახეს ერთმანეთი, გაიქცა სახლში და ეს შესჩივლა თავის ძმებს. ძმები მაკარევიჩები და ნოვიკოვები, რომლებიც მათ მიემხრნენ, გამოვიდნენ კალენტიონოვს. დაეწიენ რა უკანასკნელს, ოთხივემ დაუწყო ცემა თავში. პ. ს. მაკარევიჩი ცემდა დაზარალებულს ჩაქუჩით, ლ. ს. მაკარევი — ქვით, ი. პ. ნოვიკოვი კასტეტით, ხოლო ვ. თ. ნოვიკოვი არტყამდა მას დანას. მიღებული ზიანის შედეგად კალენტიონოვი გარდაიცვალა.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, დაზარალებულს მიყენებული აქვს სხვადასხვა საგნით თავის არეში მრავალი ჭრილობა. ამ ჭრილობათა ნაწილმა გამოიწვია თავის ქალას ძვლების მოტეხილობა, სისხლის ჩაქცევა და ტვინის ნივთიერების დაზიანება, ერთ-ერთი ზიანი, მიყენებული კეფის ძვლის არეში, უდავოდ სასიკვდილო იყო. სასამართლომ დაადგინა, რომ ეს ზიანი დაზარალებულს მიაყენა პ. ს. მაკარევიჩმა ჩაქუჩის დარტყმით. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ ცნო, რომ დანაშაულის ამსრულებელია მხოლოდ პ. ს. მაკარევიჩი, ხოლო დანარჩენ ყველა სამართალში მიცემულის მოქმედება წარმოადგენს დახმარებას მკვლელობაში. ნამდვილად კი ყველა სამართალში მიცემულის მოქმედება, რაც წარმოადგენდა დანაშაულის შესრულების თვით პროცესში უშუალო განზრახ მონაწილეობას, უნდა ყოფილიყო განხილული როგორც ამსრულებელთა მოქმედება.

როგორც სერიოზულ შეცდომას სასამართლო პრაქტიკაში, პლენუმი განსაკუთრებით აღნიშნავს განზრახ მკვლელობათა დამამძიმებელ გარემოებათა ცნების კანონიერ საფუძველს მოკლებულ განვრცობითი განმარტებას, რაც ხშირად იწვევს სიკვდილძო დასჯის დაუსაბუთებელ შეფასებას. ამასთან დაკავშირებით, ასეთ განაჩენთა მნიშვნელოვანი რაოდენობა უქმდება და იცვლება შემდგომ სასამართლო ინსტანციების მიერ.

განზრახ მკვლელობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის განვითარებამ ცხადყო აგრეთვე, რომ სასამართლოები ცალკეულ შემთხვევებში ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას არ ითვალისწინებენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1956 წლის 23 ოქტომბრის დადგენილებას „სასამართლო პრაქტიკის შეცდომების შესახებ იმ საქმეებზე, რომლებიც აუცილებელი მოგერიების კანონმდებლობის შეფარდებასთანაა დაკავშირებული“ და სასჯელს ადებენ დაუსაბუთებლად ისეთ პირთ, რომლებსაც მკვლელობა აქვთ ჩადენილი აუცილებელ მოგერიების მდგომარეობაში მისი საზღვრის გადაცილების გარეშე.

ასე, მაგალითად, კრასნოიარსკის მხარის ბოჟუჩანსკის რაიონის სახ. სასამართლომ რსფსრ



სსკ 187 მუხლით სასჯელი გამოუტანა მ. ი. ტრიფონოვს განზრახ მკვლელობაში „ჩუხისა და მტრული დამოკიდებულების ნიადაგზე“. სასამართლომ დაადგინა, რომ ვლადიმერ ტრიფონოვმა, იყო რა ნახევარ მდგომარეობაში, ჩექმის ყელიდან ამოაძრო დანა და მოკვლით დაემუქრა ძმას მიხეილს იმის გამო, რომ წინათ მომხდარი ღოთობისა და დებოზის დროს მან შეპკრა იგი. მიხეილი შეეცადა თავი დაეცვა ტაბურეტით, მაგრამ ვლადიმერმა გამოვლიჯა იგი ხელიდან და, ემუქრებოდა რა დანით, განაგრძობდა შეტევას მისკენ. მიხეილმა მოგერიების ვითარებაში სტაცა ხელი სანადირო დანას და ჩაარტყა იგი შეტევაზე გადმოსულ ვლადიმერს, რამაც გამოაწვია უკანასკნელის სიკვდილი.

კრასნოიარსკის სამხარეო სასამართლოს პრეზიდიუმმა სწორად ცნო, რომ მიხეილ ტრიფონოვმა ვლადიმერს მიაყენა სიკვდილი თავდასხმის მოგერიებისას აუცილებელი მოგერიების საზღვრის გადაცილების გარეშე და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველთა მე-13 მუხლის ძალით საქმე წარმოებით მოსპო.

სასამართლო ორგანოთა მუშაობაში სერიოზულ ნაკლს წარმოადგენს აგრეთვე ის, რომ განზრახ მკვლელობის საქმეთა განხილვისას სასამართლოები ხშირად არ ავლენენ იმ გარემოებებს, რომლებსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ შეეძლოთ მოხსენიანთ გავლენა დანაშაულის ჩადენაზე, არ აცნობებენ ამის შესახებ სათანადო დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ისეთ მიზეზთა ადკვეთის მიზნით ზომების მისაღებად, რაც ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას.


სასამართლო პრაქტიკაში განზრახ მკვლელობის საქმეებზე ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი აძლევს სასამართლოებს შემდეგ სახელმძღვანელო განმარტებებს:

1. სასამართლოთა ყურადღება მიექცეს იმას, რომ განზრახ მკვლელობის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს სასამართლო ორგანოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას და რომ სასამართლოთა საქმიანობა ამ საქმეებზე, ისევე, როგორც ყველა სხვა საქმეებზედაც, უნდა ხორციელდებოდეს სოციალისტური კანონიერების მტკიცედ დაცვის საფუძველზე, რათა ის დამნაშავენი, რომლებმაც ჩაიდინეს განზრახ მკვლელობა განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში, მკაცრად იქნან დასჯილნი და ამავე დროს გამოირიცხულ იქნას უსაფუძვლო მსჯავრდალების შემთხვევებიც.

2. საბჭოთა სოციალისტური მართლმსაჯულების ზოგადი პრინციპების შესაბამისად, სასამართლოებმა უნდა უზრუნველყოფნ საქმის განხილვა იმ ანგარიშით, რომ განაჩენი ემყარებოდეს საქმის ყველა გარემოების სრულყოფილ და ყოველმხრივ გამოკვლევას. ეს მოთხოვნა, რომელიც სავალდებულოა თითოეული საქმის განხილვისას, განსაკუთრებით უნდა იქნას გათვალისწინებული განზრახ მკვლელობის საქმეთა განხილვისას, რადგან ეს საქმეები თავისთავად წარმოადგენენ ჩვეულებრივ მნიშვნელოვან სირთულეს, ხოლო დამამძიმებელ გარემოებათა არსებობისას მკვლელობამ შესაძლებელია გამოიწვიოს სიკვდილის დასჯის შეფარდება.

3. ყველა იმ გარემოების სრულყოფილად და ყოველმხრივ გამოკვლევის მიზნით, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადასაწყვეტად და, კერძოდ, სამართალში მიცემულის დამნაშავეობის, მისი დანაშაულის ხასიათისა და მნიშვნელობის საკითხის გადასაწყვეტად, სასამართლოებმა ყველაზე უფრო სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ სასამართლოში შემოსულ წინასწარ გამოძიების მასალების ხარისხს. თუ წინასწარი გამოძიება არაა ჩატარებული სრულყოფილად ან მას ახასიათებს ცალმხრიობა, ანდა დარღვეულია ბრალდებულთა პროცესუალური უფლებანი, რასაც შეუძლია მოახდინოს გავლენა საქმის სწორად გადაწყვეტაზე, იგი უნდა გადასცეს დამატებით გამოძიებას.

4. სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მკვლელობის საქმეებზე სერიოზული მნიშვნელობა აქვს სამართალში მიცემულის პიროვნების იმ მონაცემთა გამოკვლევას, რომლებიც უნდა შეიცავდნენ ცნობებს არა მარტო მისი სახელის, მამის სახელის, გვარისა და ასაკის შესახებ, არამედ მონაცემებსაც მის ოჯახურ მდგომარეობაზე, საქმიანობაზე, წარმოებისადმი დამოკიდებულებაზე, ყოფაქცევაზე ცხოვრებაში, მის წარსულზე, ასევე სხვა ცნობებსაც, რომლებიც დადებითად და უარყოფითად ახასიათებდენ სამართალში მიცემულს. თანაბრად ამისა, გულდასმით უნდა იქნას გამოკვლეული ყველა მონაცემი, რაც ეხება ხოლმე დაზარალებულის პიროვნებასა და მის ყოფაქცევას შემთხვევის დროს. ყველა ამ მონაცემის გამოვლენა საჭიროა



არამართო სამართალში მიცემულის საზოგადოებრივი საშიშროების მნიშვნელობის დასაადგენად და მხედველობაში მისაღებად სასჯელის დანიშვნის დროს, არამედ რიგ შემთხვევებში შესაძლებელია ამას ექნეს მნიშვნელობა დანაშაულის გარემოებათა და განსაკუთრებით მისი ჩადენის მოტივების გამოაშკარავების მიზნით.

5. სასამართლოთა ყურადღება მიექცეს იმას, რომ განზრახ მკვლელობის საქმეთა განხილვისას საჭიროა ამომწურავად და ყოველმხრივ იქნას გამოკვლეული საქმის ყველა გარემოება და, კერძოდ, გულდასმით გამოაშკარავდეს მკვლელობის მოტივები, მიზანი და ხერხები, რასაც გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ მონაცემთა დასადგენად, რომლებიც ახდენენ გავლენას დანაშაულის კვალიფიკაციაზე და სასჯელის გამოტანაზე. განაჩენში ზუსტად, საჭირო მხილებათა მოყვანით, უნდა იქნას მოცემული ფაქტები, რომლებმაც სასამართლოს უფლება მისცეს მისულიყო დასკვნამდე სათანადო საქმეზე.

აღნიშნავენ რა დანაშაულის მოტივებს, სასამართლოები არ უნდა კმაყოფილებოდნენ ფორმულირებით ქვენა გრძობაზე გაურკვეველი მითითების სახით, არამედ, თვითეულ ცალკე შემთხვევაში კონკრეტულად უნდა აღნიშნონ სახელდობრ რაში გამოიხატა ეს ქვენა გრძობა, რამაც დამნაშავე მიიყვანა მკვლელობის ჩადენამდე.

6. განზრახ მკვლელობის საქმეთა განხილვისას, რომლებზედაც რამდენიმე პირია მიცემული სამართალში, სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს თითოეული სამართალში მიცემულის როლი და დანაშაულში მონაწილეობის ხასიათი. კერძოდ, სასამართლოებმა უნდა აღკვეთონ ჭერ კიდევ არსებული შეცდომები სასამართლო პრაქტიკაში, როდესაც წამქეულებისა და დამხმარის მოქმედებას აკვალიფიცირებენ ისე, როგორც დანაშაულის შემსრულებლის მოქმედებას.

ამასთანავე, საჭიროა გაითვალისწინონ, რომ განზრახ მკვლელობისას, რომელიც ჩადენილია რამდენიმე პირთა ჯგუფის მიერ, დანაშაულის შემსრულებლად უნდა იქნან მიჩნეულნი არამართო ის პირნი, რომელთა მოქმედებამ უშუალოდ მიაყენა სიკვდილი, არამედ ისინიც, ვინც თავიანთ მოქმედებით, მიმართულით ხსენებული მიზნის მისაღწევად, განზრახ მონაწილეობდნენ დანაშაულის შესრულების თვით პროცესში.


7. მიექცეს სასამართლოთა ყურადღება, რომ დაუშვებელია რსფსრ სსკ 136 მუხლით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსკ შესაფერის მუხლებით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებათა განვრცობითი განმარტება.

კერძოდ, მკვლელობა ცემისა და ჩხუბის დროს შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს სსკ ხსენებული მუხლებით იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის მასალებით დადგენილია, რომ მკვლელობა ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებათა ვითარებაში, რაც აღნიშნულია მოკავშირე რესპუბლიკების სსკ ამ მუხლებში. ასეთი ნიშნების უქონლობისას მკვლელობა ცემისა და ჩხუბის დროს, განურჩევლად იმისა, თუ ვისი ინიციატივით მოხდა ცემა ან ჩხუბი, უნდა დაკვალიფიცირდეს რსფსრ სსკ 137 მუხლით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსკ შესაფერისი მუხლებით.

ამასთანავე, საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ მკვლელობა ჩხუბის და ცემის დროს თავისთავად არ გამოიციხავს ისეთ გარემოებათა არსებობის შესაძლებლობას, რომლებიც საფუძველს იძლევიან განხილულ იქნას მკვლელობა, ჩადენილი უცარი და ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, ან აუცილებელი მოგერიების საზღვრის გადაცილებით ან კიდევ გაუფრთხილებლობით. ამ ნიშნების არსებობისას მკვლელობა ცემისა ან ჩხუბის დროს უნდა კვალიფიცირდებოდეს შესაბამისად რსფსრ სსკ 138 და 139 მუხლებით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსკ სათანადო მუხლებით.

იმ შემთხვევებში, როდესაც განზრახ მკვლელობა ჩხუბის დროს ჩადენილია აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მისი საზღვრის გადაცილების გარეშე, ასეთი მოქმედება, როგორც სხვა მსგავს შემთხვევებშიც, არ შეიცავს დანაშაულის შემადგენლობას.

8. სასამართლოებმა ზუსტად უნდა განასხვავონ განზრახ მკვლელობა, რომელიც ვარაუდობს დამნაშავის მხრივ პირდაპირ ან არაპირდაპირ განზრახვას მიაყენოს დაზარალებულს სიკვდილი, სხეულის ისეთი მძიმე ზიანის განზრახ მიყენებისაგან, რომელმაც გამოიწვია დაზარალებულის



სიკვდილი (რსფსრ სსკ 142 მ. 11 ნაწ. და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსკ სათანადო მუხლები), როდესაც დამნაშავეს დამოკიდებულება თავის მოქმედების ხსენებული შედეგებისადმი ვლინდება არა განზრახული დანაშაულის სახით, არამედ გაუფრთხილებლობის შედეგად ჩადენილი დანაშაულის სახით.

ხსენებული სახის საქმეებზე დამნაშავეს განზრახვის შინაარსის ზუსტობის გადაწყვეტისას სასამართლოები უნდა გამოიძინარეობდნენ ჩადენილი დანაშაულის ყველა გარემოების ერთობლიობიდან და გაითვალისწინონ, კერძოდ, დამნაშავესა და დაზარალებულის წინასწარი ყოფაქცევა, მათი ურთიერთდამოკიდებულება, დანაშაულის საშუალებანი და იარაღი, აგრეთვე თვით დაჭრის ხასიათი (მაგალითად, ადამიანის სასიცოცხლო-მნიშვნელოვან ორგანოში) და ა. შ. ყველა ამ გარემოების გამოჩვენებას მათი ერთობლიობით შეუძლია დაეხმაროს სასამართლოს, რათა სწორად გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, გაითვალისწინა თუ არა დამნაშავემ თავის მოქმედების შედეგი. ამასთანავე, უკეთეს სასამართლო დადგენილად ცნობს, რომ სამართალში მიცემული ითვალისწინებდა სიკვდილის მიყენების შესაძლებლობას და ამ შედეგებს გულგრილად ეკიდებოდა, მაშინ დამნაშავეს მოქმედება, ჩადენილი არაპირდაპირი განზრახვით, უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც განზრახ მკვლელობა.

9. განზრახ მკვლელობისათვის სიკვდილით დასჯის შეფარდების შესაძლებლობაზე საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ იგი შეიძლება შეფარდებულ იქნას რსფსრ სსკ 136 მ. და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსკ სათანადო მუხლებში მოყვანილ დამამძიმებელ გარემოებათა ვითარებაში. ამასთანავე, საჭიროა მიღებულ იქნას მხედველობაში, რომ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობისათვისაც კანონი უშვებს, მაგრამ კი არ მოითხოვს, სიკვდილით დასჯის სავალდებულო შეფარდებას. ამიტომ დიდი დაკვირვებულობით უნდა მიუდგეს სასამართლო სასჯელის ამ განსაკუთრებული დონისძიებების შეფარდებას, მეტადრე იმ პირთა მიმართ, რომლებმაც დიდი ხანი არაა, რაც მიადრეის 18 წლის ასაკს, სიკვდილით დასჯის დანიშნვის საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა წყდებოდეს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველთა 32-ე მუხლში აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით; ე. ი. ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და საზოგადოებრივი საშიშროების მნიშვნელობის, დამნაშავეს პიროვნების და საქმის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა გათვალისწინებით. სიკვდილით დასჯის შეფარდების ყველა შემთხვევაში განაჩენებში უნდა იქნას აღნიშნული ამ სასჯელის გამოტანის მოტივები.

10. იმის მხედველობაში მიღებით, რომ სიკვდილით დასჯა წარმოადგენს სასჯელის განსაკუთრებულ დონისძიებას და ეფარდება იმ პირთ, ვინც ჩადინა განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, იგი, როგორც წესი, არ უნდა შეეფარდოს განზრახ მკვლელობის ხელყოფის შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში სიკვდილით სასჯელი შეიძლება შეეფარდოს მხოლოდ როგორც გამოწვევის, როდესაც საქმის მასალებით დადგენილია განსაკუთრებით მძიმე გარემოებანი, რაც ახასიათებდეს იქნება იმ დანაშაულისა და დამნაშავეს უადრესად გაზრდილ საზოგადოებრივ საშიშროებას, რომლებსაც უფრო მეტი არსებითი მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე დამნაშავესათვის სიკვდილის არმიყენების ფაქტს, ისიც დამნაშავესაგან დამოუკიდებელ გარემოებების გარეშე.

11. მიეჭვს სასამართლო ორგანოთა განსაკუთრებული ყურადღება მათს ვალდებულებას შემსჯავრო განხილვის პროცესში, არათუ გამოაკვირონ მიცემული საქმის კონკრეტული გარემოებანი, არამედ გამოიკვლიონ და ცხადყოფნ კიდევაც ის მიზეზები, რომლებმაც პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა იქონიეს ჩადენილ დანაშაულზე. ასეთი გარემოებების გამოვლინების შემთხვევაში სასამართლოებმა კერძოდ დადგენილებით უნდა აცნობონ სათანადო დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მათ აღმოსაფხვრელათ ზომების მისაღებად.

12. იმ მიზნით, რათა გაძლიერებულ იქნას სამსჯავრო პროცესთა აღმზრდელობითი როლი და ფართო საზოგადოებრიობის ყურადღების მიპყრობა განზრახ მკვლელობის, როგორც ერთ-ერთი მეტად მძიმე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში, სასამართლოებს მიეცეთ რჩევა, რათა ამ კატეგორიის საქმეზე უადრესად გულდასმით მოამზადონ სამსჯავრო პროცესები, უზრუნველყოფნ მათი ჭეროვანი აღმზრდელობითი დონე, ხოლო ისეთი საქმეები, რომლებსაც დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ და რომლებზედაც სამსჯავრო პროცესები შესძლებენ მოახდინონ გამაფრთხილებელ-აღმზრდელობითი ზეგავლენა, განხილულ იქნან გამსვლელ სე-

სიბეზე დანაშაულის ჩადენის ადგილის მიხედვით, ან სამართალში მიცემულის საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით.

სასამართლო ორგანოთა მუშაები უფრო ხშირად უნდა გამოდიოდნენ მოხსენებებით სასამართლო ორგანოების საქმიანობაზე ამ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში და ცალკეული სამსჯავრო პროცესები გააშუქონ პრესაში. ამასთანავე, სასამართლო ორგანოთა მუშაები უნდა აშუქებდნენ პრესაში მასალებს როგორც მკვლელობის საქმეებზე, აგრეთვე სხვა საქმეებზედაც, რომლებზედაც ჯერ კიდევ არ არის გამოტანილი განაჩენი.

ცნობილ იქნას ძალდაკარგულად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1957 წლის 10 სექტემბრის დადგენილება საკითხებზე, რომელიც დაკავშირებულია განზრახ მკვლელობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 30 აპრილის ბრძანებულების შეფარდებასთან“.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე — ბ. გორკინი
სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი — ი. გრიშანინი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წლის 17 ოქტომბრის დადგენილება № 5

ნასამართლობის მდგომარეობის შესახებ 1960 წლის პირველ ნახევარში

მოისმინა და განიხილა რა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ა. მ. ნ. კ. მოროზოვის მოხსენება ნასამართლობის მდგომარეობის შესახებ 1960 წლის პირველ ნახევარში, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი აღნიშნავს, რომ დამნაშავეობასთან და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევებთან ბრძოლაში საზოგადოებრიობის ჩაბმის შესახებ სკკპ XXI ყრილობის მითითებათა ცნობრებაში გატარების შედეგად ამ წლის პირველ ნახევარში ჩვენს ქვეყანაში გრძელდებოდა ნასამართლობის შემდგომი შემცირების პროცესი. მილიციის, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების საქმიანობამ და საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობამ დანაშაულობათა თავიდან აცილებისა და იმ პირთა მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენების საქმეში, რომლებმაც ჩაიდინეს ისეთი დანაშაულობანი, რაც არ წარმოადგენენ დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას, გამოიღო დადებითი შედეგები; ამ პირებმა, ცალკეულ გამოჩაყლის გარდა, გაამართლეს საზოგადოებრიობის ნდობა და აღარ ჩადიან საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების ახალ დარღვევებს.

ამასთან ერთად პლენუმი საჭიროდ ცნობს მიექცეს ყურადღება იმას, რომ ზოგიერთი სასამართლოები, რომლებმაც არასწორად გაიგეს მითითებანი დამნაშავეობასთან ბრძოლაში საზოგადოებრიობის ჩაბმის შესახებ, რაც შემთხვევებში ახდენენ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივისადმი თავდებ ქვეშ გადაცემას და პირობითი მსჯავრის გამოყენებას მსჯავრდადებულთა გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდისათვის საზოგადოებრიობისადმი გადაცემით არა მარტო იმ პირთა მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს ისეთი დანაშაულობანი, რაც არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას, არამედ იმ პირთა მიმართაც, რომლებმაც ჩაიდინეს საშიშო დანაშაულობანი. ასეთი შეცდომები, აგრეთვე მძიმე დანაშაულობების და განსაკუთრებით საშიშო რეციდივისტებისათვის რაც შემთხვევებში მეტისმეტად მსუბუქი სასჯელის ზომის შეფარდების ფაქტები ზოგიერთ მერყევ ელემენტებში წარმოშობდნენ დაუსჯელობის გრძნობას და გარკვეულად ხელს უწყობდნენ ახალ დანაშაულობათა ჩადენას.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ა დ გ ე ნ ს:

მიექცეს სასამართლოების ყურადღება იმას, რომ აუცილებელია აღმოფხვრილ იქნეს აღნიშნული ნაკლოვანებანი სასამართლო პრაქტიკაში, იმის მხედველობაში მიღებით, რომ დამნა-



შავეობასთან ბრძოლის საქმეში სწორად იქნეს შეხამებული საზოგადოებრივი ზემოქმედებისა და სისხლის სამართლის სასჯელის ღონისძიებანი.

საჭიროა სასამართლოებმა უფრო გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ მძიმე დანაშაულობებთან, განსაკუთრებით ისეთებთან, როგორც არის განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, ბანდიტიზმი, ყაჩაღობა, გაუპატიურება დამამძიმებელ გარემოებებში, სოციალისტური საკუთრების დიდი ოდენობით დატაცება, ხულიგნობის განსაკუთრებით ბოროტეული გამოვლინებანი, და შეუფარდონ ამ დანაშაულობათა ჩამდენ პირებს, აგრეთვე განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებს კანონით გათვალისწინებული სასჯელის მკაცრი ზომები.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მიერ აღრე მიღებულ დადგენილებათა შესაბამისად, სასამართლოებმა საქმეები ნაკლებად საშიშ დანაშაულობათა ჩამდენი პირების შესახებ, რომელთა მიმართაც, საქმის გარემოებებიდან და დანაშაულის პიროვნებიდან გამოჰდინარე, საკმარისია საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების გამოყენება, უნდა გადასცენ ამხანაგური სასამართლოებისა და მშრომელთა კოლექტივების განსახილველად, აგრეთვე მათ უნდა შეუფარდონ პირობითი მსჯავრი პირობით მსჯავრდადებულთა ხელახალი აღზრდისა და გამოსწორებისათვის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივებისადმი გადაცემით მათი შუამდგომლობების საფუძველზე.

სისხლის სამართლის სასჯელის ზომის დანიშვნის დროს სასამართლოებმა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველების 32-ე მუხლის შესაბამისად, მხედველობაში უნდა მიიღონ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი, დანაშაულის პიროვნება და საქმის ის გარემოებანი, რომლებიც ამსუბუქებენ და ამძიმებენ პასუხისმგებლობას.


სასამართლოებმა უფრო მკვიდრო კავშირი უნდა დაამყარონ საზოგადოებრიობასთან, კერძოდ, აღმოუჩინონ დახმარება ამხანაგურ სასამართლოებს მუშაობაში; სასამართლოები არ უნდა დაკმაყოფილდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივებისადმი პირობით მსჯავრდადებულთა ფორმალური გადაცემით გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდისათვის და უნდა გაუწიონ მათ დახმარება აუცილებელ აღზრდევლობით ღონისძიებათა გატარებაში.

თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით ვადამდე განთავისუფლებულ შესახებ შუამდგომლობათა განხილვისას აუცილებელია სასამართლოებმა მკაცრად დაიცვან კანონის მითითებანი იმის შესახებ, რომ პირობით ვადამდე განთავისუფლება დასაშვებია მხოლოდ მას შემდეგ, როცა მსჯავრდადებული ფაქტიურად მოიხდის სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის იმ ნაწილს, რაც კანონშია მითითებული, და მხოლოდ ისეთი მონაცემების არსებობისას, როცა მსჯავრდადებულმა სამაგალითო ყოფაქცევითა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცა თავისი გამოსწორება.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმში საჭიროდ თვლის კვლავ მიექცეს სასამართლო ორგანოების ყურადღება იმას, რომ მართლმსაჯულების წარმართვის დროს ძირითადი მოთხოვნა მატერიალური და პროცესუალური კანონის განუხრელი და მკაცრი დაცვა. დანაშაულებასთან წარმატებით ბრძოლის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს დანაშაულობათა ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების ღრმა შესწავლა სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე საკითხების დროული დასა და იმ კონკრეტულ წინადადებათა შეტანა, რომლებიც მიმართულია ამ მიზეზების აღმოფხვრისა და სამართლის დარღვევათა თავიდან აცილებისაკენ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე — ა. გორაკინი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი — ი. გრიზანიანი



სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კლენუმის 1960 წლის 17 სექტემბრის დადგენილება № 6

„ქალაქებში საბინაო ფონდის დაცვისა და საბინაო მეურნეობის თაობაზე სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის ოქტომბრის დადგენილების შეფარდების საქმეში სასამართლო პრაქტიკის შესახებ „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1940 წლის 12 დეკემბრის №46(23)უ დადგენილებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს შეტანილ იქნეს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1940 წლის 12 დეკემბრის № 46(23)უ დადგენილებაში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. დადგენილების მე-15 პუნქტი გაუქმდეს.

2. დადგენილების მე-17 პუნქტი გადმოცემულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილების „ბ“ პუნქტის საფუძველზე გამოსახლების შესახებ სარჩელთა განხილვისას, ასეთ საქმეთა გადაწყვეტაში საზოგადოებრიობის ჩაბმისა და აღმზრდელითი ხასიათის ზომების გაძლიერების მიზნით, სასამართლოებმა უნდა განუმარტონ მხარეებს, რომ მათ უფლება აქვთ საკითხი წარმოშობილი საბინაო კონფლიქტის თაობაზე გადასცენ ამხანაგურ სასამართლოს განსახილველად.

რჩევა მიეცეთ სასამართლოს ფართოდ დანერგონ პრაქტიკაში ამ საქმეთა განხილვა მოპასუხეთა სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საჭირო შემთხვევებში სასამართლოებმა უნდა გამოიტანონ კერძო დადგენილებანი და აცნობონ სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს იმ პირთა სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლებიც არღვევენ საერთო ცხოვრების წესებს.

სასამართლოებმა მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ გამოსახლება ერთად ცხოვრების შეუძლებლობის გამო დასაშვებია მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როცა საცხოვრებელი სადგომის დაშქირავებელი არის სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების ბოროტი დამრღვევი და მის მიმართ ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენება (გაფრთხილება, საცხოვრებელი ფართობის იძულებითი გაცვლა და სხვ.), სასამართლოს აზრით, არ არის საკმარისი.

სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გამოსახლებული უნდა იქნან მხოლოდ ის პირები, რომელთა მოქმედების გამო შეუძლებელია მათთან ერთად ცხოვრება. ოჯახის სრულწლოვანი წევრები შეიძლება გამოსახლებულ იქნან მოპასუხესთან ერთად სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილების 30-ე მუხლის „ბ“ პუნქტის საფუძველზე მხოლოდ მაშინ, თუ ისინი თავიანთი ყოფაქცევით შეუძლებელს ხდიან მათთან ერთად ცხოვრებას.“

3. დადგენილების 32-ე პუნქტი გადმოცემული იქნეს შემდეგი რედაქციით:

„სასამართლოებმა არ უნდა მიიღონ თავიანთ წარმოებაში სასარჩელო განცხადებები სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილების 32-ე მუხლის საფუძველზე გამოსახლების შესახებ, უკეთეს ამ განცხადებებში არ არის მითითებული იმ კონკრეტულ საცხოვრებელ ფართოზე, რომელიც უნდა მიეცეს გამოსახლებულ პირს. წარმობაში მიღებული საქმეები ასეთ შემთხვევებში უნდა მოისპოს.

იხეთი გამოსახლების დროს, როცა გამოსახლებულ პირს უნდა მიეცეს სხვა, საცხოვრებლად ვარგისი სადგომი, სასამართლოები მოვალენი არიან გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითებულ გამოსახლებული პირისათვის მისაცემ სადგომზე ქუჩის დასახელებით და სახლისა და ბინის ნომრის აღნიშვნით“

4. შეესებულ იქნეს დადგენილება შემდეგი პუნქტებით:

34. „განმარტებულ იქნეს, რომ ის პირები, რომლებიც დამპირავების ოჯახის წევრების სახით ჩასახლდნენ ფართოზე, ისეთივე უფლებებით სარგებლობენ საცხოვრებელ ფართოზე, როგორც დანარჩენი დამპირავებლები.

ისეთ შემთხვევაში, როცა ოჯახის ახალ წევრთა გამოსახლებისას საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის წესი წინასწარ იყო განსაზღვრული ყველა სრულწლოვან დამპირავებელთა შეთანხმებით, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება ცალკეულ დამპირავებელთათვის იმ საცხოვრებელი ფართობის დატოვების შესახებ, რომელიც მათ ფაქტიურად ჰქონდათ დაკავებული, თუნდაც ეს ფართობი თავისი ზომით მთლიანად არ შეესაბამებოდეს მათ წილს საერთო საცხოვრებელ ფართოში“.

35. „საქმეთა განხილვისას საცხოვრებელი ფართობის იმ დამჭირავებელთა გამოსახლების შესახებ სარჩელების გამო, რომლებსაც პირადი საკუთრებაში აქვთ საცხოვრებელი სახლები, სასამართლოებმა მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ გამოსახლება ამ საფუძვლებით დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთეს ეს სახლები განლაგებულია იმავე დასახლების პუნქტში და ვარგისია მუდმივ საცხოვრებლად“.

36. „სასამართლოებმა არ უნდა მიიღონ თავიანთ წარმობაში სასარჩელო განცხადებები თვითნებურად აგებულ შენობებზე საკუთრების უფლების შესახებ დავათა გამო. ასეთ შენობათა მობინადრეებს შორის ის საბინაო დავები, რომლებიც სხვა საფუძვლებით არის წარმოშობილი და არ შეეხებიან საკითხებს ამ შენობებზე საკუთრების უფლების შესახებ, ექვემდებარება სასამართლოს განხილვას“.

37. „საბინაო დავების გადაწყვეტის დროს სასამართლო ყოველმხრივ უნდა უწყობდეს ხელს მხარეთა შერიგებას, ამასთან დავის ასეთი გადაწყვეტის შესაძლებლობა გამორკვეული უნდა იქნეს საქმეთა წინასწარი მომზადების პროცესშიადაც.“

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე — ბ. გორკინი
სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი — ი. გრიშანინი

ნესრიგი დაკავშირებული ინდივიდუალური და კოოპერატიული ბინათმშენებლობაში

მ. თოფურია

საქართველოს სსრ პროკურორი

ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ დღითი დღე უფრო უკეთესი და შინაარსიანი გახდეს საბჭოთა ადამიანის ცხოვრება, უფრო სრულყოფილად დაკმაყოფილდეს ხალხის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი.

საბჭოთა ხალხის გვირუკით შრომის შედეგად წარმატებით ხორციელდება შეიდწლიანი გეგმით დასახული ამოცანები, არნახული ტემპით ვითარდება საბინაო მშენებლობა. დასახულია ფართო ღონისძიებანი უახლოეს 10-12 წელიწადში ბინებით სსრ კავშირის მოსახლეობის უზრუნველყოფისათვის. ახლა ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად შენდება გაცილებით მეტი ბინა, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, პოლანდიაში, ბელგისა და შვეიცარიაში ერთად. მიმდინარე შეიდწლეულში აშენდება დაახ-

ლოებით 15 მილიონი ბინა, საქალაქო საბინაო ფონდი გადიდება 1,6-ჯერ. უდიდესი მშენებლობა გაჩაღდება აგრეთვე სოფლად. უკანასკნელ სამ წელიწადში ბევრი რამ გაკეთდა. აშენდა და საქსპლოატაციოდ გადაეცა 164 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობის ახალი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები.

საბინაო მშენებლობა მნიშვნელოვნად გაფართოვდა ჩვენს რესპუბლიკაშიც.

მარტო საქართველოს დედაქალაქ თბილისში 1957-1959 წლებში აშენდა და საქსპლოატაციოდ გადაეცა 313 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება საბინაო მშენებლობის მოცულობას წინა 11 წელიწადში.

სახელმწიფო საბინაო მშენებლობასთან ერთად ფართოდ არის გაშლილი

ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა. მარტო უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის ქალაქების მოსახლეობამ აიშენა 88 მილიონი კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლი. კოლმეურნეებმა და სოფლის ინტელიგენციამ ამავე პერიოდში აიშენეს 4 მილიონზე მეტი ახალი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლი.

ინდივიდუალური და კოოპერატიული საბინაო მშენებლობისათვის სახელმწიფო მშრომელებს აძლევს მიწის ნაკვეთს და გრძელვადიან კრედიტს, ხოლო საწარმოები და ორგანიზაციები მათ ეხმარებიან საშენი მასალების, მექანიზმების შეძენაში და ტრანსპორტით. საბინაო სამშენებლო კოლექტივები და კოოპერატივები, რომლებიც სწორად ახორციელებენ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ გამოცემულ დადგენილებებს საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ, სისტემატურად ღებულობენ კანონით დაშვებულ დახმარებას.

სამწუხაროდ, საბინაო-სამშენებლო კოლექტივების და კოოპერატივების საქმიანობაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი ნაკლოვანებებსა და კანონის უხეშ დარღვევებს, რაც საშენი მასალების, მექანიზმებისა და მოწყობილობის არაკანონიერი გზით შეძენაში გამოიხატება.

შემოსული სიგნალების საფუძველზე საქართველოს სსრ პროკურატურამ ამას წინათ შეისწავლა რამდენიმე საბინაო-სამშენებლო კოლექტივისა და კოოპერატივის საქმიანობა, თუ რამდენად კანონიერად იქნდნენ კოლექტივები და კოოპერატივები საშენ მასალებს, მექანიზმებსა და მოწყობილობას.


გამოირკვა, რომ ზოგიერთი საბინაო-სამშენებლო კოლექტივების და კოოპერატივების ხელმძღვანელები და ცალკეული წევრები საშენი მასალების შეძენის მიზნით იყენებდნენ პირად ნაცნობობას, მიმართავდნენ კანონსაწინა-

აღმდეგო მეთოდებს, ეწეოდნენ მაქინაციებს, ქმნიდნენ ყალბ საბუთებს და სხვა.

კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან არსებული საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მემოშებით გამოირკვა, რომ ამ კოლექტივის თავმჯდომარე ლ. ჩხატარაშვილი და სამუშაოთა მწარმოებელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის უფროსი ინჟინერი ლ. ფაჩუაშვილი სამშენებლო მასალების შეძენისას მოქმედებდნენ კანონსაწინააღმდეგო მეთოდებით.

1959 წლის 20 მარტს და 4 ნოემბერს ლ. ჩხატარაშვილმა კურორტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის სახელით ინსტიტუტის ბლანკებზე, სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს მცხეთის აგურის ქარხნის უფროსს დ. კობახიძეს გაუგზავნა ორი წერილი, რომლითაც თხოვდა მას კურორტოლოგიის ინსტიტუტის ფონდიდან გაეცა 200.000 ცალი აგური, მაშინ, როდესაც კურორტოლოგიის ინსტიტუტს მცხეთის აგურის ქარხანაში აგურის ფონდი არ ჰქონდა, რაც ცნობილი იყო ინსტიტუტისათვისაც და ქარხნის უფროს დ. კობახიძისათვისაც.

აგურის ქარხნის უფროსი დ. კობახიძე თვალთმაქცობის გზასაც კი დაადვა. როდესაც ეს ფაქტი ცნობილი გახდა სათანადო ორგანოებისათვის, დ. კობახიძემ განაცხადა, რომ მას უფლება აქვს ზეგეგმითი პროდუქციის 70 პროცენტი მისცეს იმ ორგანიზაციებს, რომლებმაც ტექნიკური დახმარება აღმოუჩინეს ქარხანას, მაშინ, როდესაც კურორტოლოგიის ინსტიტუტს მცხეთის აგურის ქარხნისათვის არავითარი ტექნიკური დახმარება არ აღმოუჩინია და არც შეეძლო აღმოეჩინა. აღსანიშნავია, რომ ხელმოწერა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის სახელით შესრულა ლ. ჩხატარაშვილმა. 1959 წლის მარტში ამავე



ლ. ჩხატარაშვილმა საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს მომარაგებისა და გასაღების განყოფილების უფროსს ნ. გამბაროვს გაუგზავნა წერილი. ნ. გამბაროვმა თავის მხრივ წერილი გაუგზავნა მცხეთის რაიონრეწვევამბინატს და მათ დაავალა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფონდის ანგარიშში კურორტოლოგიის ინსტიტუტისათვის მიეცათ 100.000 ცალი აგური. ამ წერილის საფუძველზე აგურის ქარხნის დირექტორმა კორძაიამ გასცა 100.000 ცალი აგური, თითქოსდა კურორტოლოგიის ინსტიტუტისათვის. სინამდვილეში კი აგური არა კანონიერი გზით მიიღო კურორტოლოგიის ინსტიტუტთან არსებულმა საბინაო-სამშენებლო კოლექტივმა.

აღნიშნული 100.000 ცალი აგური განკუთვნილი იყო რესპუბლიკის საავადმყოფოების რემონტისა და მშენებლობისათვის, აქედან 64.000 უნდა გადასცემოდა საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს საარემონტო-სამშენებლო კანტორას, 10.000 ცალი ღუმეთის რაისაავადმყოფოს, 10.000 ცალი ყაზბეგის რაისაავადმყოფოს, ხოლო 16.000 ცალი აგური უნდა მიეღო კასპის, მცხეთის და თეთრიწყაროს რაისაავადმყოფოებს. ამრიგად, ლ. ჩხატარაშვილმა და ნ. გამბაროვმა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფონდიდან უკანონოდ ამოიღეს 100.000 ცალი სამშენებლო აგური, რითაც ხელი შეუშალეს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონების საავადმყოფოების მშენებლობისა და რემონტის საქმეს.

„სოიუზდორპროექტის“ თბილისის ფილიალის დირექტორის მოადგილემ დ. ტ. გელაშვილმა 1959 წლის 15 მაისს „თბილგვირაბმშენის“ დირექტორის ყოფილ მოადგილეს ა. სხირტლაძეს გაუგზავნა წერილი და თხოვა „თბილგვირაბმშენი“-ს ფონდიდან № 35 საბინაო-

სამშენებლო კოლექტივისათვის გაეცა 300.000 ცალი აგური. თავის მხრივ ა. სხირტლაძემ საბურთალოს აგურის ქარხანაში გააგზავნა წერილი და წინადადება მისცა „თბილგვირაბმშენი“-ს აგურის ფონდი შეემცირებიათ 300.000 ცალით და აგურის ეს რაოდენობა გადაეცათ „სოიუზდორპროექტი“-ს თბილისის ფილიალისათვის.

ამ წერილის საფუძველზე საბურთალოს აგურის ქარხანამ „თბილგვირაბმშენი“-ს ფონდი შეამცირა 300.000 ცალი აგურით და „თბილპროექტი“-ს თბილისის ფილიალის დირექტორის მოადგილის დ. გელაშვილის წერილის საფუძველზე 300.000 ცალი აგური გადაეცა № 35 საბინაო-სამშენებლო კოლექტივს.

ა. სხირტლაძე ამასაც არ დაჯერდა და „თბილგვირაბმშენი“-ს ფონდის შემცირების ხარჯზე, თბილისის ტობოგრაფიული ტექნიკუმის დირექტორის 1959 წლის 22 ივნისის წერილის საფუძველზე № 5 საბინაო-სამშენებლო კოლექტივს, რომელიც 6 სართულიან სახლს აშენებს ბარნოვის ქ. № 107,109-ში 150.000 ცალი აგური გამოუყო.

ამრიგად, „თბილგვირაბმშენი“-ს დირექტორის მოადგილემ ა. სხირტლაძემ „სოიუზდორპროექტი“ თბილისის ფილიალის დირექტორის მოადგილემ დ. გელაშვილმა და თბილისის ტობოგრაფიული ტექნიკუმის დირექტორმა ი. ჯაფარიძემ უკანონოდ ამოიღეს „თბილგვირაბმშენი“-ს ფონდიდან 450.000 ცალი აგური და გადასცეს საბინაო-სამშენებლო კოლექტივებს.

თითქმის ასეთივე დარღვევა იყო გამოვლენებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტთან ჩამოყალიბებულ № 19 საბინაო-სამშენებლო კოლექტივში. რომელიც საცხოვრებელ სახლს აშენებს ამ ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებისათვის. № 19 საბინაო-სამშენებლო კოლექტივის თავმჯდომარემ პროფესორმა ა. ჩხატაურმა 1959 წლის 25

საქართველო
საბჭოთაო

დეკემბერს ტრესტ „ამიერკავკასიის მეტალურგმენის“ დრმაღელის აგურის ქარხნის დირექტორს გ. ხუნდაძეს წარუდგინა უნივერსიტეტის ადგილკომის წერილი და თხოვა მას № 19 საბინაო-სამშენებლო კოლექტივის სახლის მშენებლობისათვის 150.000 ცალი აგურის გაცემა. ამ წერილს საფუძველზე გ. ხუნდაძემ არაკანონიერად გასცა 100.000 ცალი აგური.

1959 წლის აპრილში სახალხო მეურნეობის საბჭოს ქალაქისა და ხე-ტყის მრეწველობის სამმართველოს თბილისის სამშენებლო სამმართველოს უფროსის მოადგილის ა. ჯანელიძის განკარგულებით სახალხო მეურნეობის საბჭოს ფონდიდან № 79 საბინაო-სამშენებლო კოლექტივს გადაეცა 30.000 ცალი აგური.

1959 წლის ივნისში საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 სამშენებლო სამმართველოს ყოფილი უფროსის კ. ბოკერიას განკარგულებით საბურთალოს აგურის ქარხნიდან ამ სამმართველოს ანგარიშში № 79 საბინაო-სამშენებლო კოლექტივს გადაეცა 52.000 ცალი აგური.

ამრიგად საქართველოს სსრ პროკურატურის მიერ შემოწმებულმა 14 საბინაო-სამშენებლო კოლექტივმა და კოოპერატივმა სახელმწიფო ორგანიზაციების ზოგიერთი ხელმძღვანელის აშკარად კანონსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგად 1959 წელს მოახერხა 1.366.000 ცალი აგურის მიღება, ამასთან, ყოველ 1000 ცალ აგურში გადაიხადეს 60 მანეთით ნაკლები, რითაც სახელმწიფოს 100.000 მანეთზე მეტი ზარალი მიაყენეს.

საბინაო-სამშენებლო კოლექტივების ზოგიერთი ხელმძღვანელი თავიანთი მშენებლობის სამუშაო მასალით უზრუნველყოფისათვის არ ერიდებიან სიყალბის ჩადენასაც. ასე მაგალითად, ქ. თბილისის 65-ე საშუალო სკოლასთან არსებული № 30-52 საბინაო-სამშენებლო


კოლექტივის თავმჯდომარემ გ. წიწილაშვილმა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგებისა და გასაღების სამმართველოს ყოფილი მუშაკის შ. აბზიანიძის დახმარებით 1960 წლის 18 იანვარს ქ. თბილისის მექანიკურ ქარხანაში სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების სამმართველოს სახელით გაგზავნა წერილი, რომელსაც სამმართველოს უფროსის ნაცვლად ხელი მოაწერა შ. აბზიანიძემ. ამ წერილით კალინინის სახელობის მექანიკურ ქარხანას წინადადება მიეცა გაეცა 65-ე საშუალო სკოლისათვის 4 ტონა ლურსმანი, მაგრამ ლურსმანი მიიღო არა სკოლამ, არამედ № 30-52 საბინაო-სამშენებლო კოლექტივმა.

ასევე თაღლითური გზით შ. აბზიანიძის დახმარებით ხელისმოწერის გაყალბებით მექანიკური ქარხნიდან 5 ტონა ლურსმანი არა კანონიერად მიიღო საქართველოს სსრ-ის საბჭოს საპროექტო განყოფილების ინჟინერმა, № 54-55 საბინაო-სამშენებლო კოლექტივის თავმჯდომარემ კ. მდინარაძემ. შ. აბზიანიძე თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და სიყალბის ჩადენისათვის მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

გ. წიწილაშვილს და კ. მდინარაძეს კი დაევალით დაუყოვნებლივ შეიტანონ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ლურსმანის სახელმწიფო და საბაზრო ღირებულების სხვაობა — 35.000 მანეთი.

გარდა ამისა № 30-52 საბინაო-სამშენებლო კოლექტივს აღმოაჩნდა მარნეულის რაიონის სოფლის კოოპერატივის მიერ გამოწერილი ანგარიში № 28, 28 მარტის თარიღით, ამ კოლექტივისათვის 5 ტონა შველერის მიყიდვის შესახებ, მაშინ, როდესაც მარნეულის სოფლის კოოპერატივში შველერები საერთოდ არ გაყიდულა. როგორც ჩანს ეს შველერები დატაცებულია სახელმწიფო მშენებლობიდან.

შემოწმებით გამოჩვენდა, რომ



სახელმწიფო ორგანიზაციების, დაწესებულებების და საწარმოების მთელი რიგი ხელმძღვანელები საბინაო-სამშენებლო კოლექტივებს დროებით ექსპლოატაციაში უფასოდ გადასცემენ სამშენებლო მექანიზმებს (ან ახდენიებენ მცირე საამორტიზაციო თანხას). არის აგრეთვე ამ მექანიზმების კოლექტივებზე მიყიდვის ფაქტებიც.

მაგალითად, თბილისის საქალაქო საბჭოს ვაკრობის სამმართველოს საქმიანი ეზოს გამგემ, კურორტოლოგიის ინსტიტუტთან არსებული საბინაო-სამშენებლო კოლექტივის წევრმა ვ. ძნელაძემ, ამავე კოლექტივს უფასო სარგებლობაში გადასცა ტ-41-ის ტიპის ამწე. აღსანიშნავია, რომ ვ. ძნელაძეს კურორტოლოგიის ინსტიტუტთან არავითარი კავშირი არა აქვს, ის იქ არ მუშაობს, მაგრამ საბინაო-სამშენებლო კოლექტივის წევრად იგი მიღებულ იქნა იმისათვის, რომ საჭირო კაცი იყო. როგორც საქმიანი ეზოს გამგეს, შეეძლო კოლექტივი მოემარაგებინა სახელმწიფო მექანიზმებით საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მთელ პერიოდში.

ამ საბინაო-სამშენებლო კოლექტივს უფასო ექსპლოატაციისათვის მიღებული აქვს აგრეთვე ბეტონის ორი ამრევი. მათ შორის ბეტონის ერთი ამრევი 1958 წლის ნოემბერში კოლექტივს გადასცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითმა ცენტრმა ამავე ინსტიტუტის უფროსი ინჟინრის, კურორტოლოგიის ინსტიტუტთან არსებული საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მშენებლობის ხელმძღვანელის ლ. ფაჩუაშვილის თხოვნის თანახმად, ხოლო მეორე ბეტონის ამრევი კოლექტივს გადასცა ვიტნერის სახელობის ჰიდროენერგეტიკისა და ნავთობათა თბილისის სამეცნიერო საკვლევო ინსტიტუტის (ტნისგეის) დამხმარე საწარმოს უფროსმა ი. საჯიამ. ბეტონის ამრევეს დღემდე ექსპლოატაციას უწევს კურორტოლოგიის ინსტი-

ტუტთან არსებული საბინაო-სამშენებლო კოლექტივი.

ქ. თბილისის 29-ე საშუალო სკოლასთან ჩამოყალიბებული № 2-3 საბინაო-სამშენებლო კოლექტივის წარმომადგენლებმა 1959 წლის სექტემბერში თხოვნით მიმართეს ტრესტ „ზაკრანსტროის“ სარემონტო ბაზის უფროსს მ. სარქისოვს საცხოვრებელი სახლის მშენებლობის საჭიროებისათვის მიეყიდა მათთვის კოშკურა ამწეს ნაწილები და დეტალები. 1959 წლის 14 სექტემბერს მ. სარქისოვმა საწყობის გამგეს ხ. გერშენზონს მისცა განკარგულება № 2-3 საბინაო-სამშენებლო კოლექტივის წარმომადგენლებისათვის გადაეცა კოშკურა ამწეს ნაწილები და დეტალები, რაც შესრულებული იქნა იმავე დღეს. მ. სარქისოვის მიერ კოშკურა ამწეს ნაწილებისა და დეტალების № 2-3 საბინაო-სამშენებლო კოლექტივისათვის გადაცემის ფაქტი ცნობილი გახდა ტრესტ „ზაკრანსტროის“ ხელმძღვანელობისათვის და მას წინადადება მისცეს დაუყოვნებლივ დაებრუნებია ამწეს ნაწილები და დეტალები, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხსნილი იქნებოდა სამუშაოდან. იმისათვის, რომ გაემართლებია თავი ტრესტის ხელმძღვანელობის წინაშე, მ. სარქისოვმა № 2-3 საბინაო-სამშენებლო კოლექტივიდან 1959 წლის 28 ოქტომბერს მიიღო ყალბი ფაქტურა იმის შესახებ, რომ მან თითქოს კოშკურა ამწეს ნაწილები და დეტალები უკანვე მიიღო და ჩააბარა საწყობს, მაშინ, როდესაც ყველა ნაწილები და დეტალები გამოყენებული იყო ამწეს მონტაჟის პროცესში, ისინი უკან არ დაუბრუნებიათ და კოშკურა ამწეს დღემდე ექსპლოატაციას უწევს № 2-3 საბინაო-სამშენებლო კოლექტივი.

№ 13 საბინაო-სამშენებლო კოლექტივის სახლის მშენებლობაზე ინჟინერმა ვ. ლავრელაშვილმა დადგა კოშკურა ამწე. ვ. ლავრელაშვილმა განმარტა,

რომ ამწეს ნაწილები და დეტალები მან შეიძინა ფართო მოხმარების მაღაზიებში, რომლებისგანაც № 13 საბინაო სამშენებლო კოლექტივის სახლის მშენებლობაზე ბარნოვის ქ. № 80-90-ში დაამონტაჟა კოშკურა ამწე. ექსპერტის დასკვნით ეს კოშკურა ამწე ბკმ-I-ის ტიპისაა, რომელსაც შეუძლია ერთ ტონამდე ტვირთის აწევა. იგი შედგენილია საქარხნო ტიპის ანალოგიური ამწეების ნაწილებისაგან. კოშკურა ამწეების ნაწილები და დეტალები მაღაზიებში არ იყიდება და ვის ეკუთვნის ეს კოშკურა ამწე თავიკითხვად, ან ვისგან იყიდა ამწეს ნაწილები, იხიენერმა ვ. ლავრელაშვილმა ვერ ახსნა.

საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების სასწავლო-საწარმოო დაწესებულებების სამმართველოს უფროსმა ს. ტორიჯაძემ № 6-15 საბინაო-სამშენებლო კოლექტივს 13970 მანეთად მიყიდა ტ-41-ს, და ბკმს-1-ის ტიპის ორი ამწე.

1958 წლის იანვარში საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სპეციალური სამეცნიერო სარესტავრაციო-საწარმოო სახელოსნოს უფროსმა ფ. გუჯეჯიანმა № 46 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივს დროებითი სარგებლობისათვის უფასოდ გადასცა ტ-41-ის ტიპის ამწე და ბეტონის ამრევი.

ფ. გუჯეჯიანმა განმარტა, რომ ამწე და ბეტონის ამრევი მან გადასცა თავის თანამშრომელს, № 46 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის თავმჯდომარეს ვ. გიორგაძეს, რითაც თითქოს მან გაუწია ტექნიკური დახმარება.

საქართველოს სსრ სამხატვრო ფონდის მხატვრული ჩამოსხმის სახელოსნოს უფროსმა ვ. გიორგაძემ 1960 წლის თებერვალში № 4 საბინაო-სამშენებლო კოლექტივს დროებითი სარგებლობისათვის გადასცა „ბონერი“-ს ტიპის ამწე. ამავე კოლექტივს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს № 4 სარემონტო კანტორის უფ-

როსმა კ. ტერტეროვმა 1960 წლის თებერვალში გადასცა ბეტონის ამრევი.

არის შემთხვევები, როდესაც ცალკეული მოქალაქეები შენიღბული ფორმით ეწევიან მიწის ყიდვა-გაყიდვას და ამით არღვევენ მიწის ნაციონალიზაციის საწყისებს. მათ რიცხვს ეკუთვნის ქალაქ თბილისის მცხოვრები დ. ლალიევი. მას ბარნოვის ქუჩა № 78-ში ქონდა საკუთარი სახლი ოთხი ოთახისაგან, 78 კვ. მეტრი საერთო სასარგებლო ფართობით, მიწის ნაკვეთი 660 კვ. მეტრი ნარგავებით. დ. ლალიევის კუთვნილი სახლის სადაზღვევო ღირებულება შეადგენდა 24.131 მანეთს, ნარგავების კი 7.825 მანეთს.


1959 წელს დ. ლალიევი შეუთანხმდა № 39 სააღმშენებლო-საბინაო ამხანაგობას, რომ დ. ლალიევის სახლის დანგრევის შემდეგ, მას ამავე ფართობზე ახლად აშენებულ სახლში უნდა მიეღო სამი ბინა, შემდგარი 9 ოთახისაგან, 180 კვ. მეტრის საერთო სასარგებლო ფართობით.

მაგრამ სახლის მშენებლობის დაწყებამდე დ. ლალიევმა მიიღო ამხანაგობისაგან ნაღდ ფულად 469 000 მანეთი.

დ. ლალიევისათვის ცნობილი იყო, რომ 60 კვ. მეტრის ფართის ბინის ღირებულება შეადგენდა 140.000 მანეთს, ხოლო სამი ბინის მშენებლობა კი 420.000 მანეთს.

მიუხედავად ამისა, მან მიიღო ამხანაგობისაგან 469 000 მანეთი, ე. ი. 49.000 მანეთით მეტი და თუ ამ თანხიდან გამოაკლებთ ნარგავების ღირებულებას — 7825 მანეთს, დ. ლალიევმა მაინც მიიღო 41.175 მანეთით მეტი.

საბინაო ამხანაგობისაგან 469.000 მანეთის მიღების შემდეგ, დ. ლალიევი, მისი შვილი და სიძე, რომლებიც ერთად ცხოვრობდნენ ძველ ბინაში, მიღებულ იქნენ ამხანაგობის წევრებად და მათ შეიტანეს ამხანაგობაში 350.000 მანეთი.



ამის შედეგად თვითეულმა მათგანმა მიიღო 3 ოთახიანი ბინა 60 კვ. მეტრი სასარგებლო ფართობით.

ამრიგად, მიწის ნაკვეთის ფარულ ფორმებში გაყიდვის შედეგად დ. ლალიევმა მიიღო 105 კვ. მეტრით მეტი სასარგებლო ფართობი და ნაღდ ფულად 41.175 მანეთი, ხოლო შთლიანად თითქმის 300.000 მანეთი.

სასამართლოს განაჩენით დ. ლალიევს მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 9 ოთახისაგან შემდგარი 3 ბინის კონფისკაციით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ უახლოეს 10-12 წელიწადში მშრომელთა ბინებით უზრუნველყოფის საკითხში სიძნელეების ლიკვიდაციის მიზნით 1957 წლის 31 ივლისს მიიღეს დადგენილება „სსრ კავშირში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ“.

სახალხო მეურნეობის საბჭოებს, საქალაქო საბჭოებს, ასევე ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს ხსენებული დადგენილება ავალებს უზრუნველყონ ინდივიდუალური ბინათმშენებლები სამშენებლო მასალებითა და დეტალებით, საღურგლო ნაწარმით და სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობით. ამასთან, სათანადო ანაზღაურებით გაუწიონ დახმარება ტრანსპორტით და ტექნიკური საშუალებებით.

ინდივიდუალური ბინათმშენებლობისა და საბინაო-სამშენებლო კოლექტივების მიმართ დახმარების გაწევას ითვალისწინებს აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 20 მარტის № 320 დადგენილება „საბინაო-სამშენებლო და საკურორტო-სამშენებლო კოოპერაციის შესახებ“.

პარტიისა და მთავრობის ხსენებული დადგენილებების საფუძველზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1958

წლის 11 ივნისის № 438 და იმავე წლის 19 აგვისტოს № 539 დადგენილებებით თამბაქო-სანიმუშო დებულებები „საბინაო-სამშენებლო კოოპერაციისა“ და „ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ძალეებით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ერთობლივი მშენებლობის შესახებ“ (საბინაო-სამშენებლო კოლექტივი).

ამ დოკუმენტებში ლაპარაკია იმ დახმარების შესახებ, რაც უნდა გაეწიოს საბინაო-სამშენებლო კოლექტივებს და კოოპერატივებს საშენი მასალებით, მექანიზმებით, მოწყობილობებით და ტრანსპორტით მომარაგებისა და უზრუნველყოფის საქმეში.

მაგრამ პარტიისა და მთავრობის ზემოთ ხსენებულ დადგენილებების ცხოვრებაში გატარების საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებანი. საჭირო წესრიგი არ არის დამყარებული საბინაო-სამშენებლო კოლექტივებისა და კოოპერატივების საშენი მასალებით, მექანიზმებით, სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობით, რკინის დეტალებით და არმატურით და სხვა მასალებით მომარაგების საქმეში. საბინაო-სამშენებლო კოლექტივები და კოოპერატივები არ არიან უზრუნველყოფილი ტრანსპორტით, რის გამოც ისინი იძულებული ხდებიან სამშენებლო მოედნებზე დიდი რაოდენობის ინერტული მასალა გადაზიდონ მძღოლებთან კერძო მოლაპარაკების საფუძველზე სახელმწიფო მანქანებით.

მოწესრიგებული უნდა იქნეს აგრეთვე მათი ტრანსპორტით მომსახურების საკითხი.

როგორც ცნობილია მ. წ. 16 ივლისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება

საშენ მასალების უკანონოდ შეძენისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

ამ ბრძანებულების მიხედვით ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის საშენი მასალების შეძენის წესის დამრღვევი დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ვადით ან გამასწორებელი მუშაობით ერთ წლამდე ვადით.

საშენი მასალების ან იმ შენობის კონფისკაციით, რომელზედაც ეს მასალები იყო გამოყენებული.

ეს კანონი საშუალებას გვაძლევს მკაცრად დავსაჯოთ ისინი, ვინც ცდილობს არა კანონიერი გზით მიიღოს საშენი მასალები.

ბულალტერ-ექსპერტის მუშაობა გამომძიებელთან სისხლის საპროცესოს საქმის გამომძიების პროცესში

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების შესახებ აღძრული საქმეების გამოძიების დროს ბულალტრულ ექსპერტიზას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საქმეზე დანიშნულ ბულალტერ-ექსპერტს შეუძლია ქმედითი დახმარება გაუწიოს გამოძიების მუშაობას ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და კონტროლის იმ საკითხების გარკვევაში, რომელთა გადაწყვეტა აუცილებელია სოციალისტური საკუთრების დატაცების შესახებ საქმეთა გამოძიების დროს.

ძირითად საკითხებს, რომლებიც წყდება ბულალტრული ექსპერტიზის დახმარებით, წარმოადგენს: მატერიალური ზარალის, მისი ოდენობის და წარმოების პერიოდების, აგრეთვე იმ პირთა დადგენა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მიყენებული ზარალისათვის.


გამოძიების მიერ დანაშაულის ფაქტის დადგენა და ამ დანაშაულის შესახებ წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტა ბევრადაა დამოკიდებული ბულალტ-

რული ექსპერტიზის დროულად დანიშვნის, ბულალტერ-ექსპერტის გამომძიებელთან მუშაობის სწორი ორგანიზაციის და აგრეთვე გამომძიებლის მიერ ბულალტრული ექსპერტიზის დასკვნის კვალიფიციური შეფასებისაგან.

სოციალისტური საკუთრების დატაცებასთან დაკავშირებული სისხლის საპროცესოს საქმეების გამოძიების დროს, გამომძიებელს შესაძლოა წამოეჭრას იმ საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობა, რომლებიც მოითხოვენ ბულალტრული აღრიცხვის თეორიისა და პრაქტიკის სპეციალურ ცოდნას. ბულალტრული ექსპერტიზის დანიშვნის საკითხი გამომძიებლის მიერ უნდა წყდებოდეს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კონკრეტული საქმეების მიხედვით. ამასთან საჭიროა პირველყოვლისა გაიარკვეს:

ა) რა კონკრეტულ საკითხებს თვლის გამომძიებელი აუცილებელ დასადგენად ბულალტრული ექსპერტიზის დახმარებით;

ბ) რა მხრივ არიან ეს საკითხები არსებითი საქმის გამოძიებისათვის;



გ) აუცილებელია თუ არა გათვალისწინებული საკითხების გადასაჭრელად ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების დარგში სპეციალური ცოდნა;

დ) საკმარია თუ არა გამომძიებლის მიერ შეკრებილი მასალები ბუღალტრული ექსპერტიზის დასკვნისათვის;

ე) შესაძლებელია თუ არა მიღებული იქნეს გათვალისწინებული საკითხების უშუალო გადაწყვეტა სხვა უფრო ძარტივი საგამომძიებლო მოქმედების ჩატარებით.

გათვალისწინებს რა ამ გარემოებებს, გამომძიებელი იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე ბუღალტრული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. ბუღალტრული ექსპერტიზა შეიძლება დანიშნოს მხოლოდ მას შემდეგ, როცა სისხლის სამართლის საქმე გამომძიებელს მიღებული აქვს წარმოებაში. არაა მიზანშეწონილი ბუღალტრული ექსპერტიზა ინიშნებოდეს საქმის წარმოებაში მიღებისთანავე, ასევე არც გამომძიებლის დამთავრების შემდეგ, რადგანაც პირველ შემთხვევაში გამომძიებელს არ ექნება საშუალება წარუდგინოს ექსპერტს მისი მუშაობისათვის საჭირო ყველა მასალა, ხოლო მეორე შემთხვევაში ექსპერტიზის დანიშვნას შეუძლია გამოიწვიოს გამოძიების გაჭიანურება.

ბუღალტრული ექსპერტიზის ჩასატარებლად გამომძიებელმა უნდა მოამზადოს სხვადასხვაგვარი მასალები. მასალების მოცულობა, რომელიც გამოსაკვლევად წარედგინება ბუღალტერ-ექსპერტს, განისაზღვრება საგამომძიებლო ორგანოთა მიერ, ხოლო თუ რამდენად საკმარისია მასალები იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც დასმულია ექსპერტიზის წინაშე, შეუძლებელია წინასწარ იქნეს განსაზღვრული, ვიდრე ბუღალტერ-ექსპერტი არ გაეცნობა

საქმის მასალებს. ბუღალტრული ექსპერტიზა უნდა დანიშნოს მას შემდეგ, როცა დასკვნის მისაცემად მომზადებული იქნება ყველა აუცილებელი მასალები. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ დაუშვებელია მომზადებული მასალების თანდათანობით შევსება ექსპერტიზის დანიშვნის შემდეგაც.

იმ შემთხვევაში, როცა ბუღალტერ-ექსპერტი მიიჩნევს, რომ მასალები არასაკმარისია დასკვნის მისაცემად, ან შეუძლებელი ხდება ამ მასალების მოპოვება თვით ექსპერტიზის მიმდინარეობის პროცესში, ბუღალტერ-ექსპერტმა უნდა შეადგინოს მოტავირებული „აქტი ბუღალტრული ექსპერტიზის დასკვნის მიცემის შეუძლებლობის შესახებ“, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს ის ხერხები, რითაც ექსპერტიზის დამნიშნავი ორგანო შეავსებს არასაკმარის მასალებს, კერძოდ, რა დამატებითი მასალების გამოთხოვაა საჭირო და სად შეიძლება მისი მიღება; ექსპერტისათვის რა საჭირო მასალები შეიძლება მიღებულ იქნეს მათი წინასწარი ვალდებულებების, აღრიცხვის აღდგენის ან სარევიზიო მუშაობის შედეგად, ამ სამუშაოთა შესრულებისათვის მოცულობისა და საჭირო დროის ჩვენებით. ამ აქტის საფუძველზე, ექსპერტიზის დამნიშნავ ორგანოს წინადადებით, ჩატარებული უნდა იქნეს დოკუმენტალური რევიზია ან მიღებული შესაფერისი ზომები საქმის საჭირო მასალებით შესავსებად, დოკუმენტალური რევიზიის ჩატარება ან საქმის საჭირო მასალებით შევსება უშუალოდ ბუღალტერ-ექსპერტს ეკრძალება.¹

ბუღალტრული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილებაში ჩამოთვლილი საკითხები, რაც განსაზღვრავს ბუღალტერ-ექსპერტის მუშაობის გეგმას, მეტად მნიშვნელოვანია. იმისათვის,

¹ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს 1957 წლის 15 ივლისის № 1 ინსტრუქცია „სახელმწიფო ბუღალტრული ექსპერტიზის ბიუროს დებულების გამოყენების შესახებ“.

საქართველო
საბჭოთა კავშირი

რომ სწორად იქნეს ჩამოყალიბებული ბუღალტერ-ექსპერტისათვის გადასაწყვეტად დასასმელი საკითხები, გამოძიებელს გულდასმით უნდა ჰქონდეს შესწავლილი საქმის მასალები, კერძოდ, კარგად უნდა ერკვეოდეს იმ დოკუმენტებში, რომლებსაც გამოსაკვლევად წარუდგენს ექსპერტს.

დაუშვებელია ბუღალტერ-ექსპერტის მიერ ისეთი საკითხების გადაჭრა, რომლებიც კვლევა-ძიების, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების კომპეტენციას შეადგენენ, მაგალითად, საკითხები ბრალდებულთა მიმართ დანაშაულობის დამტკიცებისა. თუ დაუმტკიცებლობის, მოქმედების წინასწარ განზრახულობისა თუ გაუფრთხილებლობის, მოქმედების ანგარებითი ხასიათის და სხვ. შესახებ. ასევე დაუშვებელია ბუღალტერ-ექსპერტის მიერ იმ საკითხების გადაჭრა, რაც სხვა სახის ექსპერტიზის (ტექნიკური, საქონელთმცოდნეობითი და სხვ.) კომპეტენციას შეადგენს, მათ შორის საგემო-ეკონომიური ექსპერტიზის დაგეგმვისა და გეგმის შინაარსის სისწორის განსაზღვრის ნაწილში. ბუღალტერ-ექსპერტის წინაშე გადასაჭრელად დასმული საკითხების ფორმულირებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. არაზუსტმა ფორმულირებამ შესაძლოა იქამდისაც კი მიიყვანოს საქმე, რომ ბუღალტერ-ექსპერტმა არასწორად გაიგოს მის გადასაჭრელად დასმული საკითხები და აქედან გამომდინარე დასკვნებიც არასწორი იქნება.

ბუღალტრული ექსპერტიზის დაწინაშენის საქმეში ამ ბოლო დროს დამკვიდრებულია სწორი პრაქტიკა. როცა გამოძიებელი საჭიროდ მიიჩნევს სისხლის სამართლის საქმეზე ბუღალტრული ექსპერტიზის ჩატარებას, სახელმწიფო ბუღალტრული ექსპერტიზის ბიუროდან ან მისი ფილიალიდან იწვევს ბუღალტერ-ექსპერტს წინასწარი კონ-

სულტაციის გასაწევად ბუღალტრული ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ბუღალტერ-ექსპერტი ეცნობა რა საქმის მასალებს, მონაწილეობას იღებს ექსპერტიზის გადასაწყვეტად დასმულ საკითხების საბოლოო რედაქტირებაში. ამგვარად, შესაძლებელი ხდება ბუღალტრული ექსპერტიზის წინაშე გადასაჭრელად დასმული საკითხების ბუღალტრული წიგნიერების მიღწევა.

დადგენილება ბუღალტრული ექსპერტიზის ჩატარების შესახებ ეგზავნება შესაბამისად სახელმწიფო ბუღალტრული ექსპერტიზის ბიუროს ან მის ფილიალს. ბიუროსა და ფილიალის ხელმძღვანელები, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს 1957 წლის 15 ივლისის № 1 ინსტრუქციის მიხედვით, მოვალენი არიან 3 დღის ვადაში შეარჩიონ საქმის ხასიათის მიხედვით სათანადო კვალიფიკაციის ბუღალტერ-ექსპერტი და მისცენ მას ამ ინსტრუქციის 23 მუხლით დადგენილი ფორმით დავალება.

ბუღალტერ-ექსპერტის მუშაობა არ უნდა განიხილებოდეს, როგორც დამოუკიდებელი საქმიანობა, გამოძიებლის მუშაობისაგან მოწყვეტით. გამოძიებელი ყოველთვის უნდა იყოს ბუღალტერ-ექსპერტის მუშაობის კურსში, გამოძიებლის ოპერატიული მუშაობა და ექსპერტის საქმიანობა ერთმანეთს უნდა ავსებდეს, ეს ნიშნავს, რომ გამოძიებელი დაუყოვნებლივ აცნობებს ბუღალტერ-ექსპერტს ყოველი ახალი დოკუმენტალური მასალის შესახებ, რომელსაც შესაძლებელია მნიშვნელობა ჰქონდეს ბუღალტრული ექსპერტიზის დასკვნისათვის. თავის მხრივ, ბუღალტერ-ექსპერტი საქმის კურსში უნდა აყენებდეს გამოძიებელს, როგორც მასალების გამოკვლევის ცალკე სტადიების მიხედვით მუშაობის მიმდინარეობის შესახებ, ისე მთლიანად დასკვნის პროექტის ირგვლივაც; ამავე

დროს ექსპერტი მოვალეა აცნობოს გამოძიებელს მისი მუშაობის პროცესში გამოვლინებულ გარემოებების შესახებ, რომელთაც შეიძლება გამოიწვიონ ესა თუ ის საგამომძიებლო მოქმედებანი, ან შეცვალონ საქმის კვლევა-ძიების მიმართულება.

დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, როცა გამოძიების ზოგიერთი მუშაკი იჭრება ექსპერტის საქმიანობის სპეციალურ სფეროში და ზოგჯერ თავს მოახვევს მას თავის შეხედულებებს ექსპერტიზის დასკვნების მიმართ.

დამატებით მასალებს, რაც საჭიროა ბუღალტერ-ექსპერტის მუშაობისათვის, აგროვებს გამომძიებელი. უშუალოდ ბუღალტერ-ექსპერტის მიერ საჭირო მასალების შეგროვება აკრძალულია. მასალების გამოკვლევის დროს, თუ ბუღალტერ-ექსპერტი საჭიროდ მიიჩნევს დამატებითი მასალების შეგროვებას, ამის შესახებ მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს გამომძიებელს, ამავე დროს, უნდა მიუთითოს, თუ სად იმყოფება ეს დოკუმენტი, მისი ზუსტი დასახელება, დოკუმენტის ნომერი და თარიღი, რომელსაც გამომძიებელი ამოიღებს საქმიდან და დაურთავს სისხლის სამართლის საქმეს.

თუ რაიმე მიზეზის გამო ბუღალტერ-ექსპერტისათვის საჭირო დოკუმენტები არ შეიძლება მიღებული იქნეს, მაშინ გამომძიებელი ექსპერტთან ერთად წყვეტს საკითხს მათი შეცვლის შესაძლებლობის შესახებ. მაგალითად, თუ საინვენტარიზაციო აღწერები მოსპობილია, გარკვეულ პირობებში, ის შეიძლება შეიცვალოს კანონიერად გაფორმებული სასაქონლო ანგარიშგებით და შედარებითი უწყისით, თუ მათზე არის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა.

ბუღალტერ-ექსპერტს უფლება აქვს თხოვოს გამომძიებელს დაპკითხოს

ბრალდებული ან მოწმეები ექსპერტიზისათვის საინტერესო საკითხებზე.

მიზანშეწონილია ბუღალტერ-ექსპერტი მონაწილეობდეს დოკუმენტების დათვალიერებასა და ამოღებაში. რიც შემთხვევაში მისი მონაწილეობა აუცილებელიცაა, რადგანაც მას შეუძლია გამომძიებლის ყურადღება მიაქციოს გაფორმების უსწორობაზე, რაც ოქმში უნდა იყოს აღნიშნული, ანდა მიუთითოს იმ დოკუმენტზე, რომელსაც შეუძლია დაახასიათოს ოპერაცია. იმ შემთხვევებში, როცა გამომძიებელი აწარმოებს ჩხრეკას დოკუმენტების ან მისი შავი ჩანაწერების დასაძებნად, რომელთაც შეიძლება საქმისათვის მნიშვნელობა ჰქონდეს, მას უფლება აქვს ჩააბას ბუღალტერ-ექსპერტი ამ ჩხრეკაში. საგამომძიებლო მოქმედებაში ბუღალტერ-ექსპერტის მონაწილეობა გამომძიებლის მიერ უნდა აღინიშნოს ოქმში.

ზოგ შემთხვევაში საქმის სირთულის ან შრომატევადობის გამო ექსპერტიზის ჩატარებაში შესაძლებელია მონაწილეობდეს არა ერთი, არამედ რამდენიმე ბუღალტერ-ექსპერტი. ამ გარემოებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა ექსპერტიზის ჩატარებაში მონაწილეობს ბრალდებულის შუამდგომლობის საფუძველზე დანიშნული სხვა ბუღალტერ-ექსპერტი.

არსებობს ბუღალტერ-ექსპერტების ერთობლივი მუშაობის ორი ფორმა. პირველი იმაში მდგომარეობს, რომ ექსპერტები იკვლევენ საქმის ყველა ეპიზოდებს, დამოუკიდებლად ამუშაებენ მას, ხოლო ამის შემდეგ ერთობლივ დასკვნას ადგენენ. ამ შემთხვევაში ექსპერტებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მთლიან დასკვნაზე. ამ ფორმის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ თვითეულ ექსპერტს თავისუფლად შეუძლია შესცვალოს და-

ნარჩენები, თუ რაიმე მიზეზის გამო ისინი ვერ მიიღებენ მონაწილეობას პროცესის რომელიმე სტადიაში. ამავე დროს ამ ფორმას გააჩნია არსებითი ნაკლოვანებაც: თვითუღმა ექსპერტმა უნდა იცოდეს საქმის მთელი გარემოებაანი, დაწვრილებით ჰქონდეს შესწავლილი ყველა საჭირო მასალები. მასალების ამგვარი კოლექტიური დამუშავება აგრძელებს ექსპერტიზის ჩატარების ვადას და ზრდის მის ხარჯებსაც.

ბუღალტერ-ექსპერტების ერთ საქმეზე ერთობლივი მუშაობის მეორე ფორმა შემდეგში მდგომარეობს: საქმის მასალების ერთად გაცნობის და დაკონსპექტების შემდეგ, ექსპერტები იყოფენ სამუშაოს და საქმის მასალებს ცალკე საკითხების მიხედვით. მუშაობის ამ ფორმის უპირატესობა იმაშია, რომ საგრძნობლად მცირდება ექსპერტიზის ჩატარების ვადები. ნაკლოვანებას ის წარმოადგენს, რომ ექსპერტი შეუცვლელი ხდება იმ საკითხების ფარგლებში, რომელთა გამოკვლევაც მან აწარმოვა.

იმ შემთხვევაში, როცა ერთსა და იმავე საქმეზე ბუღალტრულ ექსპერტიზასთან ერთად ინიშნება სხვა სახის ექსპერტიზებიც (გრაფიკული, ტექნიკური და სხვა), თითოეული მათგანი ტარდება დამოუკიდებლად. სხვა სახის ექსპერტიზების ბუღალტრულ ექსპერტიზასთან ერთდროულად ჩატარების დროს მხედველობაში უნდა იყოს მიღებული შემდეგი:

ა) როცა ბუღალტერ-ექსპერტის წინაშე დასმულია ისეთი საკითხები, რომლებიც ურთიერთობაში არ იმყოფებიან სხვა სპეციალობის ექსპერტიზების გადასაწყვეტად დასმულ საკითხებთან, ამ შემთხვევაში ბუღალტერ-ექსპერტი წყვეტს ამ საკითხებს და ადგენს დასკვნას სხვა სპეციალობის დასკვნებისაგან დამოუკიდებლად;

ბ) როცა ბუღალტერ-ექსპერტის გადასატრელად დასმულია ისეთი საკითხები, რომლებიც ურთიერთკავშირში იმყოფებიან სხვა სპეციალობის ექსპერტების მიერ გადასაწყვეტ საკითხებთან, ამ შემთხვევაში ბუღალტრული ექსპერტიზის დასკვნა შედგენილი უნდა იყოს სხვა სპეციალობის ექსპერტების დასკვნების გათვალისწინებით.

ბუღალტრული ექსპერტიზის დასკვნა, გამომძიებლისათვის ჩაბარებამდე, წარედგინება სახელმწიფო ბუღალტრული ექსპერტიზის ბიუროს ან მისი ფილიალის ხელმძღვანელებს, სადაც ის განიხილება ბუღალტრული ექსპერტიზის ჩატარების მეთოდების დაცვისა და დასკვნის სწორად გაფორმების თვალსაზრისით, რის შემდეგაც ხდება მისი ვიზირება. ამ ღონისძიებას მიზნად აქვს ბუღალტრული ექსპერტიზის დასკვნის ხარისხის ამაღლება.

კანონი უფლებას აძლევს ბრალდებულს მონაწილეობა მიიღოს ექსპერტიზის ჩატარებაში წინასწარი გამოძიების დროს. ბრალდებულის ეს უფლება უზრუნველყოფილი ხდება იმით, რომ გამომძიებელი გააცნობს მას დადგენილებას საქმეზე ბუღალტრული ექსპერტიზის ჩატარების შესახებ, თვით ექსპერტებს და იმ საკითხებს, რომლებიც დასმულია მათ გადასაწყვეტად.

ბრალდებულს შეუძლია იშუამდგომლოს მის მიერ დასახელებული ექსპერტი შეიყვანონ ექსპერტთა შემადგენლობაში, დასვას წერილობითი სახის დამატებითი საკითხები, რომელთა შესახებაც მას სურს მიიღოს დასკვნა, გარდა ამისა, მისცეს აცილება ბუღალტერ-ექსპერტს და მონაწილეობა მიიღოს ექსპერტის მუშაობაში. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ბრალდებულის მონაწილეობა ექსპერტიზაში ხელს უწყობს ბუღალტერ-ექსპერტის მიერ დოკუმენტების

უფრო სრულად გამოყენებას, ბრალდებულის ახსნა-განმარტებების გათვალისწინებას და ამრიგად, უზრუნველყოფს დასკვნის სრულყოფასა და ობიექტურობას.

ბრალდებული დაიშვება ექსპერტიზაში მონაწილეობისათვის გამომძიებლის კონტროლით. გამომძიებელი არ უნდა ავალბედეს ბუღალტერ-ექსპერტს დამოუკიდებლად აწარმოოს მოლაპარაკება ბრალდებულთან.

ექსპერტიზაში ბრალდებულის მონაწილეობა არ გულისხმობს მუდმივად და აუცილებლად ექსპერტიზის პროცესში მის თავიდან ბოლომდე მონაწილეობას; როგორც წესი, ბრალდებულს, მისი თხოვნით, შესაძლოა ნება დაერთოს მონაწილეობდეს ბუღალტერ-ექსპერტის მიერ წარმოებული მასალების გამოკვლევაში ცალკეული ეპიზოდების მიხედვით.

ბუღალტრული ექსპერტიზის ჩატარება ბრალდებულის გარეშე იწვევს ზოგიერთ სიძნელეებს. მხედველობაშია ისეთი შემთხვევები, როცა ბრალდებული სახეზე არ არის (მიმალულია). ამ შემთხვევაში, გამომძიებელი კმაყოფილდება ბუღალტრული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილების გამოტანით, ხოლო რაც შეეხება ოქმის შედგენას ბრალდებულისათვის ბუღალტრული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამოცხადებაზე, ასევე ექსპერტიზის შედეგების გაცნობაზე, ეს გამომძიებელს შეუძლია შეასრულოს მხოლოდ მაშინ, როცა ბრალდებული სახეზე აღმოჩნდება.

ბრალდებულის დაუსწრებლად ექსპერტიზის ჩატარების შემთხვევაში ბუღალტერ-ექსპერტმა ეს უნდა მოიხსენიოს დასკვნაში.

ბრალდებულის დაქვინის ან გამოცხადებისას, გამომძიებლის მიერ მისთვის ბუღალტრულ ექსპერტიზის დასკვნის გაცნობის შემდეგ, თუ მასთან აღმოჩე-

ნილი ახალი საბუთები ამ მისი განმარტებები მოითხოვენ წინააღმდეგობა დასკვნაში რაიმე ცვლილებების შეტანას, გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე, ბუღალტერ-ექსპერტი მოვალეა წარმოდგენილი საბუთების და ბრალდებულის პრეტენზიების განხილვის შედეგად მისცეს ახალი დასკვნა, რომლითაც დაადასტურებს წინააღმდეგობა დასკვნას ან სათანადოდ შეცვლის მას.

ბუღალტრული ექსპერტიზის დასკვნის სწორად შეფასებისათვის გამომძიებელმა გულდასმით უნდა განიხილოს და ყოველმხრივი ანალიზი გაუკეთოს წარმოდგენილ დასკვნას. პირველ რიგში, გამომძიებელი მოვალეა შეამოწმოს, ბუღალტრული ექსპერტიზის დასკვნის სისწორე და დასაბუთებულობა: მოცემულია თუ არა დასკვნა ექსპერტიზის გადასატრელად დასმულ ყველა საკითხზე, გამოკვლეულია თუ არა ექსპერტიზისათვის წარდგენილი მასალები მთლიანად და არის თუ არა ეს დასკვნები თანმიმდევრული და დოკუმენტალური მონაცემებით დასაბუთებული. შემდეგ, ბუღალტერ-ექსპერტის დასკვნა მოწმდება მისი ყველა ნაწილების ურთიერთდაკავშირების, საქმის გარემოებებთან ურთიერთობის თვალსაზრისით, ხოლო, შესაძლოა შეუსაბამობანი მაშინვე უნდა იქნეს გარკვეული. გარდა ამისა, გამომძიებელმა უნდა შეამოწმოს, ხომ არ არის დარღვეული ბუღალტერ-ექსპერტის კომპეტენციის ფარგლები, ხომ არ აქვს ადგილი არსებით ხარვეზებსა და წინააღმდეგობებს.

ბუღალტერ-ექსპერტის დამატებითი დასკვნა საჭიროა მაშინ, როდესაც მის წინაშე ახალი საკითხები ისმება ან როცა ბრალდებული ბუღალტერ-ექსპერტის წინაშე აყენებს საკითხებს ან იძლევა ახსნა-განმარტებებს, რომელთაც საქმისათვის პრინციპული და არ-

სებითი მნიშვნელობა აქვთ. დამატებითი ექსპერტიზა ინიშნება გამომძიებლის დადგენილებით. მისი ჩატარებისა და დასკვნის შედგენის წესები იგივეა, რაც ძირითადი ექსპერტიზის ჩატარების დროს. როგორც წესი, დამატებითი ექსპერტიზის ჩატარება ევალება იმავე ბუღალტერ-ექსპერტს, რომელმაც შეადგინა ძირითადი დასკვნა.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ბუღალტრულ ექსპერტიზის ახალ დასკვნასაც. პრაქტიკაში გვარჩევნ ახალი ექსპერტიზის ორ სახეს: ა) განმეორებითს, და ბ) საკონტროლოს.

ბუღალტერ-ექსპერტის განმეორებითი დასკვნა საჭიროა მაშინ, როცა დასკვნა ეწინააღმდეგება მასალებსა და დოკუმენტებს; თუ ბრალდებული თავის განმარტებებში გააქარწყლებს ექსპერტის დასკვნას, ან ეს დასკვნა შედგენილია ისეთი პირის მიერ, რომლის კვალიფიკაციაში გამოძიებას ეჭვი შეაქვს, თუ ბუღალტერ-ექსპერტის მუშაობის დამთავრების შემდეგ გამომძიებელ¹ წარედგინა ახალი მასალები, რომლებიც ეწინააღმდეგება პირველდაწყებითი ექსპერტიზის მასალებს. ახალი დასკვნა საჭიროა მაშინაც, თუ ბუღალტერ-ექსპერტმა დაარღვია თავისი პროცესუალური უფლებები ან გამოვიდა თავისი კომპეტენციის ფარგლებიდან. განმეორებითი ბუღალტრული ექსპერტიზის ჩატარება უნდა დაევალოს სხვა ექსპერტს.

საკონტროლო ბუღალტრული ექსპერტიზა ინიშნება იმ შემთხვევაში, როცა საქმეში მოიპოვება ექსპერტების ორი ან მეტი მთლიანად ან ნაწილობრივ ერთიმეორის საწინააღმდეგოდ დასკვნა, ამავე დროს ამ წინააღმდეგობას აქვს პრინციპული ხასიათი და გამომძიებელს არ შეუძლია სპეციალისტის დახმარების გარეშე გარკვიოს რომელი დასკვნაა სწორი. ამ დროს გა-

მოძიებას შეუძლია დასვას საკითხი ექსპერტთა მიერ გამოყენებული გამოკვლევის მეთოდის სისწორის შესახებ. საკონტროლო ექსპერტიზის ჩატარებლად აუცილებლად დანიშნული უნდა იყოს სხვა, უფრო მაღალი კვალიფიკაციის ბუღალტერ-ექსპერტი. ხშირად, მსგავს შემთხვევაში, დასმული საკითხის გადასაჭრელად საკონტროლო ექსპერტიზა შეიძლება დაკმაყოფილდეს სისხლის სამართლის საქმეში წარდგენილი დასკვნებით და არ იქნეს საჭირო პირველადი დოკუმენტები.

თუ გამომძიებელი არ ეთანხმება ბუღალტერ-ექსპერტის ძირითად დასკვნას, ამავე დროს ის საჭიროდ არ ცნობს ახალი ექსპერტიზის დანიშვნას, ეს გარემოება მან მოტივირებულად უნდა მოიყვანოს საბრალდებულო დასკვნაში ან დადგენილებაში საქმის შეწყვეტის შესახებ.

სამეურნეო ხასიათის დანაშაულობასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების წარმატება ბევრადაა დამოკიდებული ბუღალტერ-ექსპერტისა და გამომძიებლის თანმიმდევრული მუშაობისაგან.

ჩაებმება რა კვლევა-ძიების პროცესში, ბუღალტერ-ექსპერტი უნდა ცდილობდეს გამოსაკვლევად წარდგენილი მასალების გულდასმით შესწავლისა და საქმის გარემოებათა გათვალისწინების საფუძველზე, უზრუნველყოს ბუღალტრული ექსპერტიზის შემჭიდროებულ ვადებში ჩატარება და დასკვნის, როგორც მტკიცების დამაჯერებელი სახის, გამომძიებისათვის წარდგენა.

ი. ავაუშავლი,

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო ბუღალტრული ექსპერტიზის ბიუროს უფროსის მოადგილე,

მ. დოლიძე,

ბუღალტერ-ექსპერტი



ვაშტიცებ:
 საქ. სსრ ჯანმრთელობის
 დაცვის მინისტრი
 ბ. მ. მარუაშვილი
 5 მაისი 1960 წელი

შეთანხმებულია
 საქართველოს სსრ პროკუ-
 რატურასთან, უმაღლეს სა-
 სამართლოსთან და საქართვე-
 ლოს სსრ მინისტრთა საბჭოს-
 თან არსებულ იურიდიულ
 კომისიასთან:

ნ ე ს ე ბ ი

სხეულის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრისათვის

1. სხეულის დაზიანებად ჩაითვლება ადამიანის სხეულის, სისტემების, ორგანოების და ქსოვილების ანატომიური მთლიანობის ან ფიზიოლოგიური ფუნქციის დარღვევა, გამოწვეული ფიზიკური (მექანიკური, თერმული და სხვა) და ქიმიური ზემოქმედებით.

სხეულის დაზიანებას უნდა გაუთანაბრდეს ორგანიზმის ავადმყოფური მდგომარეობებიც, რომლებიც გამოწვეულია ფსიქიური ფაქტორებით.

2. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა სხეულის დაზიანების სიმძიმის დასადგენად ყველა შემთხვევაში ტარდება საგამომიებლო ორგანოების დადგენილების ანდა სასამართლოს დადგენილების და გადაწყვეტილების საფუძველზე.

3. სხეულის დაზიანების სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის წარმოებისას ექსპერტიზის აქტის დასკვნაში, როგორც წესი, აუცილებლად უნდა განისაზღვროს:

- ა) დაზიანების ხასიათი (დაჟეილი ჭრილობა, დახურული მოტეხილობა, პირველი ხარისხის დამწვრობა და ა. შ.);
- ბ) დაზიანების მიყენების ხანდაზმულობა;
- გ) იარაღის ტიპი ან საშუალება, რომლითაც შეიძლებოდა მიყენებულიყო დაზიანება;
- დ) დაზიანების სიმძიმის ხარისხი.

4. სხეულის დაზიანების ხარისხის სასამართლო-სამედიცინო განსაზღვრა წარმოებს საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული სათანადო მუხლების შესაბამისად.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტს არ აქვს უფლება ექსპერტიზის აქტის დასკვნაში უჩვენოს სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი, რომელშიც გათვალისწინებულია შესაბამისი სიმძიმის დაზიანება.

5. სხეულის დაზიანების ხარისხის განსაზღვრისათვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული:

- ა) დაზიანების სიცოცხლისათვის საშიშროება მისი მიყენების მომენტში;
- ბ) ავადმყოფური პროცესის სიმძიმე და მისი მიმდინარეობის ხანგრძლიობა, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული აღნიშნულ დაზიანებასთან;
- გ) მძიმე შედეგები დაზიანების გამოსავალში (მაგალითად: მწარმოებლური უნარიანობის დაკარგვა და ა. შ.);
- დ) შრომის უნარის დაკარგვა.

6. სხეულის მძიმე დაზიანებებს ეკუთვნის:

ა) მიყენების მომენტში სიცოცხლისათვის საშიში დაზიანებანი, დაზიანებულისათვის აღმოჩენილი სამედიცინო დახმარებისა და კარგი გამოსავლის მიუხედავად.

ბ) დაზიანებასთან უშუალოდ დაკავშირებული ავადმყოფური მოვლენები, რომელთა მიმდინარეობის ხანგრძლიობა არა ნაკლებ 12 კვირას უდრის.

გ) დაზიანებანი, რომლებმაც გამოიწვიეს მნიშვნელოვანი ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა.

დ) დაზიანებანი, რომლებმაც გამოიწვიეს მყარი და მძიმე დაავადება ან საერთო შრომის უნარის სამუდამოდ დაკარგვა არა ნაკლებ ერთი მესამედით.

ს ხ ე უ ლ ი ს მ ძ ი მ ე და ზ ი ა ნ ე ბ ე ბ ი ა: ქალას სარქველის ძვლებისა და ქალას ფუ-

ძის მოტეხილობა; დაზიანებანი, "შემავალი — ქალას, გულმკერდის, მუცლის ღრუებში და აგრეთვე ხერხემლის არხში: აორტის, საძილე არტერიის, ლავიწქევა, მხრის, ბარძაყის, მუხლის და სხვა მსგავსი მსხვილი არტერიების და აგრეთვე მათი შესაბამისი ვენების ქრილობები; შინაგანი ორგანოების და სისტემების დახურული დაზიანებანი (ფილტვის, ღვიძლის, თირკმელის, საშვილოსნოს გაგლეჯა. ტვინის დაქუეილობა. ტვინში სისხლჩაქცევა და ა. შ.); ბარძაყის და მენჯის ძვლების მოტეხილობანი, გარდა მენჯის ძვლების კიდების იზოლირებული მოტეხილობებისა; ხერხემლის მოტეხილობანი, გარდა მისი მორჩების ცალკეული იზოლირებული მოტეხილობებისა; ნეკნების მრავლობითი მოტეხილობანი ან ნეკნის მოტეხილობა პლევრის ღრუში სისხლჩაქცევით; ლულოვანი ძვლების ღია დამსხვრეული მოტეხილობანი — მხრის, წვივის ორივე და წინამხრის ორივე ძვლებისა; ორივე ან ერთი თვალთ მხედველობის დაკარგვა; სმენის ორმხრივა დაკარგვა. მეტყველების უნარის დაკარგვა, ხელის, ფეხის ან მათი ნაწილების — წინამხრის, მტყენის, ტერფის, წინა ტერფის დაკარგვა და აგრეთვე ხელის თითების დაკარგვა შრომის უნარის დაქუეითებით ერთ მესამედზე მეტით; დაზიანებანი, რომლებმაც გამოიწვიეს ნადრევი მშობიარობა ან აბორტი ორსულობის მეორე ნახევარში; დაზიანების შედეგად ან მასთან დაკავშირებით გამოწვეული ფსიქიური დაავადებანი; განაყოფიერების და ჩასახვის უნარის დაკარგვა; ნერვული სისტემის დაზიანება, რომელსაც მოჰყვა რომელიმე ორგანოს ფუნქციის გაქრობა შრომის უნარის არა ნაკლებ ერთი მესამედის დაკარგვით; გარეშე შემოქმედება განსაკუთრებით მგრძობიარე შოკანგურ მიდამოებზე — გულსკივზე, სასქესო ორგანოების მიდამოზე და სხვ., თუ ამ შემოქმედებას თან ახლდა გამოხატული კლინიკური შოკი.

შენიშვნა 1: სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანებას აგრეთვე უნდა მიეკუთვნოს ქვემოჩამოთვლილი დაზიანებანი და მდგომარეობანი, თუ ისინი თავისი სიმძიმით შეეფარდებიან 6 პუნქტის რომელიმე მაჩვენებელს:

კისრის ჩაჭერა მარყუჟით ან ხელით, რასაც თან ახლავს ასფექსიის ობიექტური ნიშნები; ქალას ძვლების გაბზარვები; კისრის ქრილობა ხორხის ან საყლაპავის დაზიანებით; ლულოვანი ძვლების — მხრის, წვივის ორივე და წინამხრის ორივე ძვლების დახურული მოტეხილობანი; ქვედა ყბის დამსხვრეული მოტეხილობანი; მენჯ-ბარძაყის, მუხლის, კოჭ-წვივის, მხრის, იდაყვის და სხვი-მაჯის სახსარშია მოტეხილობანი; ქრილობები, შემავალი ამ სახსრების ღრუებში, თერმული, ქიმიური და ელექტროდამწვრობები — მეორე და მესამე ხარისხისა, დაზიანებული ზედაპირის ფართობის მიხედვით; არტერიების და ვენების დაზიანებები, რომლებმაც გამოიწვიეს სიცოცხლისათვის საშიში ძლიერი სისხლდენა.

შენიშვნა 2: მხედველობის და სმენის დაკარგვის ქვეშ იგულისხმება, არა მართო სრული და განუკურნებელი სიბრმავე და სიყრუე, არამედ აგრეთვე ისეთი განუკურნებელი მდგომარეობა, როდესაც დაზარალებული ვერ არჩევს ახლომდებარე საგნების მოყვანილობას ან არ შეუძლია გაიგონოს ძლიერ ახლო მანძილიდან ხმამალაი ლაპარაკი.

შენიშვნა 3: მეტყველების უნარის დაკარგვად ითვლება ლაპარაკის უნარის განუკურნებელი დაკარგვა, ე. ი. როცა იკარგება აზრების გამოთქმის უნარი გარკვეული ბგერებით, რომლებიც ვასაგებია მსმენელისათვის.


შენიშვნა 4: ხელის, ფეხის ან მათი ნაწილების დაკარგვად ითვლება როგორც ხელის, ფეხის ან მათი ნაწილების სხეულისაგან სრული მოცილება, ისე მათი ფუნქციის დაკარგვა.

შენიშვნა 5: მწარმოებლური უნარის დაკარგვად, რომელიც უთანაბრდება „სხვა“ ორგანოს დაკარგვას, უნდა ჩაითვალოს როგორც სქესობრივი აქტის წარმოების, ისე განაყოფიერების, ჩასახვის და მშობიარობის უნარის დაკარგვა.

შენიშვნა 6: სახეზე ისეთი დაზიანებების არსებობისას, რომლებმაც გამოიწვიეს მნიშვნელოვანი დანაწიბურება, სხვადასხვაგვარი დეფორმაციები და სხვა ცვლილებანი, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი ვალდებულია თავის დასკვნაში უჩვენოს — ხომ არ გამოიწვიეს ამ ცვლილებებმა სახის ასიმეტრია, მიმიკის დარღვევა და სხვა პათოლოგიური მდგომარეობანი და რამდენად შესაძლებელი იქნება ამ ნაწიბურების გამოსწორება პლასტიკური და კოსმეტიკური ოპერაციული ჩარევის გარეშე.

აქვს თუ არა ადგილი მოცემულ შემთხვევაში სახის წარუხოცელ დამაზინჯებას, ამ საკითხის გადაწყვეტა შედის საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების კომპეტენციაში.

შენიშვნა 7: სიცოცხლისათვის საშიშს წარმოადგენს დაზიანებანი, რომლებიც სიცოცხლისათვის უშუალოდ საშიშია (ტვინის, გულის, მსხვილი სისხლძარღვების ქრილობები ძლიერი სისხლდენით და სხვ.); თავის ქალას, გულმკერდის და მუცლის ღრუებში და ზურგის ტვინის არხში შეღწეული ქრილობები შინაგანი ორგანოების დაუზიანებლადაც კი; აგრეთვე დაზიან-



ნებანი, რომლებსაც თან ახლავს სიცოცხლისათვის საშიში ისეთი მდგომარეობანი, ტრავმული კლინიკური შოკი, კოლაფსი, სისხლის დაკარგვა და ცხიმოვანი ემბოლია.

შენიშვნა 8: მნიშვნელოვან ორგანოებს ეკუთვნის: თვალი, ხელი, ფეხი, შინაგანი ორგანოები (ტენი, გული, ფილტვები, ღვიძლი, თირკმელი, ელენთა, კუჭი, ნაწლავები, შარდის ბუშტი; სასქესო ორგანოები: საშვილოსნო და დანამატები, სასქესო ასო და სათესლე ჯირკვლები; შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები და სხვ.).

ნაკლებად მნიშვნელოვან ორგანოებს ეკუთვნის: კბილები, ზედა და ქვედა კიდურების თითები და სხვ.

შენიშვნა 9: მძიმე ავადმყოფობებზე ითვლება განუკურნებელი და ძნელად განსაკურნებელი დაავადებანი მძიმე კლინიკური მიმდინარეობით და არაკეთილსაუბრევი გამოსავალით.

შენიშვნა 10: „გვემა“ არის განსაკუთრებული ტკივილების მიყენება სისტემატურად ან ერთჯერადად, მხოლოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში (გაროზგვა, ჩქმეტა, არა დიდი, მაგრამ მრავლობითი დაზიანებების მიყენება ბლავვი, მხვლეტვა-ბასრი სავნებით, თერმიული ფაქტორებით ზემოქმედება და სხვ.).

„წვალება“ არის მსხვერპლისადმი ტანჯვის მიყენება საკვების, სასმელის, სითბოს და თავისუფლების ხანგძლივად აღკვეთის გზით ან ისეთი საშუალებით, რომელსაც შეუძლია საშიშროება შეუქმნას სიცოცხლეს ან გამოიწვიოს მძიმე დაავადება.

„გვემის“ და „წვალების“ საკითხის წამოჭრის შემთხვევაში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა არა მარტო უნდა დაადგინოს სხეულის დაზიანების ხარისხი, არამედ უნდა განსაზღვროს დაზიანების მიყენების საშუალებაც.

7. სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანებას ეკუთვნის:

ა) დაზიანებანი, რომლებმაც გამოიწვიეს შრომის უნარის დროებითი დაკარგვა არა ნაკლებ 12 დღის განმავლობაში.

ბ) დაზიანებები, რომლებმაც გამოიწვიეს ნაკლებად მნიშვნელოვანი ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა, აგრეთვე ამ ორგანოს ფუნქციის დროებითი, მაგრამ მნიშვნელოვანი მოშლა შრომის უნარის დაკარგვის გარეშე;

გ) დაზიანება, რომლის გამოსავალი ვახდა მყარი, მაგრამ არამძიმე დაავადება ან დაზიანება, რომელმაც გამოიწვია საერთო შრომის უნარის ერთ მესამედზე ნაკლები სამუდამო დაკარგვა.

სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანებებს წარმოადგენენ:

ძვლების მთლიანობის დარღვევა, 6 პუნქტის შენიშვნებში ნაჩვენები დაზიანებების გარდა; ნაკლებადმსხვილი ლულოვანი ძვლების მოტეხილობები და გაბზარვა; მკერდის ძვლის პოტეხილობა, 1-3 ნეკნის მოტეხილობა ცალ მხარეს, შინაგანი ორგანოების დაზიანების გარეშე; სახის ძვლების დაზიანება, გაურთულებელი მოტეხილობები; ძვლების ამოვარდნილობა წვრილ სახსრებში; თითის სახსრების ანკილოზი; მოძრაობის ზომიერი შეზღუდვა მსხვილ სახსრებში; ხელის მტეგნის ან ტერფის თითის დაკარგვა; სმენის დაკარგვა ერთ მხარეს; დადის აპკის ვაგლევა; მეტყველების გაძნელება; ხმის მნიშვნელოვანი შესუსტება; რამდენიმე სრულფასოვანი კბილის ტრავმული მოცილება და ა. შ.

შენიშვნა 1: სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანებას უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე ქვემოჩამოთვლილი დაზიანებანი, თუ თავისი სიმძიმით ისინი ეთანაბრებიან 7 პუნქტში მოყვანილ რომელიმე მაჩვენებელს: თავის ან სხეულის სხვა ნაწილების რბილი ქსოვილების ღრმა ჰრილობები კუნთების დაზიანებით, რომელსაც დასჭირდა ქირურგიული დამუშავება; მრავლობითი ფართო და ღრმა სისხლნაკლებობები.

შენიშვნა 2: დროებითი შრომის უნარის დაკარგვის ხანგრძლიობის დასადგენად სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი პირველ რიგში ხელმძღვანელობს თვით დაზიანების ხასიათით; ამავე დროს შრომის უუნარობის ფურცელი, ავადმყოფობის ისტორია, ამბულატორული ავადმყოფის ინდივიდუალური ბარათი და სხვა სამედიცინო დოკუმენტებიც იმ პირობით უნდა აქნას მიღებული მხედველობაში, თუ ისინი ობიექტურად ადასტურებენ ავადმყოფური პროცესის ხანგრძლიობას და ჩატარებულ მკურნალობას.

8. სხეულის მსუბუქ დაზიანებას ეკუთვნის:

დაზიანებანი, რომელთაც თავისი ხასიათის მიხედვით არა აქვთ 6-7 პუნქტის ნიშნები და რომლებიც სიცოცხლისათვის საშიში არ არიან, არ სჭირდებოდათ საექიმო დახმარების აღმოჩენა ან საჭიროებდნენ მოკლევადიან მკურნალობას არაუმეტეს 12 დღისა და რომელთა გამოსა-

ვალ იყო სრული გაჯანსაღება შრომის უნარის დაუკარგავად (ნაქღევები, ნაკარბები, სისხლ-
ნაქედნები, კანის მცირე ზომის ჭრილობები და სხვ.).

9. ტვინის შერყევა, დაზიანების კლინიკური სურათის სიმძიმის და გამოსავლის მიხედვით, შეიძლება მიეკუთვნოს როგორც მძიმე, ისე ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანებას. „ტვინის შერყევა“, რომლის დიაგნოზი არ მტკიცდება ობიექტური, ნევროლოგიური მონაცემებით და დასმულია მხოლოდ სუბიექტური ჩივილების საფუძველზე, სხეულის დაზიანების ხარისხის განსაზღვრის დროს მხედველობაში არ უნდა იქნას მიღებული.

10. წინამდებარე „წესებში“ მოყვანილი დაზიანების სხვადასხვა სახეები ვერ ამოწურავს სხეულის დაზიანებების მთელ მრავალფეროვნებას. აქ წარმოდგენილია მხოლოდ დაზიანების ყველაზე უფრო ტიპური სახეები, რომლებიც სასამართლო-სამედიცინო პრაქტიკაში განსაკუთრებით ხშირად გვხვდება. ამიტომ ეს „წესები“ უნდა წარმოადგენდეს საქსპერტო მოქმედების მხოლოდ ზოგად სახელმძღვანელო მითითებებს.

11. თუ დადგინდა, რომ სხეულის დაზიანება მისი მიყენების მომენტში იყო სიცოცხლისათვის საშიში, ან როცა დაზიანების სიმძიმე აშკარაა და არ იწვევს ეჭვს შემოწმების დროს, მაშინ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი დაზიანების სიმძიმის ხარისხის შესახებ დასკვნას იძლევა მკურნალობის დამთავრებამდე.

მხოლოდ რთულ და გაურკვეველ შემთხვევებში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი არ იძლევა დასკვნას სხეულის დაზიანების სიმძიმის შესახებ, არამედ განსაზღვრავს დაზიანების ხასიათს, მის ხანდაზმულობას, იარაღის ტიპს ან დაზიანების მიყენების საშუალებას და იმ ვადას, რომლის შემდეგ სავალდებულოა დაზარალებულის განმეორებითი შემოწმება.

12. რთული ექსპერტიზების და სპეციალური საკითხების გადაწყვეტის აუცილებელ შემთხვევებში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტს უფლება აქვს მოითხოვოს სათანადო სპეციალისტების მონაწილეობა ექსპერტიზაში და გასცეს დასკვნა მათთან ერთად, ანდა მოითხოვოს ექსპერტიზის ჩატარება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს სასამართლო-სამედიცინო საქსპერტო კომისიაში.

13. ექსპერტიზა სამედიცინო დოკუმენტების საფუძველზე დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ, გამონაკლის შემთხვევებში, რომლებიც გამოწვეულია გამოძიების განსაკუთრებული პირობებით და ისიც მხოლოდ საქმეში არსებული ამ დოკუმენტების სრულფასოვნებისა და ამომწურავი სიცხადის შემთხვევებში.

14. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნა სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის შესახებ ყოველთვის უნდა იყოს მოტივირებული. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი ვალდებულია უჩვენოს თუ რა მონაცემები გახდა საფუძველი სხეულის დაზიანების ამა თუ იმ კვალიფიკაციისათვის.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შემდგომი გაძლიერებისა და შრომითს საქმიანობაში იმ პირთა ჩაბმის მიზნით, რომლებიც ბოროტად არიდებენ თავს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში მონაწილეობას, აგრეთვე ითვალისწინებს რა მოქალაქეთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მრავალ წინადადებასა და სურვილს, რომ საჭიროა გაძლიერდეს ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

1. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ ქალაქებსა და დაბებში მცხოვრები სრულწლოვანი, შრომისუნარიანი მოქალაქენი, რომლებიც ბოროტად არიდებენ თავს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას, შეიძლება გადასახლებულ იქნენ ექვსი თვიდან ორ წლამდე ვადით მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით მოქალაქეთა საერთო კრებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან მილიციის დაწესებულებების შუამდგომლობის საფუძველზე.

გასახლება ხდება საქართველოს სსრ რაიონებში, შრომითს საქმიანობაში აუცილებელი ჩაბმით გადასახლების ადგილას.

2. მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება გადასახლების შესახებ ძალაში შედის მისი მიღების დღიდან და უნდა შეასრულოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებმა.

3. მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება გადასახლების შესახებ, შეუძლია ნება დართოს გადასახლებულს დაბრუნდეს წინანდელ საცხოვრებელ ადგილას გადასახლებულის განცხადების, მისი ყოფაქცევისა და შრომითი საქმიანობის შესახებ დადებითი დახასიათების საფუძველზე, დაბრუნების შემდეგ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში აუცილებლად ჩაბმით.

4. გასახლების ადგილას თვითნებურად დატოვება ან ამ ადგილას ვაგზავნის დროს გზიდან გაქცევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 82 მუხლის 2 ნაწილით — გასახლების შეცვლას თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაამტკიცოს დებულება ამ ბრძანებულების შეფარდების შესახებ.

6. ეს ბრძანებულება ძალაში შედის 1960 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის

თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის

მდივანი **ზ. ბელდიავილი.**



ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ა ნ ს:
დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — ზ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — ზ. გელდიანოვი

ქ. თბილისი, 1960 წ. 28 ოქტომბერი.


დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ

1. საქართველოს სსრ სასამართლოებს დაკისრებული აქვთ საპასუხისმგებლო ამოცანები — განახორციელონ მართლმსაჯულება, განამტკიცონ სოციალისტური კანონიერება, აღზარდონ მოქალაქეები სამშობლოსა და კომუნისტების საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით, საბჭოთა კანონების ზუსტად და განუხრელად შესრულების, სოციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველობით მოპყრობის, შრომის დისციპლინის დაცვის, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოვალეობისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, მოქალაქეთა უფლების, პატივისა და ღირსებისადმი, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი-პატივისცემის სულისკვეთებით.

ამ დიდი ამოცანების განხორციელება ავალებს მოსამართლეს აფასებდეს ხალხის ნდობას, იყოს მაგალითი სამშობლოს პატიოსანი მსახურისა, ზუსტად და განუხრელად შეასრულოს საბჭოთა კანონები. მოსამართლე უნდა იყოს ზნეობრივად წმინდა და უმწიკვლო ყოფაქცევის, რათა ქონდეს სხვების გასამართლებისა და აღზრდის არა მარტო უფლება, არამედ მორალური საფუძველიც. მოსამართლეთა სამსახურებრივი დაუდევრობა და უღირსი მოქმედება სახელს უტეხს სასამართლოს ავტორიტეტს და ამიტომ უნდა იწვევდეს დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ საკითხის გადასაწყვეტად საქართველოს სსრ სასა-



მართლო წყობილების შესახებ კანონის 63 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლეს სასამართლოებთან და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოსთან იქმნება დისციპლინურ საქმეთა კოლეგიები 5 კაცის შემადგენლობით.

2. საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის 58 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს დისციპლინურ საქმეთა კოლეგიას პლენუმის წევრთა რიცხვიდან აირჩევს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ღია კენჭისყრით, ორი წლის ვადით.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს დისციპლინურ საქმეთა კოლეგიებს აირჩევენ შესაბამისად: ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების ავტონომიური ოლქის მოსამართლეთა საერთო კრებებზე ღია კენჭისყრით ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, ავტონომიური ოლქის სასამართლოს წევრთა რიცხვიდან და სახალხო მოსამართლეთა რიცხვიდან ორი წლის ვადით.

დისციპლინურ საქმეთა კოლეგიის წევრები თავის შემადგენლობიდან ირჩევენ კოლეგიის თავმჯდომარეს. თვითეული საქმის განსახილველად კოლეგიის თავმჯდომარე ქმნის შემადგენლობას კოლეგიის სამი წევრისაგან თავისი თავმჯდომარეობით ან კოლეგიის ერთერთი წევრის თავმჯდომარეობით.

3. დისციპლინურ საქმის აღძვრის საფუძვლად ჩაითვლება:

- ა) შრომის დისციპლინის დარღვევა;
- ბ) მოსამართლის დაუდევრობით ან უდისციპლინობით სასამართლოს მუშაობაში დაშვებული დარღვევა;
- გ) საბჭოთა მოსამართლისათვის შეუ-

ფერებელი საქციელი, რაც სახელს უტეხს სასამართლოს ავტორიტეტს.

4. დისციპლინურ საქმის აღძვრის უფლება აქვთ შესაბამისად: აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს ამ სასამართლოების წევრების და ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში შემავალი რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეების და სახალხო მოსამართლეების მიმართ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს — საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს წევრებისა და აგრეთვე ქვემდგომი სასამართლოების ყველა მოსამართლის მიმართ.

5. დისციპლინურ საქმე მოსამართლეთა წინააღმდეგ შეიძლება აღიძვრას არა უგვიანეს 1 თვისა გადაცდომის გამოყვანების დღიდან და არა უგვიანეს 6 თვისა მისი ჩადენის დღიდან.

6. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს დისციპლინურ საქმეთა კოლეგიები განიხილავენ დისციპლინურ საქმეებს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეების, სახალხო მოსამართლეების და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების და ავტონომიური ოლქის სასამართლოს წევრების მიმართ შესაბამისად.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს დისციპლინურ საქმეთა კოლეგია განიხილავს დისციპლინურ საქმეებს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეების, სახალხო მოსამართლეების, რომლებიც ტერიტორიულად არ შედიან რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში, ავტონომიური რესპუბ-

ლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეების და მათი მოადგილეების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრების მიმართ.

7. დისციპლინურ საქმეთა კოლეგიაში საქმის განხილვამდე გულდასმით უნდა შემოწმდეს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საფუძვლები, მოსამართლეს, რომლის მიმართაც არის აღძრული საქმე, მოეთხოვოს წერილობით ახსნა-განმარტება და შეგროვდეს სხვა საჭირო მასალები.

8. დისციპლინური საქმეები განიხილება დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის თანდასწრებით.

9. დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს შეუძლია აცილება მისცეს დისციპლინურ საქმეთა კოლეგიის წევრებს.

საკითხს კოლეგიის წევრის მიმართ აცილების საფუძვლიანობის შესახებ გადაწყვეტენ კოლეგიის დანარჩენი წევრები; თუ ხმები გაიყო, კოლეგიის წევრის მიმართ აცილება მიღებულად ჩაითვლება. კოლეგიის იმ წევრის ადგილზე, რომლის მიმართ აცილება მიღებულ იქნა, მოიწვევა სხვა წევრი დისციპლინურ საქმეთა კოლეგიის წევრთა რიცხვიდან.

10. საქმის განხილვა დისციპლინურ საქმეთა კოლეგიაში სწარმოებს ღია სხდომაზე სასამართლოს მუშაკების კოლექტივისათვის და იწყება კოლეგიის ერთ-ერთი წევრის მოხსენებით, შემდეგ მოისმენენ დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის ახსნა-განმარტებას.

სასამართლოს მუშაკებს, რომლებიც ესწრებიან კოლეგიის სხდომას, შეუძლიათ არსებითად გამოთქვან აზრი განსახილველ დისციპლინურ საქმეზე. ამის შემდეგ კოლეგია გადის სათათბიროდ გადაწყვეტილების გამოსატანად.

დისციპლინური საქმის განხილვისას სდგება სხდომის ოქმი.

11. დისციპლინურ საქმეთა კოლეგიას შეუძლია დაადოს ერთ-ერთი ამ დისციპლინური სასჯელებიდან:

- ა) შენიშვნა,
- ბ) საყვედური,
- გ) სასტიკი საყვედური.

12. თუ იმ შემთხვევაში დისციპლინურ საქმეთა კოლეგია სცნობს, რომ მოსამართლე არ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას, ამის შესახებ აცნობებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს დაკავებული თანამდებობიდან მოსამართლის ვადამდე ადრე გაწვევის საკითხის დასაყენებლად.

თუ დისციპლინურ საქმეთა კოლეგია მოსამართლის მოქმედებაში დაინახავს დანაშაულის ნიშნებს, იგი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წინაშე დააყენებს საკითხს მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ კანონით დადგენილი წესით.

13. დისციპლინურ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს კოლეგიის სახელწოდება და შემადგენლობა, საქმის გარჩევის ადგილი და დრო, დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული პირის გვარი, სახელი, მამის სახელი და თანამდებობა; საქმის შინაარსი, პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტება, დისციპლინური სასჯელის ზომა ან დისციპლინური საქმის შეწყვეტის მოტივები და აგრეთვე კოლეგიის სხვა წინადადებები.

14. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს დისციპლინური საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმში

ორი კვირის განმავლობაში დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული პირის ან დისციპლინური საქმის აღმძვრელი პირის მიერ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმს უფლება აქვს გაუქმოს დისციპლინურ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება, შესცვალოს ადრე გამოტანილი გადაწყვეტილება, გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება ან შეწყვიტოს საქმე.

15. დისციპლინურ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების ასლი ეგზავნება დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს, იმ სასამართლოს თავმჯდომარეს, სადაც ის მუშაობს და საქმის აღმძვრელ პირს. გადაწყვეტილების ასლი დისციპლინური სასჯელის დადების შესახებ დაერთვის მოსამართლის პირად საქმეს.

16. თუ დისციპლინური სასჯელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში მოსამართლეს ახალი სასჯელი არ დაედება,

იგი არ ჩაითვლება დისციპლინური წესით დასჯილად.

თუ დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულმა მოსამართლემ თავისი უმწიკვლო ყოფაქცევით და მასზე დაკისრებული მოვალეობის აღსრულებისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით დაამტკიცა თავისი გამოსწორება, დისციპლინური საქმის აღმძვრელი პირის წარდგენით, ასევე შესაბამისი სასამართლოს მუშაკების საერთო კრებების, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების შუამდგომლობით, დისციპლინურ საქმეთა კოლეგიას შეუძლია ვადაზე ადრე მოუხსნას მას დისციპლინური სასჯელი.

ამ პუნქტის პირველი და მეორე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გადაწყვეტილების ასლი დისციპლინური სასჯელის დადების შესახებ ამოიღება მოსამართლის პირადი საქმიდან.

ქართული იურიდიული გერმანოლოგიის მასალები

(დასასრული)*

Р

работа по найму	დაქირავებით მუშაობა
работа подрядная	ნარდი სამუშაო
работа сверхурочная	საზეგანაკვეთო სამუშაო, საზეგანაკვეთო მუშაობა
работа сдельная	ნარდად მუშაობა, ნარდი სამუშაო
работодатель	სამუშაოს მიმცემი
работоспособность	შრომისუნარიანობა
рабочее законодательство	მუშათა კანონმდებლობა
равноправие	თანასწორუფლებიანობა
равноценность интересов	ინტერესთა ტოლფასოვანება
разбирательство	გარჩევა
разбой	ყაჩაღობა
разбойничий вертеп	ყაჩაღთა ბუნაგი
разбор дела	საქმის გარჩევა, საქმის განხილვა
развод	განქორწინება
развратное действие	გარყვნილი მოქმედება
развращение малолетних	მცირეწლოვანთა გარყვნა
раглашение государственной тайны	სახელმწიფო საიდუმლოების განმავრცობა, გათქმა
разграничение компетенций	კომპეტენციათა გამიჯვნა
раздел двора	კომლის გაყოფა
раздельное жительство супругов	მეუღლეთა ცალ-ცალკე ცხოვრება
раздробление иска	სარჩელის დაწილადება
разжалование	ხარისხის ჩამორთმევა, ჩამოქვეითება
разлучение	განშორება
разлучение от стола и ложа	სუფრისა და სარეცლის განყოფა
размер иска	სარჩელის ოდენობა
размер наказания	სასჯელის ზომა, სასჯელის ოდენობა
разноречивые показания	ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებანი
разнузданное действие	თავაწყვეტილი, ადვირახსნილი მოქმედება
розоблачение преступника	დამნაშავეს მხილება
розоблачение тайны	საიდუმლოების გამოჟღავნება
разовая сделка	ერთჯერადი გარიგება

* იხ. ქერნ. „საბჭოთა სამართალი“ 1959 წლის №№ 5, 6; 8 1960 წლის №№ 1, 2, 3, 4.

разрешение на выезд	გასვლის ნებართვა
разрешение спора	დავის გადაწყვეტა
разрешительный порядок	ნებართვის წესი
разрыв дипломатических отношений	დიპლომატიურ ურთიერთობათა გაწყვეტა
разрыв соглашения	შეთანხმების მოშლა
разукрупнение	დაწვრილდერთეულება
разъяснение закона	კანონის განმარტება
раскayание	მონანიება
раскayание деятельное	ქმედითი მონანიება
раскрытие преступления	დანაშაულის გახსნა
расовая дискриминация	რასობრივი დისკრიმინაცია
расписка	ხელწერილი
распорядительная сделка	განმკარგულებელი გარიგება
распорядительное заседание	გამწესრიგებელი სხდომა
распорядительный акт	განკარგვის აქტი
распоряжение	1. განკარგულება; 2. განკარგვა,
распоряжение имуществом	ქონების განკარგვა
распределительное заседание	განმანაწილებელი სხდომა
распродажа	მთლიანად გაყიდვა
распространительное толкование	განვრცობითი განმარტება
расследование	გამოკვლევა, გამოძიება
рассмотрение дела	საქმის განხილვა
рассрочка долга	ვალის განაწილვადება
растление малолетних	მცირეწლოვანთა გახრწნა
расторжение брака	განქორწინება
расторжение договора	ხელშეკრულების მოშლა
расторжение союза	კავშირის გაწყვეტა
расточительство	გამნიავებლობა
растрата	გაფლანგვა
расхищение	დატაცება
расходы по ведению дела	საქმის წარმოების ხარჯები
расчет	1. ანგარიშსწორება; 2. ანგარიში,
расчет безналичный	გამონანგარიშება, ვანანგარიშება
расчет внутригородской	უნაღლო ანგარიშსწორება
расчет клиринговый	შინასაქალაქო ანგარიშსწორება
расчетная операция	კლირინგული ანგარიშსწორება
расчетное требование	ანგარიშსწორების ოპერაცია
расширительное толкование	საანგარიშსწორებო მოთხოვნა
ратификационная грамота	განვრცობითი განმარტება
регресный иск	რატიფიკაციის სიგელი
режим капитуляций	სარეგრესო სარჩელი
	კაპიტულაციების რეჟიმი

резервный фонд	სარეზერვო, სათადარიგო ფონდი
резолютивная часть приговора	განაჩენის რეზოლუციური ნაწილი
реституция	რესტიტუცია, აღდგენა
речное право	სამდინარო სამართალი
решение	გადაწყვეტილება
родительская власть	მშობლის ძალაუფლება, მშობლის ხელისუფლება
родительский надзор	მშობლის, მშობელთა მეთვალყურეობა
родной брат	ღვიძლი ძმა
родовая вещь	გვარობითი ნივთი
родовая месть	გვაროვნული შურისძიება, მოსისხლეობა
родовая община	გვაროვნული თემი
родовое имя	საგვარეულო მამული
родословие	1. გვარტომობა; 2. გვარტომობის ნუსხა
родство по боковой линии	გვერდითი ხაზის, გვერდითი შტოს ნათესაობა
рознь	განხეთქილება, უთანხმოება
розыск	1. ძებნა; 2. სამძებრო
розыскной процесс	სამძებრო პროცესი
роспуск парламента	პარლამენტის დათხოვნა
рост: дать деньги в рост	ვანში: ფულის გავანშება
ростовщический процент	მევანშური სარგებელი
ростовщичество	მევანშეობა
ручательство	თავდება
ручные кандалы	ხელბორკილი

С

самодержавие	თვითმპყრობელობა
самовольная отлучка	თვითნებური წასვლა
самозащита	თავდაცვა
самонадеянность	თვითიმედოვნება
самонадеянный, -ая, -ое	თვითიმედიანი, თვითიმედოვანი, თავისმოიმედე
самообвинение	თვითბრალება
самооборона	თავდაცვა
самоопределение	თვითგამორკვევა
самоотвод	თვითაცილება
самопомощь	თვითშველა, თვითდახმარება
самосохранение	თავდაცვა, თავის გადარჩენა
самосуд	თვითგასამართლება

самоуправление	თვითმმართველობა
самоуправство	თვითნებობა
санкционировать	სანქცირება, სანქციის მიცემა (სანქციას მისცემს)
санкции на арест	დაპატიმრების სანქცია
сберегательная касса	დანაზოგის სალარო
сбор	1. შეკრება; 2. აკრეფა; 3. მოსაკრეფელი
сбор водный	წყალმოსაკრეფელი
сбор гарнцевый	მინდი
сборник законов	კანონთა კრებული
сборщик налогов	გადასახადების ამკრეფი
сбыт заведомо краденых вещей	ნაქურდლად შეცნობილი ნივთების გასაღება
сверхурочная заработная плата	საზეგანაკვეთო ხელფასი
свидетель ложный	ცრუმოწმე
свидетельское показание	მოწმის ჩვენება
свидетельство брачное	ქორწინების მოწმობა
свободное судебское усмотрение	მოსამართლის თავისუფალი მიხედუ- ლობა
свод законов	კანონთა კრებული
сводные дети	გერი შვილები
своевластие	თვითხელმწიფება
своевременная оборона	თანაჟამიერი მოგერიება
сговор	1. პირის შეკვრა, შეთანხმება, მორიგე- ბა; 2. ნიშნობა, დაწინდვა
сдача в наем	გაქირავება
сделка	გარიგება
сделка безвозмездная, безмездная	უსასყიდლო გარიგება
сделка взаимная	ურთიერთგარიგება
сделка в обход закона	გარიგება კანონის გვერდის ავლით
сделка возмездная	სასყიდლიანი გარიგება
сделка двусторонняя	ორმხრივი გარიგება
сделка мировая	მოსარიგებელი გარიგება
сделка на случай смерти	გარიგება სიკვდილის შემთხვევისათვის
сделка посредническая	საშუამავლო გარიგება
сделка прикритая	შენიღბული გარიგება
сделка с отсрочкой платежа	შრომის სანარდო ანაზღაურება
сделка с отсрочкой платежа	ნარდად მუშაობა, ნარდი სამუშაო
сделка с отсрочкой платежа	ოჯახური ქურდობა
сделка с отсрочкой платежа	საოჯახო სამართალი
сделка с отсрочкой платежа	1. სასერვიტუტო სამართალი; 2. სერ- ვიტუტის უფლება
сделка с отсрочкой платежа	ძლიერი სულიერი აღელვება
сильное душевное волнение	

склонение к совершению
 преступления
 скоропортящийся груз
 слабоумие
 следственная власть
 следственная комиссия
 следствие
 следы преступления
 слежка
 слияние юридических лиц
 сложение наказаний
 сложение полномочий
 случай
 случайное стечение обстоятельств
 смертный приговор
 смещение на низшую должность
 смещение с должности
 смиренный дом
 смысл закона
 смягчение наказания
 снижение наказания
 снятие ареста
 снятие допроса
 снятие показания
 событие
 совершение преступления
 совершение сделки
 совершеннолетие
 совинownik
 совинovничество
 совинovность
 совладение
 совместное владение
 совокупность идеальная
 совокупность реальная
 согласительная процедура
 соглашение
 содержание детей
 содержание иска
 содержание под стражей
 сознание в преступлении
 сознание общественной
 опасности

დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად
 მალფუჭებადი ტვირთი
 ჭკუსუსტობა
 საგამოძიებო ხელისუფლება
 გამომძიებელი კომისია
 1. გამოძიება; 2. შედეგი
 დანაშაულის კვალი
 თვალთვალი
 იურიდიულ პირთა შერწყმა
 სასჯელთა შეკამება
 უფლებამოსილებაზე ხელის აღება
 შემთხვევა
 გარემოებათა შემთხვევითი დამთხვევა
 სიკვდილის განაჩენი
 დაბალ თანამდებობაზე ჩამოქვეითება
 თანამდებობიდან გადაყენება
 მორჭულების სახლი
 კანონის აზრი
 სასჯელის შემსუბუქება
 სასჯელის შემცირება
 ყადაღის მოხსნა
 დაკითხვა
 ჩვენების ჩამორთმევა
 ხდომილება
 დანაშაულის ჩადენა
 გარიგების დადება
 სრულწლოვანება, სრულსაკოვნება
 თანაბრადეული
 თანაბრადეულობა
 თანაბრადეულობა
 თანამფლობელობა
 თანამფლობელობა
 იდეალური ერთობლიობა
 რეალური ერთობლიობა
 შეთანხმების პროცედურა
 შეთანხმება
 ბავშვების რჩენა
 სარჩელის შინაარსი
 პატიმრობაში ყოლა, პატიმრობაში
 ყოფნა
 დანაშაულის აღიარება, დანაშაულში
 გამოტყდომა
 საზოგადოებრივი საშიშროების შეგნე-
 ბა.

сокрытие имущества
сокрытие преступления
сонаследник
сообщение о готовящемся
преступлении
сообщник
соответчик
соприсяжник
сопротивление представителю
власти

соразмерность наказания
преступлению
состав преступления
составное преступление
состязание сторон
состязательность
соучастие в преступлении
соучастник
сохранение прав
сохранение следов преступления
сохранная расписка
социальное пособие
союзнический договор
союзное государство

спор
способ доказывания
способствование
средство негодное
срок давности
срочная сделка
срыв переговоров
срыв печати
ссуда
судополучатель
ссылка
ссылочная норма
ссылочнопоселенец
статутное право
степень вины
стечение исков
стечение обстоятельств
стража

страховая сумма

ქონების დამალვა
დანაშაულის დაფარვა
თანამემკვიდრე
შეტყობინება დანაშაულის მზადებისა
შესახებ
1. თანამონაწილე; 2. თანამზრახველი
თანამოპასუხე
თანამოცივარი
წინააღმდეგობის გაწევა, გაძლიანება
ხელისუფლების წარმომადგენლისათვის
სასჯელის თანაზომიერება დანაშაულთან
დანაშაულის შემადგენლობა
შენადგენი დანაშაული
მხარეთა შეჯიბრება
შეჯიბრებითობა
თანამონაწილეობა დანაშაულში
თანამონაწილე
უფლებათა შენარჩუნება
დანაშაულის კვალის დაცვა
შენახვის ხელწერილი
სოციალური შემწეობა
სამოკავშირეო ხელშეკრულება
1. საკავშირო სახელმწიფო; 2. მოკავშირე სახელმწიფო
დავა
მტკიცების ხერხი
ხელის შეწყობა
უვარგისი საშუალება
ხანდაზმულობის ვადა
ვადანი გარიგება
მოლაპარაკების ჩაშლა
ბეჭდის აგლეჯა
1. სესხი; 2. თხოვება
1. მსესხებელი; 2. მთხოვებელი
1. მითითება; 2. გადასახლება
მითითებითი ნორმა
გადასახლებულ-დაბინავებული
სტატუტური სამართალი
ბრალის ხარისხი, ბრალის ოდენობა
სარჩილთა თავმოყრა
გარემოებათა დამთხვევა
1. შეიარაღებული დაცვა; 2. დარაჯებნი
მცველები
ღაზღვევის თანხა

«строгая изоляция	მკაცრი იზოლაცია
«строй	წესწყობილება
«субаренда	ქვეიჯარა
«субнаем	ქვექირავნობა
«суд	1. სასამართლო, სამსჯავრო; 2. გასამართლება
«суд королевской скамьи	სამეფო სასამართლო
«суд Линча	ლინჩის სასამართლო
«суд присяжных	ნაფიც მსაჯულთა სასამართლო
«судебная защита	სასამართლო დაცვა
«судебная сессия	სასამართლო სესია
«судебное заседание	სამსჯავრო სხდომა
«судебное право	სასამართლო სამართალი
«судебное производство	სასამართლო წარმოება
«судебное разбирательство	სასამართლო გარჩევა
«судебное распоряжение	სასამართლოს განკარგულება
«судебное решение	სასამართლოს გადაწყვეტილება
«судебно-медицинская экспертиза	სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა
«судебный исполнитель	სასამართლოს აღმასრულებელი
«судейское убеждение	მოსამართლის რწმენა
«судилище	სამსჯავრო
«судимость	ნასამართლობა
«судимый, -ая, -ое	ნასამართლელი
«судоговорение	სასამართლო სჯა-პაექრობა
«судопроизводство	სამართალწარმოება
«судопроизводство уголовное	სისხლის სამართალწარმოება
«судоустройство	სასამართლოს წყობილება
«супружеская власть	მეუღლის ხელისუფლება, მეუღლის ძალაუფლება
«супружеские отношения	ცოლქმრული ურთიერთობა
«супружество	ცოლქმრობა, მეუღლეობა
«суровое наказание	სასტიკი სასჯელი
«сухопутная война	სახმელეთო ომი
«сухопутное пространство	ხმელეთის სივრცე
«сыск	ძებნა
«сыскная милиция	სამძებრო მილიცია

T

тайнобрачие	ფარული ქორწინება
тайнопись	საიდუმლო დაწერილობა
тайный агент	მსტოვარი
таксация	დანისვრა
тарифовать	ტარირება, ტარის გამოთვლა (ტარას გამოთვლის)

театр войны	ომის ასპარეზი
телесная вещь	სხეულებრივი ნივთი
телесное повреждение	სხეულის დაზარალება
техника безопасности	უსაფრთხოების ტექნიკა
течение давности	ხანდაზმულობის დინება
типовой договор	ტიპობრივი ხელშეკრულება
товарищество на вере	ნდობის ამხანაგობა
товарораспорядительный документ	საქონელგანმკარგულებელი დოკუმენტი, საბუთი
толкование закона	კანონის განმარტება
торговая казнь	საქვეყნოდ დასჯა
торговое заведение	სავაჭრო
торговое право	სავაჭრო სამართალი
третейская запись	სამედიატორო, საშუაკაცო ბარათი
тронная речь	სეფე-სიტყვა
трофеей	დავლა, ნადავლი, ალაფი, ნალაფევი
трофейное имущество	ნადავლი ქონება
трудовая сберегательная касса	შრომითი დანაშოვის სალარო
трудовое право	შრომის სამართალი
трудоспособность	შრომუნარიანობა
трудоустройство	სამუშაოზე მოწყობა
туземец	მკვიდრი, ადგილობრივი მცხოვრებელი
тюремное заключение	საპყრობილეში ტუსადობა
тюрьма	საპყრობილე
тюрьмоведение	საპყრობილეთმცოდნეობა
тяжба	დავა
тяжкое преступление	მძიმე დანაშაული
тяжущиеся стороны	მოდავე მხარეები

У

убедительность доказательств	დამამტკიცებელ საბუთთა დამაჯერებლობა
убийство в состоянии запальчивости и раздражения	მკვლელობა სიფიცხისა და გახელების მდგომარეობაში
убийство из засады	მკვლელობა ჩასაფრებით
убытки, убыток	ზარალი
уведомление	შეტყობინება, უწყება
увечье	დასახინჩრება
уговор	1. შეგონება; 2. პირი, პირობა
угодье	სავარგული
уголовная ответственность	სისხლის პასუხისმგებლობა
уголовное дело	სისხლის სამართლის საქმე

уголовное законодательство	სისხლის კანონმდებლობა
уголовное наказание	სისხლისსამართლებრივი სასჯელი
уголовное право	სისხლის სამართალი
уголовное правонарушение	სისხლის სამართალდარღვევა
уголовное преследование	სისხლისსამართლებრივი დევნა
уголовное судопроизводство	სისხლის სამართალწარმოება
уголовно-наказуемое деяние	სისხლის სამართლით დასჯადი ქმედობა
уголовноправовой,-ая-ое	სისხლისსამართლებრივი, სისხლის სამართლისა
уголовно-процессуальное нарушение	სისხლის სამართლის საპროცესო დარღვევა
уголовно-процессуальный кодекс	სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
уголовный,-ая,-ое	სისხლის, სისხლის სამართლისა, სისხლისსამართლებრივი
уголовный кодекс	სისხლის სამართლის კოდექსი
уголовный розыск	სისხლის სამართლის სამძებრო
уголовный суд	სისხლის სასამართლო
уголовный сыск	სისხლისსამართლებრივი ძებნა
угроза	1. მუქარა, 2. საფრთხე, საშიშროება
угроза войны	ომის საფრთხე
угроза насилем	ძალადობის მუქარა
удавление	მოშობა
удержание	1. მოცილება, მოშორება, გაყვანა;
удостоверение	2. გაძევება
удушение	დაკავება
указание	1. მოწმობა; 2. დამოწმება, დადასტურება
уклад	მოხრილობა, მოშობა, მოგუდვა
уклонение от явки	მითითება
укоренившаяся склонность	წყობა
укрыватель краденого	გამოცხადებისათვის თავის არიდება
укрыватель преступника	ფესვგადგმული მიდრეკილება
укрывательство	ნაქურდალის დამმალივი
улика	დამნაშავის დამფარავი
уличающее обстоятельство	დაფარვა
уличение	სამხილი
уловка	მამხილებელი გარემოება
уложение	მხილება
уложение о наказаниях	ხერხი, ხრიკი, ფანდი
ультимативное требование	სჯულდება
умысел	სასჯელთა სჯულდება
умысел на убийство	ულტიმატური მოთხოვნა
	განზრახვა
	მოკვლის განზრახვა

умышленная вина
 умышленное преступление
 унижительное обхождение
 уполномоченный, -ая, -ое
 уполномочивающая норма
 уполномочить

 управа
 управа: искать управы

 управление

 упущение

 упущенная выгода
 уравнивательные пошлины
 урегулирование
 усеченный состав преступления
 усадьба
 условно-досрочное освобождение
 условное осуждение
 усмотрение
 усмотрение судебное
 установительный иск
 установление личности
 преступника
 установление порядка
 установление правила
 установление судебное
 устность судопроизводства
 устранение уроды
 устройство
 усыновление
 усыновленные дети
 утайка
 утайка найденного
 утверждение в правах
 учет векселя
 учет военный
 учтенный вексель
 ущерб

განზრახი ბრალი
 განზრახი ოანაშაული
 დამამცირებელი მოპყრობა
 რწმუნებული
 უფლებააღმჭურველი ნორმა
 რწმუნებით, უფლებამოსილებით
 აღჭურვა (აღჭურავს)
 1. გამგეობა; 2. სამართალი:
 სამართალი: სამართლის ძიება
 (სამართალს ეძიებს)
 1. მმართველობა, მართვა, მართვა-
 გამგეობა; 2. სამმართველო
 1. უმოქმედობა; 2. მიუხედველობა,
 ხელიდან გაშვება
 ანაცოენი სარგებლობა
 გამათანაბრებელი ბაჟები
 მოწესრიგება
 დანაშაულის შეკვეცილი შემადგენლობა
 კარმიდამო
 ვადამდე პირობითი განთავისუფლება
 პირობითი მსჯავრი
 მიხედულობა
 მოსამართლის მიხედულობა.
 დადგენითი სარჩელი
 დამნაშავის პიროვნების დადგენა

 წესრიგის დამყარება
 წესის შემოღება
 სასამართლო დაწესებულება
 სამართალწარმოების ზეპირსიტყვაობა
 საფრთხის აცილება
 1. წყობილება; 2. მოწყობა, გამართვა
 შვილება, შვილად აყვანა
 ნაშვილები ბავშვები
 1. ოამალვა; 2. ფარულად მითვისება
 ნაპოვნის ფარულად მითვისება
 უფლებებში დამტკიცება
 თამასუქის განაღდება
 სამხეარო აღრიცხვა
 განაღებული თამასუქი
 ზიანი

Ф

фальшивая монета
 фальшивка

ყალბი მონეტა
 ნაყალბევი

фальшивомонетничество
фиктивная сделка
фикция юридическая
финансовое право
фиск
фискальный иммунитет
фрахтовая сделка
фрахтовщик

ყალბი ფულის გაკეთება
ფიქციური გარიგება
იურიდიული ფიქცია
საფინანსო სამართალი
ფისკი, საზინა
ფისკური იმუნიტეტი, შეუვალობა
საფრახოტო გარიგება
დამფრახოტველი

X

халатность преступная
хищение
хищнический убой скота
ходатай
хозрасчетное предприятие
хозяйственный расчет

დანაშაულებრივი უგულისყურობა
დატაცება
საქონლის დაუზოგავი დაკვლა
შუამდგომელი
სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმო
სამეურნეო ანგარიში

Ц

цедент
целевое имущество
цель присвоения
ценная бумага
ценностное содержание
денежного обязательства
центерпартия
цессионарий
цессия
цивилист
цивильное право

ცედენტი
მიზნობრივი ქონება
მითვისების მიზანი
ფასიანი ქაღალდი
ფულადი ვალდებულების
ფასეულობითი შინაარსი
ცენტერპარტია
ცესიონარი
ცესია
ცივილისტი
ცივილური სამართალი

Ч

чартер
чартерпартия
чартировщик
частичная нетрудоспособность
частичное отбытие наказания
частная жалоба
чекодатель
чекодержатель
чековый договор
черта городская
черта пограничная
честь

ჩარტერი
ჩარტერპარტია
მეჩარტერე
ნაწილობრივი შრომაუუნარობა
სასჯელის ნაწილობრივი მოხდა
კერძო საჩივარი
ჩეკის გამცემი
ჩეკის ხელთმქონე
საჩეკო ხელშეკრულება
ქალაქის ფარგალი
სასაზღვრო საზი
პატივი



чистосердечное раскаяние
 членовредительское наказание
 членовредительство
 чужеземец

გულწრფელი მონანიება
 ასოთმიმღები, გამახეიბრებელი სასჯელი
 ასოთმიღება, გახეიბრება
 უცხოელი, გადამთიელი

Ш

шайка
 шар избирательный
 шнуровая книга
 земельная
 шпионаж
 штраф
 штрафная неустойка

შაიკა
 საარჩევნო კენჭი
 ზონარგაყრილი მიწის დავთარი
 შპიონაჟი, ჯაშუშობა
 ჯარიმა
 საჯარიმო პირგასამტეხლო

Э

эвакуация
 эвекция
 экстериториальность
 экстренное заседание
 экцепция
 эмиссионное право
 эмиссионный банк

ევაკუაცია, განიზენა
 ევექცია
 ექსტერიტორიულობა, ექსტრატერი-
 ტორიულობა
 სასწრაფო სხდომა
 ექსცეფცია
 ემისიის უფლება
 საემისიო ბანკი

Ю

юридический,-ая,-ое
 юридическое лицо
 юрисдикция
 юстиция

იურიდიული
 იურიდიული პირი
 იურისდიქცია
 იუსტიცია

Я

явочный порядок

გამოცხადების წესი



ქურნალის ამ ნომერში ქვეყნდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „ანტისაზოგადოებრივი პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“. თუ რამდენად დროულია ამ ღონისძიების გატარება მტკიცდება წინამდებარე ნარკვევითაც, რომელიც ნამდვილ ამბავს წარმოადგენს. მუქთახორობას, უსაქმურობას, ლოთობას საბოლოოდ სავალალო შედეგები მოსდევს.

1

მ ხედარი თვლემდა. აღვირბიშვებული ცხენი რიტმულ ნაბიჯებით ეხმაურებოდა ქალაში მოჩუხჩუხე წყლის მელოდისა და ლევანს ნელ-ნელა არწევდა უნაგირში.

ცხენსა ნაბიჯი ააჩქარა, მღინარის მომატებული ხმაურისა და მონავარდე ნიავთან ფეხის შეწყობას შეეცა. ინსტიქტურად. ის იყო ხიფს მიაღვა. ათულოდნელად შემფოთდა, თავი ასწია, ყურები დაცქვია და შეაცახცახა. გონიერმა პიოტუქვმა თითქოს ამ არემარეში რაღაც უცხოს შემოჭრა იგრძნო. შეფოთება მთელუარე მხედარსაც გადაედო, გამოფხზულდა. ხმაურზე უკან მიიხედა და მიაყურადა. ღამის წყველიაღში ბუჩქებიდან ძლივს შესამჩნევმა ლანდაა გადაიბრინა. ლევანმა მანინალურად აღკოი მოზიდა და ოღნავ შეპკრთალი ხმით გასძახა:

— ჰეი, რომელი ხარ?

პასუხარ ნაცვლად თოფი გავარდა. დაფეთებული ცხენი აღგალს მოწყუდა და გაოგნებულ პატრონი თან გაიტაცა.

2

გ ვიანი ღამე იყო, ჯაგრამ რაიონის პროკურორის კაბინეტში ჯერ კიდევ ჩანდა სინათლე. ახალგაზრდა გამოძიებელი ნიკო მურ-

ვანიძე ერთ-ერთი სერიოზული საქმის გამოძიების შედეგებს აცნობდა პროკურორს.

კაბეზე აჩქარებული ნაბიჯის ხმა მოისმა. წუთიც და, ოთახში აქოშინებული ლევანი შემოვარდა. პროკურატურის მუშაკები ცენტრთან ახლოს მდებარე სოფლის კოლმეურნეობისა თემჯდომარეს ლევან ხიდაშელს იცნობდნენ როგორც დინჯსა და აუჩქარებელს. მით უფრო უცნაური ეჩვენათ აღუღებელი ლევანის ოთახში შემოვარდნა და ნერვიული ბორიალი.

ლევანმა პროკურორის მაგიდიდან პაპიროსი აიღო. მოცახცახე ხელით ამაოდ შეეცადა მოკიდებას. გამოძიებელი მიეხზარა, ასანთი გაუქრა. მოსულმა კვალი ღრმად შეისუნთქა. ცოტა დამშვიდდა, აზრები როგორც იქნა დააწყო და გადაშალა...

— მაინც ვინ უნდა ყოფილიყო ლევან, ვისზე გაქვს ეჭვი? — შეეკითხა გამოძიებელი.

— როგორ ვთქვა, ვინმეზე გადაწყვეტილი თქმა ძნელია. შემთხვევის შემდეგ ცხენს რომ მოვაქენებდი და სროლის განმეორებას ველოდი, საკვირველია, მაგრამ იმაზე ვფიქრობდი, ჩემზე ხელი ვის უნდა აღემართა. იმ რუმენაძე მივედი, რომ ჩემი მეზობელი ლუკა სიმონიშვილი უნდა ყოფილიყო. ნიკო, ალბად გასსოვს. ჩვენი ყოფილი თანაკლასელი.

მე და ლუკა სიმონიშვილი ჯარში ერთად მოვხვდით. წელიწად-ნახევარი ერთად ვიმსახურეთ. ის მომარაგების ხაზით მუშაობდა, მე პოლიტხელად. ერთხელ ჯარისკაცებმა შემომჩვილეს, რომ თამბაქოს მიღებაზე მათთვის ხელი მოუწერიანებია, სინამდვილეში არაფერი არ მიუცია. გამოვიძახე, ცალკე ვესაუბრე, დავარიგე. რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ საჩივრით მომმართეს.



იძულებული გავხდი ზომები მიმედო. ლუკა და-
ისაჯა. სოფელში რომ დაბრუნდა, მე უკვე კოლ-
მეურნეობის თავმჯდომარედ ვმუშაობდი. აქეთ-
იქით ხეტიალი დაიწყო, სმას უხშირა, საექვო
პირებთან მეგობრობდა. ერთხანს, როგორც ახ-
ლად ჩამოსულს არაფერს ვეუბნებოდი, მაგრამ
წლები გავიდა, ის კი კვლავ უსაქმურობასა და
უახრო დროსტარებას განაგრძობდა. სოფელი
ალაპარაკდა. რამდენჯერმე დავიბარე. ახლოც
არ გამეკარა. მე თვითონ მივაკითხე ბინაში. ნას-
ვამი და თვალეზაწილებული შემხვდა. როცა
კოლმეურნეობაში სამუშაოდ გამოსვლა მოვთ-
ხოვე, მუქარით რაღაც ჩაბურტყუნა და კარე-
ბი ცხვირწინ მომიჯახუნა. ამის შემდეგ, რო-
გორც მესმოდა, ხშირად მემუქრებოდა. თქვენ
თვითონ იფიქრეთ, განა საექვო არ არის?

— კარგი, ლევან, — დიმილით მიმართა
პროკურორმა კოლმეურნეობის თავმჯდომა-
რეს, — ბოროტმოქმედს ვიპოვნით და პასუხს
მოვთხოვთ. შენ კი, ნიკო, — მიუბრუნდა გამომ-
ძიებელს, — ამ საქმეს მოუარე, დაუკავშირდი მი-
ლიციას და შემთხვევის ადგილზე ესლავე გემ-
გზავრეთ. ძალი უთუოდ წაიყვანეთ. სიმონაშ-
ვილის მოსაყვანად ვინმეს მე თვითონ გავგზავ-
ნი.

3

6 იკომ საგამომძიებლო ჩემოდანში ის იყო
საჭირო ხელსაწყოები შეამოწმა, რომ ქუ-
ჩიდან შემოკრილმა საყვირმა ობერატიული მან-
ქანის მოსვლა ამცნო.

ავტომანქანაში ისხდნენ ოპერარწმუნებული
ლეიტენანტი რეზო მარგივეი, რიგითი მილიცი-
ელი და სერჟანტი თავისი სამეძებრო ძალით.
მანქანამ ადგილიდანე დიდი სისწრაფე აი-
ლო, რაიონული ცენტრის მიწყნარებული ქუჩე-
ბი ხმაურით გაიარა და ათიოდე წუთის შემდეგ
შემთხვევას ადგილზე გაჩნდა.

გამომძიებელი დათვალიერებას შეუდგა.
ჯიბის მამუქის მკრთალ სინათლეზე ახლად-
გათელილი ბალახი გამოჩნდა, მაგრამ ისე ხში-
რი და მაღალი იყო, რომ არც ნაფხურები ეტ-
კობოდა და იმედიაინ არც გასროლის ნიშნების
ძებნა ჩანდა. ნიკომ ფორტაპარატი მაინც მოი-
მარჯვა და ადგილი გადაიღო. ახლაგაზრდა გამო-
ძიებელი კარგა ხანს აკვირდებოდა გადათქერი-
ლი და გათელილი ბალახების მიმართულებას,
შემდეგ წელში გასწორდა და ისე წყნარად მი-

მართა ამხანაგებს, გეგონებოდათ თავისთავს
ელაპარაკებო.

— თავდამსხმელი ამ ადგილზე წოლილა, სრო-
ლის შემდეგ კი თავი ჭალისათვის შეუფარება.
ახლა ერთადერთი იმედი ძალია.

სერჟანტი მიხვდა, რომ უკანასკნელი სიტ-
ყევი მას ესებოდა.

— ბიგ, წინ!

აქამდე ერთ ადგილზე მოუთმენლად მცმუ-
კავმა ძალიმა თოკი დაჭიმა, ნიდაგამდე თავ-
დაწეულმა ყნოსვა-ყნოსვით ბუჩქნარები მი-
მოიბინა და ტყეში შეიჭრა.

ბიგის უკან ძუნძულით მიმყოლი სერჟანტის
ხელში მამუქი მაყვლის ბარდში შემალულ ცი-
ცინათელასავით ერთხანს კიაფობდა, სანამ ჩა-
ბინდულ მუხნარში სრულიად არ გაუჩინარდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ სერჟანტიც ხელცა-
რიელი დაბრუნდა — ძალი კვალს მდინარე-
მდე მიჰყოლოდა და იქ დაეკარგა. ამან სულ
წაუხდინა ხასიათი ჯგუფს.

— მაშ, ასე, — წყენით ჩაილაპარაკა გამომ-
ძიებელმა. სხვა გზა არაა, კვალის ძებნა ხვალ
დილით ადრე უნდა განვაგრძოთ.

მარგივეი უსიტყვოდ დაეთანხმა გამომძიე-
ბელს.

შემთხვევის ადგილის დასაცავად მილიციელი
დატოვეს და უკან დაბრუნდნენ...

ნიკო სახლში რომ მივიდა, ოჯახის წევრები
უკვე ღრმა ძილში იყვნენ. დაძინებას შეეცადა,
ვერ იქნა და ვერ მოახერხა, ბორგავდა. უნებუ-
რად ფიქრები მომხდარ ამბავს დაუტრიალდნენ.

ვინ შეეცდებოდა ამ უკადრისი საქმის ჩადე-
ნას? ბოროტმოქმედი თვით სოფელშივე უნდა
ეძებნა, განსაკუთრებით იმათში, ვინც შრომას
გაურბოდა და გამდიდრებას თაღლითური
გზით ცდილობდა. ლუკა სიმონიშვილი? ნიკო
კარგად იცნობდა ყოფილ თანაკლასელს. ბუნე-
ბით არ იყო ბოროტი, თუმცა მუდამ პირველო-
ბას იჩემებდა. ჯარიდანაც თავისთავზე დიდი წარ-
მოდგენით დაბრუნდა. სოფლის თავაკობას შე-
ეცადა. რომ დარწმუნდა ლულოს ვერ გაიტანდა,
სოფელს ზურგი შეაქცია, თანაც საექვო პირებს
მიეკედლა. ასეთი კაცისაგან ცუდი საქმე მოსა-
ლოდნელია. მაგრამ არც თუ მაინც და მაინც
გამბედავსა და ყოყლოჩინას ასე შორს წასვლა
შეეძლო კი? პასუხის გაცემა ძნელი ეჩვენა. გო-
ნების თვალთ ახლა სხვა საექვო პირებს გა-
დახვდა. ასეთები სოფელში ცოტა იყო და
ყველა კარგად ჰყავდა შესწავლილი. სახეები სა-
ხეებს ცვლიდა. თვითეულს ყოველმხრივ წო-
ნიდა, გამოსავალს კი ვერ პოულობდა. ჭალას
საიდუმლოს გაცემა არ სურდა.

ფიქრებმა მოქანცა, როგორც იქნა ჩათვლიმა

და.. სახლს მარგიევი მიადგა მანქანით. მხოლოდ ახლა მიხვდა, თუ რა დიდი დრო გასულიყო. სწრაფად ჩაიცვა და ოპერარწმუნებულთან ერთად ნაცნობ ადგილისაკენ გაემართა.

ჭალა იღვიძებდა, შარიშურობდა. მდინარე ზათქითა და ზრიალით ეგებებოდა მზის პირველ სხივებს, რომლებსაც ქედები ისე გაეწითლებინათ, თითქოს შავი ნაბდის ვებერთელა ქულებს ცეცხლი წაუკიდესო. თავდასხმის შემდეგ პირველი დღე გათენდა. ამ დღეს სწორ გზაზე უნდა დაეყენებინა გამოძიებელი.

პირველ ყოვლისა ნიკო მდინარისაკენ მიმავალ კვალს გაყვა, რომელიც ტყიდან პირდაპირ რიყისაკენ უხვევდა, შემდეგ კი წყალში იკარგებოდა. დიდხანს იტრიალა შემთხვევის ადგილზე.

— როგორ შეიძლება, რაიმე ხელშეასხები ნიშანი არ დარჩენილიყო? — ფიქრობდა გამოძიებელი და ნიადავს უიმედოდ დასცქეროდა.

მისი ყურადღება მტვერში ამოგანგლულმა ქაღალდის ნაგლეჯმა მიიპყრო. დააკვირდა.

— ნუთუ! — ხმამაღლა წამოიძახა და ვაკეითლებულ ნაკუწს ხელი სწრაფად დაატანა. გაშალა. მასზე რაღაც სიტყვები იყო აღბეჭდილი.

— ნიკო, ეს თუ სანადირო თოფიდან არის გასროლილი, სადმე სხვა ნაგლეჯებიც ეყრება, აბა, ასე პატარას მასრაში ვინ ჩადებდა—უთხრა მარგიევმა, რომელიც გამოძიებლის შეყვირებაზე მასთან მისულიყო და ხელისგულზე გაშლილ ქაღალდის გვერდებგარუჯულ ნაგლეჯს დაკვირვებით დასცქეროდა.

ორივე ძებნას შეუდგა.

— ტყუილად არ უთქვამთ, ეძებე და იპოვნით, — სიხარულით გასძახა ოპერარწმუნებულმა ნიკოს და ხელში ქაღალდის მეორე ნაკუწი შეათამაშა.

ბოლოს და ბოლოს მტვერში მეწისქვილესავით გათეთრებულგებმა დათვალიერება დაამთავრეს. აღმოჩენილი საგულდაგულოდ პაპიროსის კოლოფში შეინახეს და უკან დაბრუნდნენ.


4

კარგად იყო შედამებული. სოფელი ძილისთვის ემზადებოდა. დამის სიბნელით კიდევ უფრო ჩამუქებული ღრუბლები ცაზე ტაბათით მიცურავდნენ. ფერმკრთალი მთვარე ზოგჯერ იძალეზდა და გარღვეული კალთიდან სოფელსა და მის ორღობეში მიმავალ მგზავრს თითქოს გულმტკივნეულად გადმოსხდევდა. მაშინ გვიანი მგზავრის დაგრძელებული ჩრდილიც ქარიშხალში მოყოლილი კვიპაროსივით დაიწყებდა რხევას, ორღო-

ბის ხან ერთ მხარეს მიაწყდებოდა, ხან მეორეს, მცირე ხნის შემდეგ კი მთვარესთან ერთად ისიც უჩინარდებოდა. მგზავრი დაუმორჩილებელ ფეხებს ძლივს მიათრევდა და წარამარა იქცეოდა. თოფს, წაქცევისას რომ ძირს უვარდებოდა, ურჩი ხელეებით ვაიწვავლებით იღებდა, ისევე მხარზე იკიდებდა და მინც წინ მიიწევდა. როგორც იქნა ჭიშკარს მიაგნო. ეზოს კარის გაღება აღარ დასჭირდა. იქ ცოლი იდგა.

— ნეტა როდის მოიშლი სმას, მწყურების მაგივრად ისევ ღვინის ჭიქებზე ინადირე? — წყენით მიმართა ცოლმა.

მთვარალმა პასუხი არ გასცა. კიბისაკენ ჯიუტად გაიწია, მოაჯირს მოებლაუჭა და აივანზე აბობლდა. ოთახში შევიდა, კიდევ ერთხელ და-



ლუკამ ცარიელი სუფრა რომ შენიშნა, ცოლს დაუღრიალა, — ვახშამი! ღვინო მოიტა!

ბარბაცდა, მაგრამ მაგიდაზე ორივე ხელის დაყრდნობა მოასწრო. ლუკამ ამღვრეული თვალებით ოთახი მოათვალიერა, ცარიელი სუფრა რომ შენიშნა, ცოლს დაუღრიალა:

— ვახშამი! ღვინო მოიტა!

ცოლმა დაყოლა არჩია.


— ჰეი, გიო! — გასძახა ლუკამ კარის მეზობელს გიო წურიაშვილს.

პასუხი რომ ვერ მიიღო, კიდევ უფრო ხმამაღლა დაიყვირა:

— სადა ხარ, სად დამეკარგე!

— ჰო, მოვდივარ! — მოისმა პასუხი მეზობელი ოთახიდან.

ლუკა სამზარეულოში გაბარბაცდა, ონკანი



მოუშვა, ჩქევით წამოსულ წყალს თავი შეუშვირა, იამა, ცოტათი გამოფხიზლდა კიდევ. ოთახში დაბრუნდა. მცირე ხნის შემდეგ კარებში მეზობელმა შემოყო თავი. ჯავარა შავი თმები თავზე ნემსებზეთი ჰქონდა დაყრილი. ვიწრო და ჩანქეილი შუბლის ქვემოთ ნახშირის ერთიანი ხაზით გასდევდა სქელი, გაბურძხნული წარბები და ღრმად ჩამჯდარ ხორბლისფერ წვრილ თვალებს ფაფარივით გადმოფენოდა.

გიო თამამი ნაბიჯით მიუახლოვდა ლუკას, ბეჭებზე ხელი დაარტყა და უთხრა:

— რა იყო, ბიჭო, რა გარღიანდეს, — შემდეგ თოფს დახედა, რომელიც ლუკას აქამდე ხელიდან არ გაეშვა, — ლეკიანობა ხომ არ არის, თოფი რომ მოგიმარჯვებია?

— დღევანდელი დღე უიღბლო იყო, — თქვა ისე, რომ გიოს ნათქვამისათვის ყურადღება აღარ მიუქცევია, თანაც ლულას აღერსით ხელი გადაუსვა.

დიასახლისმა მაგიდა გააწყო.

ლუკა აკანკალებული ხელით დოქიდან ღვინის ჭიქების შევსებას შეუდგა. ქალი ხელში წვდა, რომ ქათქათა სუფრა დალაქავებისაგან გადაერჩინა.

— არა, მე! — გაბრაზებით თქვა და საეხე ჭიქაში ღვინის დასხმა ჯიუტად განაგრძო. შემდეგ ჭიქა ხუთივე თითით ჩაბლუქა, ასწია და სადღეგრძელო დააყოლა, — იმ მონადირეს გაუმარჯოს, რომელიც მიზანს არ ააცდენს. აბა, გიო, დაცლაზეა.

— ჩემო ლუკა, ვისაც მოუტლავს ის მოკლავსო, — გიომ ჭიქა შეათამაშა, გამოცალა და გადმოატრიალა, — ასე მტერი დაგეცალოს.

— უსაქმურობა არ გარგებთ, — წყენით თქვა დიასახლისმა, რომელიც მოწმესავით იჯდა და ნაღვლიანად დაცქეროდა სუფრას, — აგორებულნი ქვა ხავსს ვერ მოიკიდებს, აქეთ-იქით ხეტიალს თავი ანებეთ, ხალხს მიბაძეთ და საქმეს ხელი მოკიდეთ.

— აბა, ვე არი. ვისთვის ვიმუშაო? კისერზე ვიღაცა ლევანს თავმჯდომარე დავისვა?

— ვაი დელასა, ბედაურები დახზოცნენ, ვირებს დარჩათ მოედანიო, ჩვენი სოფლის საქმე სწორედ ეგრეთ! — ჩაუბრუნა გიომ.

— სოფელი კმაყოფილია, თქვენ რაღა გახდით. თავმჯდომარე კი არა, ყველა ცერად გიყურებთ. ა ს ნუ იხამ და ავისაც ნუ გეშინია.

— ჩვენ თავს თვითონ მოგუვლით, ვიყიდი, და გავყიდი, რა იმათი საქმეა. თავი დაგვანებონ თორემ... — ბოროტად თქვა გიომ და ლუკას მიუბრუნდა — ლუკა, ეგრე არ არის?

— მთელი სოფელი თქვენზე ყაყანებს, გეყოფათ. ავად სახელის წახდენას თავის გატეხა

სკობია, თუ არა ლუკას თავი დასაქვებ, დროს ოჯახს მიხედოს.

— ასი ურტყი დავითასა, მაინც იტყვის თავი-სასა! — დაიღრიალა ლუკამ, — რას ამბობ დედაცაო, კისერზე სხვა მეჯდეს, მტერი სახლში არა მყოლია? თავი დამანებე, თორემ შენც სოფელს მიგაყოლებ და ისე გადავწვამ... მაშა უტეხონდათ, ერთბაშად ბიჭობაში არ მავობონ.

— დაგიდგეს თვალეზი, — გაკაპასდა ცოლი, — შენ ვერც მტერს ცნობ და ვერც მოყვარეს, ნეტა შნო მაინც გქონდეს. ყებდო, აკი სოფელიც გადაიკიდე.

— შენ ყანწი მოიბა, სხვას არ გეითხავენ.

— დალიე, დალიე, ეგებ შიგ ჩაიღრჩო.

ლუკა ამან გადარია. ღვინისაგან გაგიჟებულმა თოფისაკენ გაიწია. გიო წინ გადაუდგა.

— ლუკა, რა მოგივიდა ბიჭო!?

შეშინსაგან გაფითრებულმა ქალმა კი დრო იხელთა და ოთახიდან თოფი გაატანა.

აქრემლებული ქალი უკან რომ დაბრუნდა, ლუკა უკვე ლოვინზე ხვრიანავდა.

გიომ დიასახლისს ღიმილით უთხრა — არაფერია, დილაზე გაიღვიძებს და უკვე დამშვიდებული იქნება.

5

გ ამომძიებელი ის იყო კაბინეტში შევიდა, რომ მილიციის მუშაკებმა მასთან ლუკა სიმონიშვილი მოიყვანეს.

— რაშა საქმე, რა უფლებით დამაკავეთ! — იკითხა ლუკამ და თავისი ჭროლა თვალეზი ნიკოს მუქარითა და გამომწვევად შეანათა.

გამომძიებელს არ ესიამოვნა გამომწვევი მხერა. სკამზე მიუთითა. ლუკა რომ დაჯდა, მკაცრად მიმართა:

— მიპასუხეთ, გუშინ სად იყავით?

— მთელი დღე ვნადირობდი.

— სადამოს?

— ამხანაგებს შევხვდი და წვაიქეიფე.

— სახლში როდის დაბრუნდი?

— კარგად არ მახსოვს, მიფრალი ვიყავი.

ალბათ ცხრაზე მეტი არ იქნებოდა.

— სახლში ვინ დაგხვდა?

— ცოლი, შემდეგ მეზობელიც შემოვიდა. ღილაქს თითი დააჭირა. კაბინეტში მილიციის მუშაკები შემოვიდნენ.

— გაიყვანეთ, დერეფანში დამელოდოს.

ლუკა რომ გაიყვანეს ყურმილი აიღო და მილიციაში დარეკა.

ოპერაწმუნებულ მარგივეს მდგომარეობა გააცნო. სთხოვა სოფელში გამგზავრებულიყო.

სათნახვერის შემდეგ მარგივეი უკვე გამომძიებლის კაბინეტში იყო დაკითხვის ოქმის შევსებული ორი ბლანკით.

ნიკომ დაკვირვებით წაიკითხა, თანაც ადგილადგილ წითელი ფანქრით ხაზები გაავლო.

ლუკა, რომელიც ამდენ ხანს დერეფანში იჯდა, ისევ გამომძიებელთან შეიყვანეს.

— ხომ ხედავ, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს, შენი მეზობელი და ერთგული მეგობარი ამბობს, რომ სახლში შუალამეს დაბრუნდი. რას იტყვი? მეტი სათქმელი აღარაფერი გაქვს? — კითხვა გამომძიებელმა და გაბრაზებით დაუმატა, — ვიცი რა კაცი ხარ, უქნარა, ლოთი, მაგრამ თუ ისე დაეცემოდი, რომ კაცს მოსაკლავად გაიმეტებდი, არ შეგონა.

— ნიკო, რას ამბობ, სამაგისოდ კაცს როგორ გავიმეტებ! — გაოგნებულმა ისე ამოიძახა, თითქოს სუნთქვა შეუწყდაო.

— ვნახოთ! ჯერჯერობით კი უნდა დაგაკავოთ! — ოღნავ რბილად თქვა ნიკომ და ადგა, რითაც ლუკას ანიშნა რომ ამჯერად დაკითხვა დამთავრებული იყო.

6

ღარო დიდხანს დაწრიალებდა ოთახში. მისი გული რაღაც უსიამოვნო წინათგრძნობას შეეპყრო. სოფლის მასწავლებელს ქმრის საქმე აღელვებდა, თანაც სკოლაში ხომ მაინც უნდა წასულიყო. ლუკა დილით ადრე წაიყვანეს და ჯერ კიდევ არ დაბრუნებულყო. „ნეტა რა ხდება ჩემს თავს“, ფიქრობდა ქალი და ამ გაუბრკვეველი მდგომარეობით იტანჯებოდა. საათს დახედა, რვეულებს სწრაფად წამოავლო ხელი და გარეთ აჩქარებით გამოვიდა. შენიშნა, გამომძიებელი ნიკო მურვანიძე და მილიციის მუშაკი სახლს უახლოვდებოდნენ. გულზე ისევ არასასიამოვნო და უმოწყალო ფიქრები შემოაფრინდა. ერთხანს ადგილზე გახედა, შემდეგ თავი ენერგიულად გადააქნია და დაუპატიჟებელ სტუმრებს გაბედული ნაბიჯით შეეგება.

— ნიკო, რა მოხდა, ჩვენს თავს რა ამბავია!

— ძალიან მწყინს პატივცემულო დარო, რომ უსიამოვნო ამბით ჩამოვედით, — უხერხულად უბასუხა გამომძიებელმა მასწავლებელ ქალს, — ბინა უნდა გავჩხრიკოთ.

— ბინა უნდა გავჩხრიკოთ! — კი, არ იკითხა, წამოიყვრა ქალმა. აღელვებულმა სხვა ველარაფერი მოახერხა და ცრემლები წასკდა.


სახლის ყოველი კუნძული დაათვალიერეს,

საგულდაგულად მოჩხრიკეს სარდაფიდან და დენიმი დატენილი მასრა ნახეს, მაგრამ თოფი არ ჩანდა. ნიკო დაფიქრდა. მასრები მონადირის ოჯახში რომ ნახა, ბუნებრივია, თოფი კი ალბად კვალის დასაფარავად ვადამალესო. მეზობლის ბინას შეხედა ეჭვით, მცირე ხანს იყოყმანა, ბოლოს ლუკას მეზობლის ოთახის კართან მივიდა და დააკაკუნა. გიომ კარები გააღო, თვალები მოაფშვინტა და ნამძინარევი ხმით უთხრა: — მობრძანდით.

ნიკომ ოთახზე მიუთითა.

— უნდა გავჩხრიკოთ.

— თქვენი ნებაა. — უბასუხა მცირე ხნის ყოყმანის შემდეგ.




ბუხარში სანადირო თოფი გამოჩნდა

გამომძიებელმა ოთახში სანიშნო რომ ვერაფერი ნახა, აივანზე გამოვიდა და სარდაფისკენ დაემშა. შესასვლელ კარებთან იძენი ნავავი და ნაყარ-ნუყარი იყო მიყრილი, რომ კაცი იფიქრებდა, წლების მანძილზე აქ ადამიანი შევილს ფეხი არ დაუდგამსო.

კარები ადვილად გაიღო. გამომძიებელმა სიბნელეს შეუჩვენევი თვალით ჯერ ვერაფერი დაინახა, მაგრამ თანდათან შეეჩვია და სარდაფი კარგად გაარჩია. ბუხარში სანადირო თოფის ბრტყვილა ლულები გამოჩნდა.

— ვისია ეს თოფი?

— თოფი? — ყალბი შეშფოთებით იკითხა გიომ, ოჰ, თოფს თუ ეძებდი, ვერ მითხარი, მე თვითონ გეტყვოდი. — ლუკას თოფია.



— აქ საიდან მოხვდა?

— ლუკას ცოლმა ჩამოიტანა, — უპასუხა გიომ, — წუხელ, შუალამისას ლუკა მთვრალი მოვიდა სახლში, ყვირილზე შევედი, თოფს ხელიდან არ უშვებდა, იშუქებოდა, ცოლი შემინდა, მე რომ ლუკას ვაკაებდი იხელთა დრო და თოფი ჩემს სარდაფში გადამალა.

ნიკო სარდაფიდან რომ გამოვიდა, აივანთან ატუხულსა და ატირებულ ქალს კითხა:

— ეს თოფი ლუკასია?

— კი, ლუკასია, მერე...

— მეზობლის სარდაფში რა უნდოდა?

— მე გადავმალე, მთვრალი იყო და ჩხუბობდა, უნებლიე ხიფათის შემეშინდა.

გამომძიებელი ეზოს გასასვლელისკენ გაემართა, თან საგულდაგულოდ შეფუთული თოფი და მასრები წამოიღო, რომ შემდეგში შესამოწმებლად კრიმინალისტიკის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში გადაეზავნა.

ექვსის დამადასტურებელი ყველა ძაფები ლუკა სიმონიშვილისაკენ მიიმართებოდა და ნიკოს მაინც რაღაცა აწუხებდა, რაღაცა ტანჯავდა და ეს „რაღაცა“ ისე მაგრად ჩამჯდარიყო თავში, რომ წარმართულ ძიებას ინსტინქტურად ექვს ქვეშ აყენებდა.

— სწორ გზას ხომ არ ავიცილი. — წამით გულში გაიფიქრა, მაგრამ საქმეს რომ გადახედა, თავი გაიქნია და მოზომილი ნაბიჯით ეზოდან გავიდა.

7

6 იკო დიდი პატივისცემით ეპყრობოდა კრიმინალისტიკას, სჯეროდა ამ მეცნიერების. ხშირად საქმის გახსნის ყოველგვარ იმედლაკარგულს მხსნელად კრიმინალისტიკა გამოსჩენია. გამომძიებელმა ამჯერადაც თბილისელ ექსპერტებს მიაკითხა.

ლაბორატორიაში ჩამოტანილი ნივთმტკიცებანი დაკვირვებით შესწავლეს და შეამოწმეს. მასრებზე და თოფზე თითების ანაბეჭდების კვალი არ დადგინდა, თუმცა ექვს არ იწვევდა რომ, თოფიდან სროლა იყო წარმოებული.

ექსპერტმა განსაკუთრებული ყურადღება შემთხვევის ადგილზე ნაპოვნ გარუჯული ქაღალდის ნაგლეჯებს მიაკეთა. რვეულის ფურცლის ნახევს წარმოადგენდა ორივე და ტიხად იყო გამოყენებული. ფურცელზე ფანქრით ნაწერის კვალი ემჩნეოდა. ექსპერტმა ხანგრძლივი და დამქანცველი მუშაობის შემდეგ, ისიც სხვადასხვა შუქფილტრების საშუალებით, როგორც იქნა ამოიკითხა რაღაც უაზრო ჩანაწერი. პირველ ნაგლეჯზე, პირველ სტრიქონში ეწერა: „არც კაცი ვარ...“ მეორე სტრიქონში იყო — „იყოს სო-

ფე...“ მეორეზე აღადგინა: „გა რომ ცო...“ და „ლში და სოფ...“ სიმონიშვილის ბინიდან ამოდებული ვაზნებიც რვეულის ფურცლის ნახევებით იყო გატენილი. ერთერთ მათგანში კარგად შენახულ ნაგლეჯზე ლამაზი მოწაფური ხელით ნაწერი ასოები ადვილად იკითხებოდა: „...ცხალი მკვდარსა ემსგავსოს“ და „ლისთვის არა იზრუნვოს“. კრიმინალისტი მიხვდა. რომ ქაღალდის სამივე ნახევი ერთ- „დღელა-შობილი“ იყო. ნაწერები ერთი ხელით იყო შესრულებული. მონახევი გვერდები ერთმანეთს მიატოლა და შეადარა. უაზრო სიტყვებისა და ასოებისაგან შემდეგი ტექსტი აღსდგა: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს“ — ეს ხომ ბარათაშვილის ლექსის „ფიქრა მტკვრის პირას“ ბოლო ორი სტრიქონი იყო, რომელიც ყოველ ქართველ მოსწავლეს სკოლაში უსწავლია.

შედგმა ნიკო აღტაცებაში მოიყვანა.

ახლა ისღა რჩებოდა, რომ ის რვეული მოენახა. საიდანაც ეს ფურცელი იყო ამოხეული. ესეც იმიტომ, რომ ხელში კიდევ ერთი მტკიცება ექნებოდა.

გამომძიებელი თბილისიდან რაიონში დაბრუნდა და მაშინვე სოფელს მიაშურა. რვეული სხვაგან სად უნდა ექებნა თუ არა ლუკა სიმონიშვილის სახლში. ხელმეორე ჩხრეკამ სასურველი შედეგი გამოიღო. რვეული სარდაფის ერთერთ კუთხეში აღმოჩნდა.

გამომძიებელმა ლუკას მეზობელი ერთხელ კიდევ დაკითხა.

— აბა, გიო, მიპასუხე, ლუკა იმ დამეს რომელ საათზე დაბრუნდა სახლში? არ დაფარო პასუხს აგებ.

— როგორ გეკადრებათ, ძალიან მწყინს რომ ჩემს მეზობელს ასეთი უგვანო საქმე ჩაუდენია. თავმჯდომარეს რას ერჩოდა, სოფელს რას ეუბნებოდა...

— კითხვაზე მიპასუხე! სიტყვა გააწყვეტინა ასეთი ლათაიებით უკმაყოფილო გამომძიებელმა.

გიოს ღრმად ჩავარდნილმა ხორბლისფერმა თვალემა ბოროტად გაიფიქვეს. მაგრამ მაშინვე სახე გაიბადრა და გამომძიებელს უპასუხა.

— კი, პატივცემულო ნიკო, სიმართლეს გეტყვი, ლუკა რომ დაბრუნდა, დამის თორმეტი საათი იქნებოდა.

„თავმჯდომარის ნათქვამს უსუსტად ემთხვევა“ — გაიფიქრა ნიკომ.

8

— თქვენ რას იტყვით, თქვენი მეზობლის სიტყვებს ადასტურებთ? შეეკითხა იქვე მდგომ ლუკას ცოლს, რომელსაც პირი დედო და განცვიფრებულად გიჟს მისჩერებოდა.

— გიჟი? შე უდმერთო, რას ამბობ! — აღელვებულმა ქალმა გამოძიებელს უფრავი შეაქცია და შეუზღებლთან მიიჭრა — ათი საათიც არ იყო, რომ ლუკას სახლში ეძინა.

გამომძიებელმა ქალს უნდობლად შეხედა.
— წინა ჩვენებაზე ლქვენ თქვით რომ ქმრის თოფი მეზობლის სარდაფში შეინახეთ. ბუხარში რატომ მიმაღრთ?

— ბუხარში? ღმერთო ჩემო, მე ხომ კარს უკან მივაყუდე.

კარვად გადსენეთ! კვლავ უნდობლად შეეკითხა გამოძიებელს.

— რას ამბობთ, ბუხარში თოფის შენახვა რაზე დამპირდებოდა, ისიც მეზობლის სარდაფში? — უპასუხა გარგნებულმა ქალმა.

— ნიკოლოზ ივანო, რომ აწყობილი საქმე სადღაც გაიბზარა; მართლაც ბუხარში რატომ დამალა და, ილაშქრებულ შემთხვევის შესახებ მან ხომ არაფერი იცოდა? გიჟს შეხედა. მისი თვალების ბოროტი მხერგა არ მოეწონა. ერთხანს დაფიქრებულად იდგა. შემდეგ უბის წიგნაკში რაღაც ჩაიწინა და უკან დაბრუნდა.

იმავე დღეს დამატებითი ცნობების შესაქრებლად სოფელში ოპერატიული მუშაკი მარგვივე მიავლინეს. ნიკოლოზი ისევ თბილისში კრიმინალისტიკის ლაბორატორიაში გამოცხადდა. შემდეგ: არ დაყოვნა ქალაღის ვარუჯული ნაგლეჯები და შასრიდან ამოღებული ქალაღის ტიზი; რომლებიც ისე შეერთებინათ, რომ ერთ მთლიან ფურცელს ქმნიდნენ, რვეულიდან ამონახვევ-ფურცლის ნარჩენს სრულად დაემთხვა.

ახლა ყველაფერი ნათელი იყო. თავმჯდომარეს, ლუკას თოფით დაესხნენ, მასრა, რომლითაც ხროლა იყო მოხდენილი, ლუკას მიერ არის გატენილი, ამ თოფით გვიან ღამით სახლში ლუკა დაბრუნდა. მას თანდამსხმელი სხვა ვინ უნდა იყოს? თუ არა ლუკა? მაგრამ ვი თუ მისი ცოლი მართლად და ლუკას ღამის ათი საათისთვის უკვე სახლში ეძინა? ბოროტმოქმედების ჩადენა კიდევ ვის შეეძლო? და იმ ბუხარმა კიდევ უფრო იმატა. გიჟს უნდო, ხორბლის მარცვლებით წვრილი თვალეები წარმოუდგა. იქ, იმ მღვრიე თვალეების იქით, რაღაც მზაკვრული იდუმალემა იფარებოდა.

6 იყო სამსახურში ადრე მივიდა. მილიციის განყოფილებაში დარეკა. გიჟი და კომპეტენტობის თავმჯდომარის დაკითხვაზე გამოცხადება მოითხოვა. ერთი საათის შემდეგ თავმჯდომარე, გიჟ და საყნიდან გამოყვანილი ლუკა უკვე მის კაბინეტში იმყოფებოდნენ.

გამომძიებელმა ლუკა სიმონიშვილს ფაქტები გააცნო და მკაცრად მიმართა:

— თავს დამნაშავედ სცნობთ?
— რას ამბობ, კაცო, ადამიანს მისაკლავად როგორ გავიმეტებდი, — ძლივს წარმოთქვა ფერწასულმა და შიშნაგუბებული თვალეები მუდარით თავმჯდომარეს შეანათა.

ლუკას ლუკა აღარ იყო, თამამი; გამოწვევი, უხეში, სიტყვაში არ დამთმობი. ორი, დღით საყნიში ყოფნას ერთიან გაეტეხა და მოეგრვარებინა, მის გათვრებულ სახეს ფიქრის გამოხატველი უნარი დაკარგოდა, მის თვალეებში უმწეობა, მუდარა და განთავისუფლებების წყურვილი მოჩანდა.

ტელეფონზე დარეკეს.

— ალბ, გისმენთ ამხანაგო... მარგივე! ოო, მართლა? — გაცეცხილი იყარხა გამოძიებელმა და უბის წიგნაკი ამოიღო.

გიჟს ეს წიგნაკი გაახსენდა. ტანში უსიამოვნოდ გასცრა. ოდნავ უკან დაიხია, სუნთქვა გახშირებულ ყბების კუნთები აუთამაშდა.

ერთის შეხედვით ეს შეუმჩნეველი მეფლავრება გამოძიებელს არ გამოეჩინებოდა. ჩაფიქრდა. შემდეგ დაკითხვის ოქმები გადაათვალიერა და გიჟს შეეკითხა:

— მოქალაქე წურიაშვილი? ხიშინიშვილს დაუდასტურეთ, რომ კოლმუხრნეობის თავმჯდომარეს ემუქრებოდა.


— მართალია, ლუკა, ასე ამბობდით იმ ღამეს. კარგი მეზობელი ხარ, მაგრამ ტყუილს კი ვერ ვიტყვი — ცოტა არ იყოს უფრავი თქვა გიჟო.

ლუკა ახლა წელში მთლად მოიხარა. მავედრებელი თვალეებით ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს და ხან მესამეს. ხმის ამოღება უნდოდა, მაგრამ ენა ვერა და ვერა დამორჩილა, ყელში ობმოღებული მჭადივით ეჭირებოდა.

— ისიც დაუდასტურე, სახლში როდის დაბრუნდა? — კვლავ გაისმა მკაცრი სიტყვები.

— ტყუილს ვერც ახლა ვეტყვი, სახლში თორმეტ საათზე მოხვედი, — თქვა გიჟი და წვრილი თვალეებით ლუკას წარბებს ქვემოდან გამოხედა, თანაც ფეხი შეინაცვლა და ხელები ერთმანეთზე გადაიჭლო.

— რაზე მღუპავ, გიჟო, — როგორც იქნა ამოიღულულა სიმონიშვილმა, — შენ ხომ ჩემი ძმა და განუყრელი მეგობარი იყავი. ბიჭო, რისთვის



გვირდება ეგ ტყუილი, ვინ გაძალებს, შე დალოცვილო, სიმართლე თქვი.

— ტყუილი რაში მჭირდება, ეგრე მახსოვს და რა ვქნა! — ნერვიულად წამოიძახა გიომ და შემდეგ გამოძიებელს მიმართა, — ამხანაგო ნიკო, თავს აღარ შეგაბეზრებთ, რაც ვიცოდი ვთქვი, ოჯახში საქმე მეღუბება, წავალ?

გამომძიებელმა მბურღავი თვალებით ჩახედა. — შე უკეთ ვიცი, როდის წახვალ! — მკაცრად მოუჭრა ნიკომ და ლუკა სიმონიშვილს მიუბრუნდა, — კარგად გაიხსენე, სახლში როდის დაბრუნდი?

— დემრთმანი ათი საათიც არ იქნებოდა. — აცხვინებულმა, კი არა თქვა, პირდაპირ გულიდან ამოავდო.

— სიმონიშვილის სახლში დაბრუნების შემდეგ სოფელში ხომ არ გასულხარ? — გამომძიებელმა ახლა გიოს კითხა მოულოდნელად.

— გარეთ ფეხი არ გამოდგამს, — გაბზარული ხმით უბასუხა მან და ნათქვამისათვის მეტი სიმტკიცე რომ მიეცა, დაუმატა, მაშინვე ლოგინში ჩავწეკი და დილაძე არ გამოვიძებია.

— არც სარდაფში ჩასულხარ?

— არ ჩავსულვარ, არა! — წამოიძახა ნირწამბდარმა.

— შუადამისას სოფლის გზაზე ვის შეხვდი?

— არა, არა, არა! — ისერის უაზროდ, კედელს ზურგით აწევა და წვრილ თვალებს აქეთ-იქით აცეცებს.

— კოლმეურნე ლაბაძე შეგხვდა!

— არა და არა! — და უმაღლეს არა ტუჩებზე ეყენება.

— მოგესალმა, შენ კი ფეხი ააჩქარე და გაშორდი.

პასუხი აღარ გაუცია.

— როგორც კი სახლში დაბრუნდი, სარდაფს მიაშურე, თოფი საიდან აიღე, დავავიწყდა და აჩქარებით ბუხარში შემალე!

გიომ ფეხის ტერფს იატაკზე ისე აჭერს თითქოს ბურღავსო.

— ლუკა სახლში მთვრალი დაბრუნდა, ღვინო დაღიეთ და აყალმაყალი ატეხეთ, შეშინებულმა ქალმა თოფი შენი სარდაფის კარებთან დამალა, ისარგებლე, მალულად გაიტანე და ლევანს მოსაკლავად დახვდი.

ძარღვებში ყინულივით ეღვრება გამომძიებლის უმოწყალო სიტყვები.

— ერთად-ერთი ტყვია აგიცდა, თავი რომ გა-

დაგერჩინა, ყველაფერი ლუკა სიმონიშვილს, შენს „განუყრელ“ მეგობარსა და მეზობელს გადააბრალე, ღუბავდი კაცს!

ცის გრვეინვად ჩაესმა ერთ ადგილზე გათანგულ გიოს. ერთბაშად შეტოკდა, თმა აბურძღნული თავი მარქენალი მოზვერივით დაბლა დასწია, ზურგი და ხელები მთელი ძალით კედელს მიარტყა, თითქოს განგრევასა და გაქცევას შეეცადაო, მაგრამ მაგარი კედელი რომ იგრძნო, მოეშვა, მუხლებზე დაეცა და ამოიღრიალა:

— ნუ დამღუბავთ, მაპატიეთ!

გამომძიებელმა მილიციის მუშაკს ანიშნა. გიომ გაიყვანეს.

ნიკომ ოფლიან შუბლზე ხელი გადაისვა. მოქანცული, თითქოს უქმაცოფილო, მაგრამ მშვიდი სახით სკამზე მძიმედ დაეშვა და სრულიად წყნარი ხმით კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მიმართა:

— ლევან, ჭვრეტობით საჭირო აღარა ხარ, თუ დავგვირდი შეგატყობინებთ.

შეტრიალებული ამბით გაოგნებულ ლევანს გამომძიებლის სიტყვები არც გაუგონია, მხოლოდ იმას მიხვდა, რომ უნდა წასულიყო, და დამძიმებული გულით კაბინეტიდან გავიდა.

— ლუკა, — ნელი ხმით წარმოთქვა ნიკომ, — ხომ ხედავ უსაქმურობამ და ხეტიალმა როგორი უსიამოვნება მოგაყენა. მეგობრად და ძმად ვინც მიგაჩნდა, საკუთარი თავის დასაძვრენად შენს დაღუბვას შეეცადა. სოფელს მიენდევ, საჭმეს მოკიდე ხელი.

რაზე მღუპავდა ეგ შეჩვენებული, — ამოიხრიალა და მთვრალი კაცით დაბარბაცდა.

ნიკომ ხელი მიაშველა. მუხლებში რომ მომაგრდა, კარი გაუღო. გარეთ კოლმეურნეობის თავმჯდომარე, თავდახრილი ლევანი იდგა. ახლადგამოსულს გაუბედავად შეხვდა.

— ცილისწამება დიდი ცოდვაა, შენი წვალება სულს მიდაღავს.

ლუკა ჭერ კიდევ კარგად ვერ გამოკრეწულიყო, ლევანს უაზროდ შეჰყურებდა. ბოლოს სახე გადაეწმინდა, შუბლი გაეშალა.

— როგორ ვცდებოდი! — ნაღვლიანად თქვა და თავმჯდომარის გამოწვდილ ხელს საკუთარი შეაგება..

გამომძიებელმა სოფელში მიმავალ ყოფილ თანაკლასელებს ღიმილით გააყოლა მზერა და კმაყოფილი პროკურორთან წავიდა. მას იქ ახალი საქმე ელოდა.

ორი ფერი

საბჭოთა ლიტერატურა ჯერ კიდევ ღარიბია ისეთი ნაწარმოებებით, რომლებშიც გაშუქებული იქნება სასამართლო-პროკურატურის და მილიციის ორგანოების რთული და საპატიო საქმიანობა ჩვენს ქვეყანაში დამნაშავეობის აღმოფხვრისათვის. ასეთი ნაწარმოებები განსაკუთრებით ცოტა ქართულ ენაზე. უღრნად „საბჭოთა სამართლის“ რედაქციას გადაწყვეტილი აქვს რამოდენიმე წერილი მიუძღვნას ამ თემაზე შექმნილ ნაწარმოებებს, გაამახვილოს ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრიობის ყურადღება ამ ჟანრის მიმართ, ხელი შეუწყოს იდეურად და მხატვრულად სრულყოფილი ლიტერატურის შექმნას დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

ასეთ წერილების სერიას განეკუთვნება რეცენზია მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მიერ განხორციელებულ სპექტაკლზე, რომელიც ახლა ქვეყნდება.

ლევ ტოლსტოი თეატრს პრობანდის უძლიერეს კერად თვლიდა. ილია ჭავჭავაძე კი სცენას ხელოვან უწოდებდა, ხალხის მწვრთნელს, ხალხის გამაზრდელს.

ჩვენ ამ მწერლების შეხედულებანი თეატრზე გავიხსენეთ მხოლოდ იმისათვის, რომ გავცეთ პასუხი, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მიერ წარმოდგენილი ა. ზაკის და ა. კუზნეცოვის სპექტაკლი — „ორი ფერი“ აკმაყოფილებს თუ არა იმ მოთხოვნილებებს, რასაც ეს ორი დიდი მწერალი აკისრებდნენ თეატრს? ამაზე პასუხის გაცემა არც ისე იოლია.

იტყვი — აკმაყოფილებს. ბევრი შემოგვადევნებთ და მოგაძახებთ — როგორ შეიძლება დადებით მოვლენად ჩავთვალოთ ის, რომ ავტორებს ისე ჰყავთ გამოყვანილი ხულიგნები, გარეწრები, რომ მათ ფრანგებს სიცილითა და ტაშით ხვდებიან მაყურებლებიო. აქვე გამოჩნდებიან პიესის დამცველნი და მოგაგონებენ, რომ როცა ხულიგნებს აპატიმრებენ, ამ სცენას ხალხი ერთსულოვანი ტაშით ხვდება, რაც პიესის ღირსებაზე მეტყველებსო.

ორივე მხარე თავისებურად მართალია. მკითხველო, ნუ შემაღარებ იმ ზღაპრულ უაღბლო რომელმაც ქმარს უსაყვედურა, როგორ შეიძლება ორივე მხარე მართალი იყოს.

ორი ფერი
აკმაყოფილებს


მოსამართლეს, რომელმაც მოსარჩლევ მართლად მიიჩნია, მომასუხეც და თავისი მეუღლეც,

იქონიეთ მოთმინება, მომისმინეთ და მერე განსაჯეთ.

უჩვეულოა იფრადიულ უღრნაღში თეატრალური რეცენზია იხილოს ადამიანმა, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ პიესა სისხლის სამართლის შინაარსისაა, ეგება დანაშაულობასთან ბრძოლის საკითხებს, მაშინ არ უნდა გაგიკვირდეთ ეს წერილიც.

კომუნისმის მშენებელ ქვეყანაში მოსაზრებელია ის ძირითადი მიზეზები, რაც დანაშაულებრიობას წარმოშობენ, მაგრამ აქა-იქ ჩამორჩენილია შეგნებაში ჯერ კიდევ დარჩენილია კაპიტალიზმის ნაშთები — ძველი ჩვევები და შეხედულებანი, რაც იწვევენ დანაშაულს. „ორი ფერი“ ეგება ხულიგნებს, გარეწრებს და მკვლელებს, რომლებიც თავიანთი ადვირახსნილი მოქმედებით ზიანს აყენებენ საზოგადოებას. ამ მავნე ელემენტებთან ბრძოლას, თვით საზოგადოება აჩაღებს და მიზანსაც აღწევს.

მოქმედება იწყება მიყრუებულ შესახვევში. ფარდულებთან ჩამსხდარან და ზარს თამაშობენ ყრულა თაქლა, ჩაჭლანა და გურამი. ეს უკანასკნელი ხელში ჩაუგდიათ ამ გარეწრებს და აკრავს საგრძნობი ვალიც დაადებს. მოქალაქენი ამ სცენას უყურებენ, მაგრამ არავითარ ზომებს არ იღებენ მის აღსაკვეთად. მაგნეტოფონიდან მოისმის მილიციის მუშაკის ვარლამის ხმა — რომელიც მოუწოდებს მოქალაქეებს: ნუ ჩაუვლიან გულგრილად ასეთ სისაძაგლეს, ხომ შეიძლება თქვენი შვილიც ჩავარდეს ასეთ მდგომარეობაშიო. გახსოვდეთ, რომ უთქვენოდ მართო ჩვენ ვერას გავხდებითო.



ამ სიტყვებით ავტორები გვამცნობენ თავიანთ მიზანდასახულობის და პიესის იდეას. შემდეგი სცენა მიმდინარეობს რკინიგზის სადგურის გადასასვლელთან. ვანო კახიძე ნაწილის ელოდება. მას შეეყრება ნოდარი, რომელიც ხუთ თუმანს ესესხება. ნოდარი გზააღდენილი ახალგაზრდაა. აპირებს სახლინზე წასვლას ფულის საშოვნელად, მაგრამ თაპარისადმი გრძნობა აკავებს მას.

მომდევნო სცენა საერთო საცხოვრებელში ხდება. საწარმოებში ახალგაზრდები თავდადებულად შრომობენ, რათა მიიღონ საჭირო სტაჟი და უმაღლეს სასწავლებელში მოეწყონ. საერთო საცხოვრებელში დაუბატოებლად ეწვევიან ხულიგნები. თავლა და ჯაჭანა პატიოსან ახალგაზრდა ვანიკოს ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებენ. მილიციის წარმომადგენლის გამოცხადებისას ამ ხულიგნებს ხელს აფარებენ. გვიხსენით ერთი პატარა დიალოგი.

ნიწო — ვანო კახიძე (რომელსაც სილა გაარტყეს ა. ბ.) ზედმიწევნით პატიოსანი აღმიაწია. თუ მან ეს ამბავი დამალა... თუ მან სიჩუმე აირჩია, მერწმუნეთ პატრონო ვარლამ, რომ ამას უბრალოდ არ იზამდა, აუცილებლად რაღაც სერიოზული საბაბი აქვს.

მარლამი — საბაბი როგორ არ აქვს... უბრალოდ არა სურს მილიციასთან საქმე იქონიოს. ეს თქვენი ზედმიწევნით პატიოსანი ბიჭი ხულიგნებს ხელს აფარებს. სამწუხაროდ ჩვენს ახალგაზრდობას ვაჟკაცობად მიაჩნია დამანაშავე დამადღოს... უკვე მერამდენედ გამოდის წყლიდან მშრალი ეს ყრულა. და ამ შემთხვევაში იგი თქვენმა კომპაგნიტირელმა გადაარჩინა.

ეს პატიოსანი ყმაწვილი ვანიკო ჩადგება წესრიგის დამამყარებელ რაზმელთა რიგში და მიზნად დაისახავს ხულიგნებთან ბრძოლას. არც ხულიგნებს სძინავთ. ისინი განავტობენ უხამსო მოქმედებას და გადაწყვეტენ ვანიკოსთან პატიოსან მოქალაქეებს ბოლო მოუღონ და ამით საშუალება მიეცეთ თავისუფლად ითარეზონ. ხულიგნები შემოფოტებული არიან, რომ მათი ამფსონი ნოდარი ცდილობს ჩამოშორდეს ხულიგნებს და პატიოსანი ცხოვრების გზას დაადგეს. ნოდარის ეს სცენები დრამატიზმით არის აღსავსე. საშინელ მდგომარეობაშია ჩავარდნილი ნოდარი — გამოსაგონს ეძებს, შინადაც არის თავი მოიკლას და ამ წვადებას მოშორდეს.

მილიციის მუშაის ვარლამის პირით თვით ავტორები ლაპარაკობენ, რომლებიც აცხადებენ რომ ხულიგანი ბუზი არ არის, ხელის ერთი მოქნევით ვერ მოიცილებ, ის უფრო მოზრდილი ჯიშის მწერია, მაგრამ თუ ყველანი ერთად შევებრძობებით, მისი სახსენებელიც კი გაქრება. ხულიგნები ეწვევიან თავიანთ მსხვერპლს დანგაძეს და თხოვენ წარში წაგებულნი ფულის გადასწას. დანგაძე თავს იტლავს.

ხულიგნები თავს ეტყვიან ვანიკოს და სიცოცხლეს ასალმებენ. პიესის ასეთმა დაბოლოებებში მწყურებლის საშარტობანი აღმოფოტება გამოიწვება და თეატრი იძულებული გახდა პიესის დაბოლოება შეეცვალა.

ტქმა იმისა, რომ პიესა ერთ მთლიან შეკრულ ამბავს წარმოადგენს, არ შეიძლება. არც ამ პიესის კონფლიქტი ვითარდება ბუნებრივად. მაგრამ, მიუხედავად ამისა, პიესაში ბევრი ჯანსაღი მარტვალი, ცალკე ეპიზოდები რეალურია. ეს კი პიესის ხარვეზებს ანელებს. თვითრეულ პერსონაჟს თავისი განსაკუთრებული ბიოგრაფია აქვს, რაც საშუალებას აძლევს მსახიობებს თავიანთი ნიჭი და უნარი გამოავლინონ. სქემატურ პერსონაჟებსაც ვსვლიბობ, მაგრამ ამ მხრივ მარტო ეს ავტორები არ ცოდავენ.

კარგა ხანა თანამედროვე თეატრში დაკანონდა ერთგვარი თანავტობრობა დრამატურგთან და ტექსტში შესწორებების შეტანა. როდესაც ასეთი „რევიზია“, „შესწორება“, კლასიკოსებს ენებათ, იქ მარტნი აუცილებელია. მართლაც და შექსპირის, შილერის, ნ. გოგოლის, ა. გრიბოედოვის, ა. ოსტროვსკის პიესებში რეჟისორების „შესწორებები“ მხოლოდ აწენებენ ამ კლასიკოსებს და სასაცილო შთაბეჭდილებებს ახდენენ. „ორი ფერის“ ავტორებს კი, რომ ამ შესწორებებმა უშველეს, ეს ნათლად დავინახეთ მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლში.

დრამატურგების მიხედვით გარეყარები ფირანა განგია და ყრულა თავლა ესხმოდნენ პატიოსან ყმაწვილ, უშიშარ ვანიკოს და კლავდნენ. ასეთი დაბოლოება აუდიტორიის საშარტობიან უკმაყოფილებას იწვევდა. ეს ნიშნავდა ბოროტების სიშარტოფე, სიხნელის — სინათლეუ გამარჯვებას. მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა ამ ბოლო დროს შესწორება შეიტანა ავტორის ტექსტში — სახელდობრ, ვანიკოს კი არ კლავენ გარეყარები, არამედ ამ უკანასკნელთა აპატირებენ, რაც მთელი აუდიტორიის აღტაცებას იწვევს. აი სად მართლდება დიდი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის აზრი, რომ თეატრი პროზაგანდის უდიდესი კათედრია.

პიესის ასეთი შესწორება და მასში მთელი რიგი კორექტივების შეტანა აქტივში ჩაეთუვლება მის დამდგმელს რესპუბლიკის სახალხო არტისტს ვ. ყუშიბაშვილს და მთელ კოლექტივს.

თეატრი უმკველად კარგად მოიქცა. რომ პიესა კი არ თარგმნა, არამედ გადმოაქარტულა.

პ. გრუზინსკის ტექსტი მოსაწონია. ქუჩური უარგონი კარგად არის დაცული. ერთმა რეცენზენტმა თეატრს უსაყვედურა, რომ პიესაში ვხვდებით უწმაწურ სიტყვებსო და სხვ. ჩვენ პირველი ვარიანტი არ მოგვისმენია, შესაძლებელია რეცენზენტი მართალიც იყო და თეატრმა ამ მხრივ მართებული შენიშვნები გაიზიარა, ტექსტი გაწმინდა უხამსო გამოთქმებისაგან. ერთი რამ კი უდავოა — შეუძლებელია წმინდა ლიტერატურული ერთი ალაპარაკო და კოლორიტი დაუკარგო ჰაჯლანას, ყრულა თაქლას, ფირან განგაას.

ახლა ისევ ზღაპრული ყალი გვიხსენოთ და განვიხილოთ, რომელი მხარეა მართალი.

სცენაზე გამოჩენისთანავე მაყურებლის ყურადღებას იპყრობს ნოდარი (ო. მეღვინეთუხუცესი), ფირანა განგია (დ. ოქროცვარიძე), ყრულა თაქლა (ა. ვერულიშვილი) და ჰაჯლანა (თ. მახსურაძე). ამ პერსონაჟებისადმი ყურადღება ერთ წუთსაც არ ნელდება. პიესის მოწინააღმდეგენი ამ გარემოებას ყურადღებას აქცევენ და გაიძახიან—ვინაიდან ხალხს ტაშს უკრავს ჰაჯლანას, ყრულა თაქლას, ეს იმას ნიშნავს, რომ პიესას არამცთუ შეეცნებოთ რაიმე მნიშვნელობა, არამედ ზიანის მოტანა შეუძლიანო. სუსტი ნებისყოფის ახალგაზრდებმა შეიძლება მიბაძონ ამ პერსონაჟებს და სხვ. პიესის მიხედვით, მაგალითად, სრულიად გამოუცდელ ჭაბუკს გურამ სანაძეს ყრულა თაქლა და ჰაჯლანა ჩაითრევენ ზარის თამაშში, გაფცქვნიან, დიდ ვალს დაადებენ და ბოლოს თავს აკვლევიანებენ. შეუძლებელია არ შეგებრალეთ ეს საწყალი ჭაბუკი მაგრამ თუ თქვენ ტაშს უკრავთ ამ მსახიობებს, ეს აიხსნება მხოლოდ მათი კარგი თამაშით. ვანა კინო „ცნოვრების საგზურში“ მუსტაფას, რომელიც იშვიათი ოსტატობით ძარცვავდა თავის მსხვერპლს, ტაშს უკრავდით იმიტომ, რომ მის „მოქმედებას“ იზიარებდით, არამედ გაკვირვებდათ სახის რეალობა და ბუნებრივობა. ნ. პოგოდინის „არისტოკრატიზმი“ ბანდიტ კოსტიას სიამოვნებით უყურებთ არა იმიტომ, რომ ის ბანდიტია, არამედ აღტაცებაში მოდიხართ ავტორის ოსტატობით ამ ტიპის რეალურად დახატვისათვის. დიდი მწერლის მაქსიმ გორკის ვასკა პეზელი „ნაძირადებიდან“ სიამოვნებას გვვრთ იმიტომ კი არა, რომ ის პროფესიით ქურდია, არამედ გიტაცებთ თავისი მხატვრული სრულყოფით. რასაკვირველია, მოიძებნებიან ახალგაზრდობაში ზოგიერთი მერყენი, რომლებმაც შეიძლება მიბაძონ ჰაჯლანას, მაგრამ სწორედ აქ მართებს თეატრს დადებითი პერსონაჟები ისე წარმოასხოს, რომ ჰაჯლანების უბადრუკობა აშკარა გახალსო. ამ მხრივ თეატრს ცდა არ დაუკლია და დადებითი პერსონაჟების განსახიერება გამოცდილ აქტიორებს დააკისრა და ამით სექტაკლის შემეცნებითი მნიშვნელობა გაზარდა. თუ მიზანი მთლიანად მიღწეული არ არის, ამაში ბრალი მხოლოდ დრამატურგებს მიუძღვით. დრამატურგებმა ვერ შეძლეს მილიციის როლი მკვეთრად ეჩვენებინათ, გარეწრებთან ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლიც მკრთალად არის დახატული, თვით ზოგიერთი დადებითი პერსონაჟებიც სქემატურად არის მოცემული.

რეჟისორულად პიესა კარგად არის გააზრებული. ეს ვლინდება ლამაზ და გამართლებულ მიზანსცენებში, რაც ამტკიცებს სახალხო არტისტის ვ. ყუშიტაშვილის ფაქიზ გემოვნებას და ოსტატობას. ანსამბლი მტკიცეა და დულაბივით შეკრული, მაგრამ არ შეგვიძლია ზოგიერთ როლის შემსრულებელზე არ შეგვიჩვენოთ.

ვანიკოს როლი დაკისრებული აქვს მსახიობ გ. ციციშვილს. ამ მსახიობს ვიცნობთ გორის თეატრის დასიდან და ყოველთვის ყურადღებას იქცევდა გარდასახვის უნარით. მის მიერ შესრულებული როლები ერთფეროვანი არ არის, მსახიობი მოქმედ პირის ორეული ხდება და სცენაზე წარმოსახსავი გმირის სულისკვეთებით ცნოვრობს.

ნოდარის როლს მსახიობი ო. მეღვინეთ-უხუცესი ასრულებს. მსახიობი საკმაოდ არის დაჯილდოებული სცენური მომხიბველობით, ტემპერამენტით და ეს კი საშუალებას აძლევს ნოდარის შთამბეჭდავი სახე შექმნას და მაყურებლის ყურადღების ცენტრში იყოს.

კოლორიტულია და ბუნებრივი ფირან განგაას როლში მსახიობი დ. ოქროცვარიძე. ეს გამოუსწორებელი დამნაშავე, თავსებულადებული, არაფრის წინაშე არ დაიხევს ოღონდ მიზანს მიადწინოს და თავისი ბნელი ზრახვები განასხორციელოს. ფირანა განგაას წარმოთქმული გესლით აღსავსე ყოველი სიტყვა, თავისი ცინიზმით ურუაუნტელოვით გვევლით ტანში, მაგრამ ამას მსახიობი დ. ოქროცვარიძე ისე ბუნებრივად, ისე მხატვრული ზომიერებით აკეთებს, რომ პირდაპირ მოხიბლული რჩებით.

ყრულა თაქლას, ამ გარეწრის მეტად საინტერესო სახეს ქმნის მსახიობი ა. ვერულიშვილი. როლების განსახიერების მხრივ სექტაკლის გვირგვინია ჰაჯლანა მსახიობ თ. მახსურაძის შესრულებით.

პიესაში მთავარია მოქმედება და არა რეჟონიორული მშრალი რიტორიკა. ამ მხრივ დრამატურგებმა ვერ შეძლეს დადებითი პერსონაჟების ისე დახატვა, როგორც უარყოფითი ტიპებისა. მაგალითად ვარლამ ზარიძის როლი მოკლებულია მოქმედებას. მიუხედავად ამისა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ტ. საყვარელიძემ დამამახსოვრებელი სახე შექმნა.

კოლორიტულია გაიოზ ამაშუკელის როლში მსახიობი გ. ტატიშვილი.

ეპიზოდურ როლში გვევლინება რესპუბლიკის სახალხო არტისტი სანდრო უორჟოლიანი და სცენაზე გამოსვლისთანავე დარბაზში სიხარული მყარდება. შემეცნებით მნიშვნელობასთან ერთად თეატრი ჭანსად სიცილსაც უნდა ბადებდეს და ამ მისიას ყოველთვის ოსტატურად ასრულებს ს. უორჟოლიანი.

მოხუცი მოქალაქის დამამახსოვრებელი სახე შექმნა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ა. სიხარულიძემ.

ყველა მოქმედი პირის თუნდაც სქემატურად აღნიშვნა ჩვენი უურნალის სპეციფიკას არ შეეფერება. ვიტყვით მხოლოდ, რომ მიუხედავად მრავალი ხარვეზისა, რაც დრამატურგებს მიეწერებათ, პიესის დადებითი მნიშვნელობა უდავოა. მაგრამ ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს. საჭიროა ჩვენმა დრამატურგებმა „მოიცალონ“ და ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორც არის დანაშაულობასთან ბრძოლა, უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ. დაწერონ მხატვრული პიესები. თუ გვინდა რომ თეატრი მართლაც აგიტაციის, პროპაგანდის უძლიერეს კერად გადაიქცეს და მისი შემეცნებითი მნიშვნელობა გაიზარდოს, მათ მხატვრულ ორიგინალურ პიესებს უნდა მიმართონ, ისეთ პიესებს, რომელთაც „შეკეთება“ არ სჭირდება.

მარჯანიშვილის თეატრს ყველა შესაძლებლობა აქვს ამ მეტად აქტუალურ საკითხებზე ხრულფასოვანი მხატვრული პროდუქცია შექმნას.

ა. ბურთიკაშვილი.



სცენა სპექტაკლიდან „ორი ფერი“.

კვავ ახლგაზრდული ენერგიით



პროფესორი ალექსანდრე ვაჩიშვილი მრავალი მეცნიერული შრომის ავტორია. მისი შრომები „სამართლის ზოგადი თეორია“, „კელზენის მოძღვრება სამართალსა და სახელმწიფოზე“, „ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან“, „სისხლის სამართლის პროცესი“, „დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში“. ახლახანს გამოქვეყნებული „სახელო და სოციალური დაცვის ღონისძიებანი“ და სხვა წარმოადგენენ საბჭოთა მეცნიერებაში შეტანილ მნიშვნელოვან წვლილს.

ალექსანდრე ვაჩიშვილი, მიუხედავად ხანდაზმულობისა, კვავ ახლგაზრდული ენერგიით განაგრძობს მეცნიერულ მოღვაწეობას.

ამ ცოტა ხნის წინ ჩვენი კორესპონდენტი ბინაზე ეწვია პროფესორს.

ყურადღება პირველ ყოვლისა მიიქცია უბრალო, მცირე მოცულობის სამუშაო კაბინეტში, წიგნებით დამპყვებულმა თაროებმა, მაგიდაზე დაწყობილმა სხვადასხვა ლექსიკონებმა, საწერად მომარჯვებულმა ქაღალდებმა, რუსულ და უცხო ენებზე გამოცემულმა რამდენიმე წიგნმა.

პროფესორ ვაჩიშვილს ვთხოვეთ ეამხნა ჩვენი ყურნალის მკითხველებსათვის მისი მუშაობის შესახებ.

— გთხოვთ გვიპასუხოთ, რამდენი წელია ამ ოთახში მუშაობთ?

— 1928 წლიდან. იანგარიშეთ, 37 წელი გამოვა.

— თქვენი შრომების უმრავლესობა, ალბათ აქვე დაიწერა?

— ღიახ, თითქმის ყველა.


— ამჟამად რაზე მუშაობთ?

— მალე დავამთავრებ შრომას „სოციალიზაციური მეთოდი სამართლის მეცნიერებაში“.

— რა მიზანი გაქვთ დასახული ამ შრომაში?

— ორიოდე სიტყვით ამის თქმა მწელია,— გვიპასუხა პროფესორმა,— ვფიქრობ მოვააშკარავო თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიების თეორიული შეხედულებათა რეაქციული არსი, მათი ურთიერთობისა და ახლო კავშირის პრობლემა გასული საუკუნის იდეალისტურ-რეაქციული იდეების მატარებელ სოციოლოგებთან. საბჭოთა ლიტერატურაში უკვე იყო აღნიშნული, რომ ბურჟუაზიული სოციოლოგები უარყოფენ საზოგადოებრივი

ხუხუნა ანკეჩიყაძე



კანონზომიერების შეცნობის შესაძლებლობას, უფრო მეტი, უარყოფენ ამ კანონზომიერებას არსებობასაც კი.

შრომაში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებს ვეყრდნობი, როგორც ცნობილია ლენინი აღნიშნავდა, რომ მარქსის თეორიამ პირველად შექმნა მეცნიერული სოციოლოგიის შესაძლებლობა, სწორედ მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაზრისით განვიხილავ ბურჟუაზიული სოციოლოგიის საფუძვლების ფუძემდებლის ოგიუსტ კონტის მოძღვრებას, მის მომდევნო სოციოლოგიურ სისტემებს. თანამედროვე ბურჟუაზიულ სოციოლოგთა თეორიულ შეხედულებებს. კერძოდ ამერიკელის როსკო პაუნდის თეორიას და სხვ.

ცნობილია, რომ პაუნდი და სხვა თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგები უარყოფენ სტაბილურ კანონმდებლობას, სიმძიმის ცენტრი მათ მოსამართლის საქმიანობაზე გადააქვთ.

ჩემი შრომის მეორე ნაწილში განვიხილავ რუსეთის რქტომბრის რევოლუციამდელ მეცნიერებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი შრომები აქვთ შექმნილი სოციოლოგიის დარგში. მხედველობაში მაქვს მ. კოვალევსკი, მურომცევი, და სხვა.

— რომელი შრომის გამოცემას ფიქრობთ უახლოეს ხანში?

— ვფიქრობ, გამოვაქვეყნო ორი წიგნი — „ფეოდალური საკუთრება საქართველოში“, და „ქართული სამართლის ძირითადი ცნებები“.



კრების მიმოხილვა

სოციალისტური კანონიკების საკითხების განხილვა საქალაქო გაზეთში

საქართველოს კმ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ორგანო გაზეთი „სტალინელი“ სისტემატურად აქვეყნებს მასალებს სოციალისტური კანონიკების განმტკიცებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე.


სტალინელი - ფურცლებზე

გაზეთი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს სახალხო რაზმეულებისა და ამხანაგური სასამართლოების საქმიანობას. შემოღებულია განყოფილება „სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის“, რომელშიც გაზეთი მკითხველებს მოუთხრობს ცალკეულ რაზმეულთა და ამხანაგურ სასამართლოების მუშაობის გამოცდილებებზე, აკრიტიკებს ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს. მიმდინარე წელს ამ განყოფილებაში დაიბეჭდა მთელი რიგი წერილები, რომლებიც ეხებათ გ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო, მინისტარის, ელექტრომექანიკური, საკონსერვო, აგურის შექანიზებული ქარხნების, მათუდის ფაბრიკის, აბანო-საბარაკმახეროების ტრეტის, სტამბის და სხვა საწარმო-დაწესებულებათა სახალხო რაზმეულებისა და ამხანაგური სასამართლოების მუშაობას. გაზეთი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, თუ რა პრაქტიკული შედეგი გამოიღო საზოგადოებრიობის შემოქმედებამ, ამხანაგური სასამართლოების მუშაობამ.

რედაქციამ გაითვალისწინა, რომ მკითხველებს აინტერესებთ სასამართლოს, პროკურატურის და მილიციის ორგანოების მუშაობის გარდაქმნა ახალი ამოცანების შესაბამისად და მთელი რიგი წერილები დაბეჭდა ამ საკითხებზე. მიმდინარე წლის თებერვალს გამოქვეყნდა ქუთაისის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის გ. იობიძის წერილი „მართლმსაჯულების ორგანოები ახალი ამოცანების წინაშე“. 17 თებერვალს — მილიციის განყოფილების უფროსის ბ. კუხიანიძის წერილი „განვამტკიცოთ მილიციის ორგანოებისა და სახალხო რაზმეულების ერთობლივი მუშაობა“, 16 მარტს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ვ. ფარქოსაძის წერილი „საბჭოთა საზოგადოება დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში“, და სხვ. ამ წერილებში მოყვანილია კონკრეტული მაგალითები, ამომწურავადაა ნაჩვენები, თუ როგორ უნდა იმუშაონ ახალ პირობებში მართლმსაჯულების ორგანოებმა, რაში მდგომარეობს საზოგადოების როლის ამაღლება დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

როგორც ცნობილია, გასული წლის ოქტომბერში სხვა დოკუმენტებთან ერთად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განჯარახულებათა კომისიებმა შეიმუშავეს „არასრულწლოვანთა საქმეების კომისიათა სანიმუშო დებულების“ პროექტი. ეს პროექტი მიზნად ისახავს თავიდან იქნას აცილებული არასრულწლოვანთა მხრივ სამართლის დარღვევა. გაზეთი მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდა ამ საკითხს. დაიბეჭდა ქალაქის პროკურორის ა. ყუდენის წერილი „აღვეკეთოთ არასრულწლოვანთა მხრივ სამართლის დარღვევები“ (23 იანვარი). აგრეთვე წერილები „როცა ბავშვები ჩვენს გვერდით არიან“ (6 მარტი). „მეტი ყურადღება ბავშვებს“ (16 მარტი) და სხვ.

ცნობილია, რომ ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს გარემოს, ოჯახს, მშობლებს. საშუააროდ ზშირია ბავშვთა აღზრდისადმი ოჯახის, მშობელთა უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ფაქტები. გაზეთი „სტალინელი“ 22 იანვარს დაიბეჭდა სახალხო მოსამართლის ბ. სტურუას წერილი „ოჯახი საბჭოთა საზოგადოების საფუძველია“. 13 თებერვალს — „გარემოსა და მშობელთა როლი აღზრდის საქმეში“ (პედაგოგის შენიშვნები), 2 მარტს — „მშობლები უფრო ახლოს სკოლებთან“ (მეორე საშუალო სკოლის პარტბიუროს მდივნის კ. ცხადაძის წერილი), 6 მარტს ფელეტონი „სად არის ჩვენი მამა?“, 8 და 9 აპრილს „ქორწინება და ოჯახი“ (სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის გ. იობიძის და ადვოკატ ა. მეგრელიშვილის



წერილი) და სხვ. ზშირად იბეჭდება წერილები საყოფაცხოვრებო თემებზე. გაზეთი ამხელს ისეთ ადამიანებს, რომლებიც თავიანთი მოქმედებით არღვევენ საბჭოთა მოქალაქის სახელს. მიმდინარე წლის 17 აპრილის ნომერში დაიბეჭდა მკითხველის ფელეტონი „მოლიბდულ გზაზე“, რომელშიც გამოვლინებულია გადაგვარებული პიროვნების შ. ჯოჯუას სახე. მან მიატოვა ცოლშვილი. წერილში „არ ენდოთ, თაღლითია“, რომელიც 15 მარტის ნომერში დაბეჭდა, მხილებულია ახალგაზრდა გოგონა მედიკო რუხაძე, რომელიც გადაგვარების გზას დაადგა.

უქმად ყოფნა, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისაგან მოწყვეტა ერთერთი მიზეზი და საფუძველია წესრიგის დარღვევის, დანაშაულობათა ჩადენის. სამწუხაროდ, ქუთაისში ჭერ კიდევ არიან ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც უსაქმოდ ხეტიალში ატარებენ დროს. დამნაშავეთა დიდი ნაწილი ახალგაზრდებზე მოდის. გაზეთმა არაერთხელ ამხილა ასეთი ახალგაზრდები. აღსანიშნავია ამ მხრივ წერილი „უქმად ყოფნა მანკის დედა“ რომელიც დაიბეჭდა მიმდინარე წლის 14 თებერვლის ნომერში. წერილში მოყვანილია რამდენიმე მაგალითი, რომლებიც მიუთითებენ, თუ სადამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანი უსაქმურობამ, ლოთობამ, სპეკულაციამ, რომელიც უცხოა ჩვენი საზოგადოებისათვის.

მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, რომლებიც იბრძვიან საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისათვის, ყოველთვის როდი უჭერს მხარს ცალკეული მოქალაქეები. მოსახლეობის ერთი ნაწილი მოითხოვს წესრიგს, მაგრამ თვითონ არაფერს არ აკეთებს ამისათვის, პირაქით, ზოგჯერ როცა საჭიროა, ნაცვლად დახმარებისა ხელს უშლის სათანადო ორგანოებს მუშაობაში. გაზეთი სისტემატურად ამხელს ასეთ პირებს. მიმდინარე წლის თებერვალში რედაქციამ მიიღო მოქალაქე შ. კუჭუხიძის წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ქალაქის კინოთეატრების წინ ადგილი აქვს ბილეთების სპეკულაციას და მან თვითონ ორმაგ ფასად შეიძინა ბილეთი გადამყიდველისგან. გაზეთმა ეს მასალა გამოიყენა და სასტიკად გააკრიტიკა თვით წერილის ავტორი, რომელმაც თავისი მოქმედებით ხელი შეუწყო სპეკულაციას. იქვე მითითებული იყო, რომ საჭიროა უფრო გადამწყვეტი ზომები იქნეს მიღებული სპეკულაციის აღსაკვეთად.

გაზეთში სისტემატურად ქვეყნდება მასალები ლოთობის, ხულიგნობის, შრომის დისციპლინის, საბჭოთა ვაჭრობისა, მოძრაობის წესების დარღვევის, ბიუროკრატიზმის, სახელმწიფო საქმისადმი უდიერი დამოკიდებულების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევის საკითხებზე.

შიუხედავად ამისა, საბჭოთა კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების გაუშუქების საქმეში არის ნაკლოვანებებიც. ქალაქში არის ისეთი ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები და ამხანაგური სასამართლოები, რომლებიც სუსტად მუშაობენ. საჭიროა ისინი გაზეთმა უფრო მეტწილად გააკრიტიკოს, უფრო მოურიდებლად და თანმიმდევრულად ამხილოს საბჭოთა მართლწესრიგის დარღვევათა შემთხვევები, მეტი ყურადღება მიაქციოს საზოგადოებრიობის როლის ამაღლებას მშრომელთა აღზრდის საქმეში.

საერთოდ გაზეთ „სტალინელის“ საქმიანობა სოციალისტური კანონმდებლობის განმტკიცებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების გაუშუქებაში მოწონებას იმსახურებს.

სასამართლო პრაქტიკა

საქმის
ნომერი

სამოქალაქო სამართლის საქმეებზე

1. სამუშაოს გაცდენად არ ჩაითვლება მუშაკის არ გამოცხადება იმ სამუშაოზე, რომელზედაც იგი გადაყვანილია მისი სურვილის გარეშე, ვიდრე წარმოებდეს დავა ამ გადაყვანის სისწორის შესახებ.

თბილისის ავეჯის კომბინატის დირექტორის 1958 წლის 11 ნოემბრის ბრძანებით მტვირთავი მუშა გ. ნანობაშვილი, მისი თანხმობის გარეშე, შრომის დისციპლინის დარღვევის მოტივით ფანერის საწყობიდან გადაყვანილ იქნა მუდმივ სამუშაოზე დახერხილ მასალათა საწყობში შრომის პირობების გაუარესებით.

თვლიდა რა ასეთ გადაყვანას უკანონოდ გ. ნანობაშვილმა მიმართა შრომის დავათა განხილველ კომისიას და შემდეგ საფაბრიკო კომიტეტს, რომელმაც დააკაყოფილა მისი მოთხოვნა და გასცა მოწმობა ფანერის საწყობში მის აღსადგენად.

კომბინატის ადმინისტრაციამ გ. ნანობაშვილი სამუშაოზე არ აღადგინა, პირიქით 1958 წლის 19 დეკემბერს ახალი ბრძანებით გ. ნანობაშვილი დაითხოვა დახერხილ მასალათა საწყობიდან როგორც სამუშაოს გამცდენი.

საქმე რამდენიმეჯერ იყო განხილული სასამართლო ინსტანციებში. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 1 აგვისტოს დადგენილებით დააკაყოფილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის პროტესტი — გააუქმა სასამართლოს მიერ ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება და გ. ნანობაშვილი აღადგინა პირვანდელ სამუშაოზე ფანერის საწყობში იმ მითითებით, რომ მუშაკის თანხმობის გარეშე მისი სხვა, მუდმივ სამუშაოზე გადაყვანა წარმოადგენს შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლის და სსრ კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის 1930 წლის 10 აპრილის დადგენილების აშკარა დარღვევას, ხოლო ბრძანება გ. ნანობაშვილის სამუშაოდან დათხოვნის შესახებ ეწინააღმდეგება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1957 წლის 13 სექტემბრის დადგენილების მე-9 მუხლს, რომლის მიხედვით მუშაკის გამოუცხადებლობა იმ სამუშაოზე, რომელზედაც იგი გადაყვანილია მისი სურვილის გარეშე ვიდრე წარმოებდეს დავა ამ გადაყვანის სისწორის შესახებ არ შეიძლება ჩაითვალოს სამუშაოს გაცდენად.

2. შტატის შემცირებით დათხოვნილ პირთა აღდგენის თაობაზე სარჩევების განხილვის დროს სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს ჰქონდა თუ არა სინამდვილეში ადგილი შტატის შემცირებას და გაითვალისწინოს, რომ შტატის შემცირება არის აპარატის მუშაობის გაუმჯობესებისა და მისი უფრო კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების ერთ-ერთი ღონისძიება.

ჩონატაურის რაიონის სახალხო სასამართლომ 1960 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით დააკაყოფილა გ. ბერძენიშვილის სარჩელი მე-15 საგზაო საექსპლოატაციო უბნის ბუღალტრის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ.

გადაწყვეტილება დატოვებულია ძალაში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1960 წლის 14 მაისის დადგენილებით.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მე-15 საგზაო საექსპლოატაციო უბანში ირიცხებოდა ბუღალტრის ორი საშტატო ერთეული — მთავარი ბუღალტრისა ხელფასით 640 მანეთი თვეში და ბუღალტრისა ხელფასით 430 მანეთი თვეში.

უბნის სამუშაოთა მოცულობის გადიდებასთან დაკავშირებით 1959 წლის მესამე კვარტალში დამატებულ იქნა ბუღალტრის ერთი საშტატო ერთეული ხელფასით 600 მანეთი თვეში.

მთავარი სამმართველოს განკარგულების საფუძველზე საგზაო უბნის უფროსმა ახლად დამატებულ თანამდებობაზე ხელფასით 600 მანეთი თვეში გადაიყვანა უფრო მაღალ კვალიფიკაციის მქონე ბუღალტერი ნ. კალანდაძე, ხოლო მის ადგილზე ბუღალტრად ხელფასით თვეში

430 მანეთი მიიღო მოსარჩელე გ. ბერძენიშვილი.

1960 წელს უზნის სამუშაოთა შემცირებასთან დაკავშირებით სამმართველოს მიერ შემცირებული იქნა ბუღალტრის თანამდებობა 430 მან. ხელფასით და ამასთან დაკავშირებით სამუშაოდან განთავისუფლებულ იქნა გ. ბერძენიშვილი.

მოსარჩელეს სამუშაოდან განთავისუფლება შტატების შემცირების მოტივით სწორად ჩათვალა, როგორც შრომის დავათა განმხილველმა კომისიამ, ისე ადგილობრივმა კომიტეტმა.

სასამართლო ინსტანციების გადაწყვეტილება და დადგენილება გ. ბერძენიშვილის სამუშაოზე აღდგენის შესახებ გმყარება იმ მოსაზრებას, რომ შემცირებულია არა ის საშტატო ერთეული, რომელზედაც მუშაობდა გ. ბერძენიშვილი, არამედ ის ერთეული, რომელზედაც გადაყვანილი იყო ბუღალტერი ნ. კალანდაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 25 ივლისის დადგენილებით დააკმაყოფილა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის პროტესტი — გააუქმა სასამართლო ინსტანციების გადაწყვეტილება და დადგენილება და საქმე დაუბრუნა იმავე სახალხო სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის მიითვებით, რომ სასამართლომ არ გამოარკვევა — ნამდვილად შემცირებულია თუ არა ის საშტატო ერთეული, რომელზედაც მუშაობდა მოსარჩელე გ. ბერძენიშვილი და არ გაითვალისწინა, რომ შტატის შემცირება არის აპარატის მუშაობის გაუმჯობესებისა და მისი უფრო კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების ერთ-ერთი ღონისძიება და ადმინისტრაციას შეუძლია შტატის შემცირების დროს მოახდინოს მუშაკთა გადაჯგუფება თუ ამას ორგანიზაციის ინტერესები მოითხოვენ.

3. ოჯახის ის სრულწლოვანი წევრი, რომელიც არ იყო შეტანილი ორდერში ახალ საცხოვრებელ ფართობის მიღების დროს და ახალ ბინაში ვადანსვლაზე თავის თანხმობა არ განუცხადებია, არ შეიძლება გამოსახლებული იქნას ბინიდან, რომელზეც მას მოპოებული აქვს დამოუკიდებელი უფლება საცხოვრებელ ფართობზე.

ნ. სოკოლოვა და მისი ქალიშვილი ო. სოკოლოვა ცხოვრობდნენ ძმების — ა. და პ. ებანოძეების კუთვნილ სახლში, სადაც ეჭირათ ორი ოთახი საერთო ფართობით 24 კვ. მეტრი.

1960 წლის 6 თებერვალს ო. სოკოლოვამ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ვზატეკილების მთავარი სამმართველოს საუწყებო სახლში მიიღო ერთოთახიანი ბინა 20,6 კვ. მეტრი ფართობით თავის სათავსოებში და გადავიდა ამ ბინაში თავის მეუღლე ვ. ჟერდუცთან ერთად, რომელსაც ცოლად გაყვა 1959 წლის მაისში, ხოლო ძველ ბინაში დარჩა მისი დედა ნ. სოკოლოვა.


ამ გარემოებით ისარგებლეს ებანოძეებმა და დააკავეს ერთი 17 კვ. მეტრიანი ოთახი, ხოლო ნ. სოკოლოვას დაუტოვეს 7 კვ. მეტრიანი ოთახი. ნ. სოკოლოვამ მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ორივე ოთახის მისთვის დატოვება, ხოლო ებანოძეები მოითხოვდნენ ნ. სოკოლოვას ორივე ოთახიდან გამოსახლებას და განთავისუფლებული ბინის მათთვის გადაცემას.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ 1960 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. სოკოლოვა დატოვა 7 კვ. მეტრიანი ოთახში და უარი უთხრა 17 კვ. მეტრიანი ოთახის დაბრუნებაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 1960 წლის 4 მაისის დადგენილებით ცვლილება შეიტანა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებაში — ნ. სოკოლოვა გამოასახლა ორივე ოთახიდან და მთელი ბინა გადასცა სახლის მფლობელ ებანოძეებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 1 აგვისტოს დადგენილებით დააკმაყოფილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პროტესტი — გააუქმა სასამართლო ინსტანციების გადაწყვეტილება და დადგენილება და საქმე დაუბრუნა სახალხო სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის.

პრეზიდიუმმა მიუთითა, რომ რამდენადაც ორდერი ახალ ბინაზე გაცემულია მხოლოდ ო. სოკოლოვასა და მის ქმარ ვ. ჟერდუციზე, ხოლო მისი დედა — ნ. სოკოლოვა ამ ორდერში მოხსენებულ არ არის და მას თანხმობა ახალ ბინაში ვადანსვლაზე არ მიუცია. ის არ არის ვალდებული გადაყვეს თავის ქალიშვილს და სიძეს ახლად მიღებულ ბინაში და არ შეიძლება გამოსახლებული იქნას ბინიდან, რომელზეც მოპოებული აქვს დამოუკიდებელი უფლება. ამასთანავე,



ვინაიდან ნ. სოკოლოვას მიერ დაკავებული ბინა ორი ოთახისაგან შედგება, ის კომუნალურ სუბიექტად, სასამართლო ვალდებულია მოახდინოს ადგილობრივი დავალიერება, ჩაატაროს ტექნიკური ექსპერტიზა და თუ დადგინდება, რომ შესაძლებელია ნ. სოკოლოვას გამოეყოს ერთი ოთახი, რომელიც არ იქნება ნორმით ვათვალისწინებულ ფართობზე ნაკლები, სასამართლოს შეუძლია ჩამოართვას მას ერთი ოთახი და გადასცეს სახლის მფლობელს.

სისხლის სამართლის საქმეებზე

1. უკეთუ გამწესრიგებელი სხდომის განჩინება; ძალაშია, პროკურორის არა ექვს უფლება დაიბრუნოს საქმე სასამართლოდან და აწარმოოს მასზე დამატებითი გამოძიება

ქალაქ თბილისის 26 კომისიის სახელბის რაიონის სახალხო სასამართლოს 1960 წლის 4 აგვისტოს მომწესრიგებელი სხდომის განჩინებით სამართალში იქნენ მიცემულნი პ. სარქისოვი, ა. ასტვაცატუროვი და მ. საფაროვი სსკ. 152 მუხლით.

1960 წლის 23 აგვისტოს სამსჯავრო სხდომაზე მონაწილე პროკურორმა სასამართლოს წარუდგინა რაიბროკურორის მიმართვა და იშუამდგომლა საქმის მათთვის გადაგზავნის შესახებ შემსწავლ. საჭიროების მოტივით.

აღნიშნული შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნა და საქმე, მიმართვით, გადაგზავნა რაიბროკურორატურას მათი მოთხოვნის თანახმად.

რაიბროკურორატურაში საქმე თავის წარმოებაში მიიღო სახალხო გამომძიებელმა, რომელმაც მოსპო. სისხლის სამართლის დევნა ა. ასტვაცატუროვისა და მ. საფაროვის მიმართ ისე, რომ მათი, სამართალში მიცემის დადგენილება კვლავ ძალაში იყო, ხოლო პ. სარქისოვის მიმართ ხელახლა წარმართა საქმე სასამართლოში ახალი საბრალდებულო დასკვნით.

სასამართლომ მ. სარქისოვი მეორეთ მისცა სამართალში და 1960 წლის 12 ოქტომბერს გამოუტანა გამომტყუნებელი განაჩენი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1960 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით განაჩენი გაუქმებული იქნა და საქმე დამატებითი გამოძიებისათვის გადასცა საქართველოს სსრ პროკურორატურას.


კოლეგიამ განაჩენის გაუქმების არსებითი ხასიათის მოტივთან ერთად მიუთითა, რომ გამოძიებას არ ჰქონდა უფლება მიეღო საქმე თავის წარმოებაში და ჩაეტარებია მასზე დამატებითი გამოძიება უკეთუ გამწესრიგებელი სხდომის განჩინება არ იქნებოდა გაუქმებული შემდგომი სასამართლოს ინსტანციის მიერ.

2. მკვლელობის განწარხვის არსებობისას, უკეთუ ეს განწარხვა რაიმე მიზეზით ვერ იქნა მოყვანილი სისრულეში, არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსრ სსკ 151 მუხლის I ნაწილით

კასპის რაიონის სახალხო სასამართლოს 1959 წლის 7-8 მაისის განაჩენით დ. დ. მღებრიშვილი ცნობილი იქნა დამნაშავეთ საქართველოს სსრ სსკ 19-144 მუხლის I ნაწილის „ა“ პუნქტით და 202 მუხლით და ერთობლიობის პრინციპით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1959 წლის 31 მაისის განჩინებით დ. მღებრიშვილის მიმართ განაჩენი დატოვებულ იქნა ძალაში იმ ცვლილებით, რომ მის მიერ ჩადენილი დამნაშაულებრივი ქმედობა სსკ 19-144 მუხლის I ნაწილის „ა“ პუნქტიდან გადაკვალიფიცირებულ იქნა სსკ 151 მუხლის I ნაწილით და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, სსკ 46 მუხლის საფუძველზე, საბოლოოდ მოსახდელი დაუტოვა—თავისუფლების აღკვეთა 3 წლით.

დ. მღებრიშვილს მსჯავრი დაედო იმის გამო, რომ დაინახა რა დაზარალებული ენუქიძე, რომელთანაც იგი მტრულ განწყობილებაში იყო, დაუწყო მას ჩხუბი, ამოიღო დანა და იმდენად ძლიერად დაარტყა, რომ გაუჭრა კეპი, მოხვდა ცხვირის ზურგში და მთელი სფერძე (7 სანტი-



მეტრზე) გადაუჭრა იგი; დ. მღებრიშვილს ბინის ჩხრეკვისას აღმოაჩნდა ხანჯალი და ფიზიკური სისტიემის დანა.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის პროტესტის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა თავის 1960 წლის 11 ივლისის დადგენილებით გააუქმა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1959 წლის 31 მაისის დადგენილება და საქმე საკასაციო წესით განხილვისათვის გადასცა საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს კოლეგიის შემადგენლობას.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ დ. მღებრიშვილი იყო რა განაწყენებული ენუქიძეზე 1958 წლის 21 დეკემბერს მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა, უმიზეზოდ აუტეხა ჩხუბი ენუქიძეს, რომელიც იმ დროს მორიგეობდა ქარხანაში, შემდეგ ამოიღო დანა და შეეცადა მის მოკვლას, მაგრამ ენუქიძემ მღებრიშვილისათვის ხელის ვაკავეებით ერთხელ აიცილნა დანის დარტყმა, შემდეგ მღებრიშვილი გაუსხლტა ხელიდან და ძლიერად ჩაარტყა მას დანა თავის არეში, რას შემდეგადაც მიაყენა ენუქიძეს წარუხოცველი ჭრილობა ცხვირზე.

საქმის მასალებით, სახელდობრ მოწმე აბუაშვილისა და დაზარალებულის ჩვენებებიდან ჩანს, რომ მღებრიშვილი არ დაკმაყოფილდა ენუქიძის დაჭრით, იგი გამოეკიდა გაქცეულ ენუქიძეს და კვლავ მოუქნია დანა ზურგში ჩასარტყმელად, მაგრამ განზრახვა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მოიყვანა სისრულეში.

ყველა ეს გარემოებები მეტყველებენ, რომ მღებრიშვილს შემთხვევის დღეს განზრახული ჰქონდა ენუქიძის მოკლა, მაგრამ მისგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო განზრახვა ვერ მოიყვანა სისრულეში.

8. განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ძლიერი სულიერი აღელვების დროს, რაც გამოწვეული იყო დაზარალებულის მიერ მძიმე შეურაცხყოფით, არ შეიძლება დაავალიფიცირდეს, როგორც განზრახი მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს 1955 წლის 19 დეკემბრის განაჩენით გ. ი. ზემლიანსკი ცნობილ იქნა დამნაშავეთ საქართველოს სსრ სსკ 144 მუხლის ნაწილის „ა“ პუნქტით და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 30 აპრილის დადგენილების — „განზრახი მკვლელობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ — გამოყენებით — შეეფარდა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1956 წლის 2 იანვრის განჩინებით გ. ზემლიანსკის მამართ განაჩენი დატოვებულ იქნა ბაღში ცვლილებით, სახელდობრ განაჩენიდან ამოირაცხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 30 აპრილის დადგენილების გამოყენება და გ. ზემლიანსკის სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით.

გ. ზემლიანსკის მსჯავრი დაედო იმის გამო, რომ მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა 1955 წლის 6 ნოემბერს საღამოს 8 საათზე, ქ. სოხუმში კამათი დაუწყო დაზარალებულ ი. ლობოდას, რომელსაც შემდეგ თავში ჩაარტყა ხის ლარტყი, რის გამოც ლობოდამ მიიღო სასიკვდილო დაზიანება და გარდაიცვალა 1955 წლის 7 ნოემბერს.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის პროტესტის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა თავის 1960 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებით გ. ზემლიანსკის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობა სსკ 144 მუხლის I ნაწილისა „ა“ პუნქტიდან გადააკვალიფიცირა სსკ 146 მუხლზე და სასჯელის ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით.

საქმეში არსებული მასალებით დადგენილია, რომ ზემლიანსკი და მისი ამხანაგები: სოლომონია, ტოლსტოვი და კონონენკო მაგიდას უსხდნენ პავილიონში. რამოდენიმე ხნის შემდეგ მათთან მივიდა ნასეამ მდგომარეობაში მყოფი დაზარალებული ი. ლობოდა, რომელიც მანამდე

სხვა მაგიდასთან იჯდა და ჩხუბი აუტეხა გ. ზემლიანსკის და მის ამხანაგებს. უკანასკნელი, ჩხუბის თავიდან აცილების მიზნით ადგენენ მაგიდიდან და წავიდნენ პავლიონიდან. უსიამოვნებისათვის თავის დაღწევის მიზნით პავლიონის გამგემ და სხვა პირებმა არ გაუშვეს ი. ლობოდა პავლიონიდან, მაგრამ ბოლომდე ვერ შეძლეს მისი დაკავება, იგი გაიქცა.

დაზარალებული ი. ლობოდა სტადიონთან დაეწია გზად მიმავალ გ. ზემლიანსკის და მის ამხანაგებს და კვლავ დაუწყო ჩხუბი, ხოლო მკერდში წაწედა სოლომონიას, გ. ზემლიანსკი კი ცდილობდა მათ გაზაფხას, უკანასკნელს ხელში ეჭირა გათლილი ლარტყი, რომელიც მიქონდა სახლში ბავშვისათვის დროშის გასაკეთებლად. ი. ლობოდამ გამოვლიჯა ზემლიანსკის ხელიდან ლარტყი და გადაუტეხა, ხოლო ნაწყენ ზემლიანსკის შენიშვნაზე — „ვანია შენც ხომ გყავს ბავშვები, ეს ჯობი, ჩემს გოგონას გავუკეთე დროშისათვის, რატომ გამიტეხე“ — ლობოდამ უცნაურო გამოთქმებით აგინა ზემლიანსკისა და მის ბავშვებსაც, ამაზე გულმოსულმა გ. ზემლიანსკიმ გამოსტაცა ი. ლობოდას ლარტყის ნატეხი და ჩაარტყა თავში, რის შედეგადაც ი. ლობოდა გარდაიცვალა.

ამრიგად საქმის გარემოებათა ანალიზით დადგენილია, რომ გ. ზემლიანსკიმ ლარტყი ჩაარტყა დაზარალებულ ი. ლობოდას ძლიერი და უეცარი აღელვების ნიადაგზე, რომელიც გამოწვეული იყო ი. ლობოდას მხრივ გ. ზემლიანსკისა და მისი ოჯახის შეურაცხყოფით.

ასეთ ვითარებაში გ. ზემლიანსკის მიერ ჩადენილი ქმედობის დაკვალიფიცირება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 144 მუხლის ნაწილის „ა“ — პუნქტით უსწორია.

გრძელდება ხელმოწერა ჟურნალ „საბჭოთა სამართალი“ 1961 წლისათვის

შუკნალი გაეკუთვნებოდა საბჭოთა აკადემიის მუშაკებისათვის, სასამართლო პროკურატურის ორგანოების, იურიდიული სამსახურის მუშაკებისათვის, სახალხო მსჯელობებისათვის აღმკვეთების, ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომეაკებისათვის, სახალხო საფუძვლების ხელმძღვანელებისათვის, მკითხველთა ფართო მასებისათვის.

შუკნალი ფართოდ აუშვებს სასამართლო და პროკურატურის ორგანოების მუშაკებს, სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საკითხებს, საზოგადოებრივის მოწინააღმდეგეებს და მანუავერებსთან ბრძოლას.

1961 წლიდან შუკნალი გაფართოვდება იურიდიული კონსულტაციის განყოფილება, საბჭოთადად გაუმჯობესდება მუშაკებთან დამკვეთების აღვიღობრები საბჭოების საქმიანობის გაუმჯობება. რედაქციას შუკნალი თანამშრომლობისათვის მოწვეული ყავს ქართველი მწერლები, ლიტერატორები, რომლებიც მუშაობენ ნაკვეთების, მოთხრობების შესაქმნელად, სადაც გაუმჯობესებული იქნება სასამართლო-პროკურატურის და მილიციის ორგანოების მეთოდები მუშაობა დანაშაულის გახსენსა და დანაშაულებთან დასასჯელად.

გათვალისწინებულა შუკნალი მობი აღვილი დამთმოს ნოტარიული კანტორების საქმიანობას.

შუკნალს ექნება ახალი განყოფილებები „საპროკურორო ფედაქსედველოვის პრეტიკა“, „სასამართლო და ცხოვრება“, „გამოკმნილი ქართველი იურისტები“, „გუკშუაზიული იუსტიციის სამუაროვი“ და სხვ.

გამოინერეთ ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“

ხელმოწერის ფასი ერთი წლით 30 მანეთი, ნახევარი წლით 15 მანეთი.

ხელმოწერა მიიღება „სოიუზკვიატის“ ყველა განყოფილებაში



სარედაქციო კოლეგია

მ. ლომიძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, მ. ვეფხვაძე, მ. თაფურაძე,
გ. ინწკირველი, თ. კაციტაძე (რედაქტორის მოადგილე),
თ. წერეთელი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32, ტელეფონი—3-88-05

გადაეცა წარმოებას 20/X; ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/XII 60 წ. ანაწყოების ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×118; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

შეკ. № 1893 ტირაჟი 5.000 უე 05657

საქ. ცკ-ის კვ გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат „Коммунисти“ издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина № 14.

ფასი 5 მან.

1961 წლის 1 იანვრიდან 50 კპ.

ბ 89 / 303



СОВЕТСКОЕ ПРАВО № 5

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической Комиссии при Совете Министров
Грузинской ССР